

მართლმსაჯულება
კანონი

4'10

კანონი

Justice and Law Legal Journal
#4(27)'10

N4(27)'10

მართლმსაჯულება



კანონი

რედაქტორი
ნინო ძიციგური
რედაქტორის თანაშემწე
ირმა ბეკაური
ნომერზე მუშაობდნენ:
ბეკა ჭედიანი
ლეილა კოშკაძე
მარინე ვასაძე
დიზაინი:
ბესიკ დანელიანი
ფოტოურუნველყოფა:
ლავით ხიზანიშვილი

სარედაქციო საბჭო:
დინანა ბერეკაშვილი
თამარ ზამბახიძე
ინგა კვაჩანტირაძე
კონსტანტინე კუბლაშვილი
ზაზა მეიშვილი
ვალერი ცერცვაძე

Editorial Board:
DIANA BEREKASHVILI
TAMAR ZAMBAKHIDZE
INGA KVACHANTIRADZE
KONSTANTINE KUBLASHVILI
ZAZA MEISHVILI
VALERI TSERTSVADZE

Editor:
NINO DZIDZIGURI

Assistant to Editor:
IRMA BEKAURI

The issue was prepared by:
BEKA CHEDIA
LEILA KOSHKADZE
MARINE VASADZE

Designed by
BESIK DANELIA

Photo support by
DAVIT KHIZANISHVILI

*English version of articles has been provided by Candidates
of Law faculty of Tbilisi State University*

დაბეჭდილია შპს „ფორმაში“
Printed in Forma Ltd

**უპკ (UDC) 340.11+340.130.5
მ-306**

ISSN 1512-388X



საპარტოვლოს მოსამართლეთა
ასოციაცია
JUDGES ASSOCIATION OF GEORGIA



აკრძალულია აქ გამოქვეყნებული მასალების
გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება
კომერციული მიზნით, საქართველოს
მოსამართლეთა ასოციაციისა და საქართველოს
უზენაესი სასამართლოს წერილობითი
ნებართვისა და წყაროს მითითების გარეშე.



გამოცემა მომზადებულია პროექტის
„სასამართლო ხელისუფლების მხარდაჭერა“
ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს გაეროს
განვითარების პროგრამა (UNDP) და
საქართველოს უზენაესი სასამართლო.

გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა
არ ემთხვეოდეს გაეროს განვითარების
პროგრამის (UNDP) და საქართველოს უზენაესი
სასამართლოს მოსაზრებებს.

Published by United Nations Development Programme
Georgia (UNDP) and Supreme Court of Georgia within
the frame of the project "Support to Justice System".

Views expressed in the edition belongs to its authors and
don't necessarily reflects the official position of UNDP and
Supreme Court Georgia

5

მიხეილ ფხაკაძე: „ჩვენი მუშაობის განმსაზღვრელი მოსამართლეების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების ხარისხია“

MIKHEIL PKHAKADZE: “NUMBER AND QUALITY OF THE JUDICIAL DECISIONS DEFINE OUR WORK”

14

თეიმურაზ თორღია

ფაქტისა და სამართლის საკითხის ურთიერთგამიჯვნა

THE ISSUE OF SEPERATION BETWEEN THE FACT AND LEGAL MATTER
TEIMURAZ TORDIA

21

ილონა გაგუა

გტკიცების ტვირთის თავისებურება საერთო სამართალში – დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამართლის მიხედვით

SPECIFICITY OF THE BURDEN OF PROOF IN A COMMON COURT ACCORDING TO THE LAW OF THE GREAT BRITAIN AND UNITED STATES OF AMERICA
ILONA GAGUA

33

ეკატერინე ნინუა

პასუხისმგებლობა და მისი თავისებურებანი ერთობლივ საქმიანობაში

RESPONSIBILITY AND ITS FEATURES IN JOINT ACTIVITIES
EKATERINE NINUA

41

გიორგი ბარაბაძე

თანამონაწილეთა დასჯადობის საკითხი კანონმდებლობაში

ISSUE OF ACCOMPLICE PUNISHMENT IN THE LAW
GIORGI BARABADZE

49

დავით გეფერიძე

ევროპის კავშირის სამართლის საფუძვლების შესახებ

ON BASICS OF LAW OF THE EUROPEAN UNION
DAVID GEFERIDZE

56

ია ხარაზი, ნატო უერთაშვილი, მაკა ორჯონიკიძე

საბაჟო სამართლის ნორმათა განმარტების თავისებურებანი

SPECIFICITIES OF THE CUSTOMS LAW PROVISIONS INTERPRETATION

IA KHARAZI, NATO UERTASHVILI, MAKA ORJONIKIDZE

67

მურმან გორგოშაძე

კანონდროშტის ექსპერტიზა – ცნება, სახეები, დანიშნულება

ANALYSIS OF THE DRAFT LAW – CONCEPT, TYPES, PURPOSE

MURMAN GORGOSHADZE

77

ლევან კოკია

საქართველოს კანონში დამტვირთი ინსტიტუტი საქართველოს კერძო სამართლის შესახებ და მისი სრულყოფის ზომიერო საკითხი

INSTITUTION OF RESERVATIONS IN THE LAW OF GEORGIA ON INTERNATIONAL PRIVATE LAW AND SOME REFINEMENT RELATED ISSUES

LEVAN KOKAIA

88

ზურაბ ჭყონია

სამოქალაქო სამართალდარღობა და აღსრულება საქართველოში XIX საუკუნის და XX საუკუნის დასაწყისში

CIVIL PROCEEDINGS AND ENFORCEMENT IN GEORGIA IN 19TH AND BEGINNING OF 20TH CENTURY

ZURAB CHKONIA

102

ახალი ნიგნები

„ჩვენი მუშაობის განმსაზღვრელი მოსამართლეების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების ხარისხია“

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე მიხეილ ფხაკაძე რამდენიმე თვეა რაც ამ ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ სასამართლოს ჩაუდგა სათავეში. თუმცა, იგი მანამდე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისა და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარე გახლდათ და ეს სისტემა მისთვის უცხო არ ყოფილა.

„რეფორმის უზარმაზარი შედეგები გვაქვს, რასაც სასამართლოში შემოსვლისთანავე იგრძნობთ. გარკვეული ეტაპები დავასრულეთ და ვაგრძელებთ განვითარებას – ჩვენ ვიზრდებით და შესაბამისად, მიმდინარე პროცესებში აქტიურად ვართ ჩაბმული“, – ასე აფასებს სასამართლო რეფორმის შედეგებს თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე მიხეილ ფხაკაძე, რომელთან ინტერვიუსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ.

1 ოქტომბრიდან ამოქმედდა სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი და, შესაბამისად, ამოქმედდა სრულიად ახალი ტიპის მართლმსაჯულება. უკვე ორი თვე გავიდა და საინტერესოა, როგორ „მოერგო“ თბილისის საქალაქო სასამართლო ახალ პროცესს?

– მოსამართლეები კოდექსის დამუშავებისა და მიღების პერიოდში, სისტემატურად გადიოდნენ მომზადებას ინტენსიური სე-

მინარებითა და ტრენინგებით. ჩვენი მოსამართლეები არა ერთხელ იყვნენ ამერიკასა და საავსტრალიის სხვა ქვეყნებში, სადაც პრაქტიკულად გაეცნენ იქაურ მართლმსაჯულებას. ამიტომაც, თავისუფლად შეიძლება თქმა, რომ სასამართლო თეორიულად კარგად იყო მომზადებული, რაც უკვე ჩატარებულ პროცესებზეც აისახა, რომელიც ხარვეზების გარეშე მიმდინარეობს.

რეალურად პროცესი გამარტივდა, გათავისუფლდა მანამდე არსებული ზედმეტი ფორმალური საკითხებისაგან, უფრო მეტადაა დაცული ადამიანის უფლებები და რაც მთავარია, მოქმედებს შეჯიბრებითობის პრინციპი – დაცვისა და ბრალდების მხარეები თანასწორნი არიან. მხარეები თანაბარ პირობებში დავობენ პირის უდანაშაულობისა თუ დამნაშავეობის თაობაზე და მოსამართლე არის არბიტრი, რომელიც ისმენს მხარის პოზიციებს და მასზე დაყრდნობით გამოაქვს გადაწყვეტილება.

საინტერესოა, თქვენი აზრი კოდექსით გათვალისწინებულ კიდევ ერთ სერიოზულ სიახლესთან – ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთან დაკავშირებით. ამ ინსტიტუტს გარდა მომხრეებისა, მონინაალმდეგეებიც მრავლად ჰყავს, რომლებიც აცხადებენ, რომ ეს ინსტიტუტი საქართველოში ვერ იმუშავებს.

– ბოლო პერიოდში, საზოგადოების სამართლებრივი შეგნების დონე საგრძნობლად გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ ხელისუფლების ძალისხმევით ძალზე მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა დამკვიდრებული მანკიერი სტერეოტიპების დასანგრევად. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ ამ ეტაპზე სამოქალაქო საზოგადოება უკვე ჩამოყალიბებულია და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთვისაც მზადაა.

გარდა ამისა, ხელისუფლებამ პოლიტიკური ნება გამოიჩინა, მოქალაქეები მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩართო და საზოგადოებას უზარმაზარი ნდობა გამოუცხადა. სახელმწიფო ენდობა 12 მოქალაქეს – ნაფიც მსაჯულებს, რომ გადაწყვიტონ ადამიანის დამნაშავეობისა თუ უდანაშაულობის საკითხი. ამ ინსტიტუტს ის დატვირთვაც აქვს, რომ საზოგადოების წარმომადგენლები თავად ნახავენ, თუ როგორი საპასუხისმგებლოა მართლმსაჯულების განხორციელება და რა რთულია მოსამართლეობა. მე საკმაოდ ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და დარწმუნებული ვარ, რომ ეს ინსტიტუტი წარმატებულად ამუშავდება პირველივე საქმეზე.

სწორედ თქვენი თავმჯდომარეობის დროს შემოვა სასამართლოში საქმე, რომელსაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განიხილავს, როგორ ემზადებით საქართველოსათვის სრულიად ახალი პროცესისთვის?

– კარგია, რომ აქამდე ამ კატეგორიის დანაშაული არ მომხდარა და სასურველია არც მოხდეს. თუმცა, ჩვენი ვალდებულებაა და სასამართლო ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესისთვის საუკეთესოდაა მომზადებული. სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით, იმ ქვეყნებში, სადაც ეს ინსტიტუტი მოქმედებს და საუკუნოვანი ტრადიციები აქვთ, ადგილზე გავეცანით ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მუშაობის სპეციფიკას, ტექნიკურ საკითხებს და თავისუფლად შეიძლება თქმა, რომ პროცესისთვის მზად ვართ.

ბატონო მიხეილ, ეს წელი მთავრდება და საინტერესოა თქვენი ანალიზი, როგორ შეაფასებდით თბილისის საქალაქო სასამართლოს მუშაობას 2010 წელს?

– სწორედ რამდენიმე დღის წინათ შევაჯამეთ შედეგები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოსამართლეთა რაოდენობისა და საქმეების სიმრავლის გათვალისწინებით, ამ წელს სასამართლომ საკმაოდ ეფექტიანად იმუშავა. მონაცემები ცხადყოფს, რომ რეალურად, შარშანდელთან შედარებით სამივე კოლეგიამ მეტი საქმე დაამთავრა.

რაც შეეხება ვადების გაჭიანურების პრობლემას, ესეც მინიმუმამდეა დაყვანილი, ფაქტობრივად, არ არსებობს. მაქსიმალურად ვცდილობთ, გადაწყვეტილების მიღებით მოკლე ვადებში დავამთავროთ ყველა საქმე.

აღსანიშნავია, რომ იკლო გასაჩივრების შედეგად გადაწყვეტილებების შეცვლის მაჩვენებელმაც – ანუ, პირველი ინსტანციის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები უმეტეს შემთხვევაში, ზემდგომ ინსტანციაში ძალაში რჩება.

წარმატებები ბევრი გვაქვს და მათი ჩამოთვლა ახლა შორს წაგვიყვანს. თუმცა, აქვე გეტყვით, რომ ჩვენთვის პრიორიტეტულია საზოგადოებრივ ღონისძიებებში მონაწილეობაც. აღსანიშნავია, რომ ძალზე ხშირად გვაქვს შეხვედრები ახალგაზრდობასთან, მათი სამართლებრივი შეგნების განვითარების მიზნით. ხშირია მოსწავლეებისა და სტუდენტების ვიზიტები სასამართლოში, რათა მათ უფრო მეტი და დეტალური ინფორმაცია მიიღონ, თუ რა არის სასამართლო, პასუხი გაეცეს მათთვის საინტერესო შეკითხვებს. ამ ვიზიტების თაობაზე განერილი გვაქვს გეგმა – უფროსკლასელები ხვდებიან სამივე კოლეგიის მოსამართლეებს და მათთვის საინტერესო საკითხებზე საუბრობენ. ასევე, ისინი ათვალისწინებენ შენობას, რათა წარმოადგინა ჰქონდეთ სად და როგორ ხორციელდება მართლმსაჯულება.

მნიშვნელოვანია ერთი გარემოებაც, მოსწავლეები და სტუდენტები ხშირად საინტერესო და



ყურადღასაღებ იდეებს გამოთქვამენ. მაგალითად, იყო შემთხვევა, როცა ერთ-ერთი შეხვედრის დროს სტუდენტებმა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თაობაზე ისეთი შეკითხვები დასვეს და ისეთი პრობლემატური საკითხები წამოჭრეს, რომ შემდეგ ჩვენ ვიმსჯულეთ კიდევ მათი გადაჭრის გზებზე.

არსებობს სასამართლო რეფორმის რამდენიმეწლიანი გეგმა. საინტერესოა, სასამართლო რეფორმა საქალაქო სასამართლოში როგორ მიმდინარეობს და რეფორმის რომელ ეტაპზე ხართ ახლა?

– სასამართლო რეფორმის პროცესი კვლავაც მიმდინარეობს და ვფიქრობთ, კიდევ დაგვჭირდება გარკვეული დრო საბოლოო შედეგის მისაღებად. რეფორმის პრობები მიმდინარე და მზარდია, თითოეული ეტაპი საზოგადოებისა და ზოგადად, ქვეყანაში სამართლის განვითარებასთანაა დაკავშირებული. ამიტომაც, გვაქვს უზარმაზარი შედეგები, რასაც სასამართლოში შემოსვლისთა-

ნავე იგრძნობთ. ანუ, გარკვეული ეტაპები დავასრულეთ და ვაგრძელებთ განვითარებას – ჩვენ ვიზრდებით და შესაბამისად, მიმდინარე პროცესებში ძალზე აქტიურად ვართ ჩაბმული.

სარეფორმო ცვლილებების ჩამოთვლა ახლა ძალიან ძნელია, იმიტომ, რომ უზარმაზარი სამუშაოები ჩატარდა, რის გამოც, მივიღეთ სრულყოფილი, სწრაფი, ეფექტიანი და, რაც ყველაზე მთავარია, ყველასთვის ხელმისაწვდომი მართლმსაჯულება. მოქალაქეს, რომელსაც არა აქვს ადვოკატის აყვანის საშუალება ახლა თავისუფლად შეუძლია, სასამართლოს სარჩელის ფორმა, რომელიც იმდენად კარგადაა შედგენილი, რომ თავად შეავსოს, რაც იმის დასტურია, რომ მართლმსაჯულება საზოგადოების ყველა წევრისთვის ხელმისაწვდომია, რაც ადრე წარმოუდგენელი იყო.

რაც შეეხება მოსალოდნელ სიახლეებს – თბილისის სააპელაციო სასამართლოში უკვე მოქმედებს და ჩვენთანაც ამუშავდება ელექტრონული პროგრამა, რომლის საშუალებითაც ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლება მისი საქმის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღება. ანუ, ნებისმიერი მოქალაქე თავის საქმის მიმდინარეობის თაობაზე მარტივად მიიღებს ოპერატიულ ინფორმაციას მოსამართლის თანაშემწესთან და სასამართლოს სხვა თანამშრომლებთან ურთიერთობის გარეშე.

ცოტა ხნის წინათ კიევში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია, სადაც პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში ადმინისტრაციული სამართალწარმოების შესახებ სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა მოხსენებები გააკეთეს. აღმოჩნდა, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის ადმინისტრაციული სამართალწარმოების მხრივ, საქართველო ლიდერია. როგორ

შეაფასებდით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის საქმიანობას?

– საქართველოში ადმინისტრაციული მართლმსაჯულება უკვე 10 წელია მოქმედებს. რაც შეეხება ადმინისტრაციულ კოლეგიას, ვინაიდან ამ კოლეგიის თავმჯდომარე ვიყავი, შემიძლია თქმა, რომ იქ შრომისმოყვარე და პროფესიონალი ადამიანები მუშაობენ, თუმცა იგივე ითქმის სხვა კოლეგიებზეც. ეს კოლეგია 15 მოსამართლითაა დაკომპლექტებული და მათ მიერ განხილული საქმეები, რომლებიც საკმაოდ მრავლადაა, სრულყოფილი და ობიექტურია.

ადმინისტრაციული დავისას, ერთმანეთის პირისპირ დგას მოქალაქე და სახელმწიფო საჯარო სამსახურის სახით...

– და სწორედ ამიტომაც, სასამართლო ობიექტურია და ჩვენი მუშაობის დასტური ადმინისტრაციული კოლეგიის მოსამართლეების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების მაჩვენებელი და ხარისხია.

და როგორია ეს მაჩვენებელი?

– არსებული მაჩვენებლით, გადაწყვეტილებების დაახლოებით 60 პროცენტი მოსარჩელეთა სასარგებლოდ გამოდის. ასეთი გადაწყვეტილებები ხშირია და ამის თაობაზე ჩვენი პრესსამსახური ინფორმაციებს ხშირად აქვეყნებს. ეს სტატისტიკა ადასტურებს, რომ სასამართლო იღებს მართლაც ობიექტურ გადაწყვეტილებებს.

თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში, საჯარო სამსახურები საკმაოდ სერიოზულად მიუდგა მსგავს პროცესებს და მიმდი-

ნარე დავისას, საჯარო სამსახურების პოზიცი-
აც ძალზე დასაბუთებული და კანონიერია.

**ბაზე, რომლის მიხედვითაც, მოსამარ-
თლები უვადოდ დაინიშნებიან.**

**ბატონო მიხეილ, ახლა თითქმის აღარ
საუბრობენ მოსამართლეთა კორუფცი-
რებულობის შესახებ. ფაქტია, რომ კო-
რუფცია სასამართლო სისტემაში ნუ-
ლამდეა დაყვანილი. თუმცა, ხშირად მო-
ისმენთ საუბრებს მოსამართლეთა კვა-
ლიფიკაციისა და დამოუკიდებლობის
დაბალ ხარისხზე. საინტერესოა, გქონიათ
პრაქტიკაში, რომ მოსამართლეს მიუთი-
თეთ, რომელიმე კონკრეტულ საქმეზე
როგორი გადაწყვეტილება გამოეთანა?**

– ვფიქრობ, ეს ცვლილება ძალზე მნიშვნელო-
ვანია, ვინაიდან, როცა მოსამართლემ იცის, რომ
მან თუ არაფერი დააშავა, რაიმე გადაცდომას
არ ჰქონდა მის საქმიანობაში ადგილი – ის თა-
ნამდებობას მუდმივად შეინარჩუნებს. ყველა
თვალსაზრისით, მოსამართლეთა უვადოდ და-
ნიშვნა ძალზე მნიშვნელოვანია. დიდი სტიმუ-
ლია მოსამართლეებისათვის, მათი პროფესი-
ული განვითარების თვალსაზრისითაც.

– ჩვენ უკვე ვისაუბრეთ მოსამართლეთა პრო-
ფესიონალიზმზე და ვფიქრობ, რომ ამის დას-
ტური მათ მიერ გამოტანილი გადაწყვეტილე-
ბების ხარისხია.


რაც შეეხება გავლენას – არსებობს კანონი,
რომლის მიხედვითაც, პირი, რომელიც ეცდება
მოსამართლეზე ზეგავლენა მოახდინოს, მკაც-
რად ისჯება. დამერწმუნეთ, ეს კანონი ჩვენმა
მოსამართლეებმა კარგად იციან და ასეთ ფაქტს
ადგილი რომ ჰქონოდა, ახლა თქვენთან არ ვი-
საუბრებდი. თუმცა, მსგავსი საუბრები არსე-
ბობს და ამას აკეთებს მხარე, რომლის სასარ-
გებლო გადაწყვეტილებაც არ გამოვიდა. სტა-
ტიტიკა ადასტურებს, რომ ჩვენი სასამარ-
თლოს მოსამართლეების მიერ გამოტანილი გა-
დაწყვეტილებები სამართლიანია და მათი დიდი
ნაწილი ზემდგომ ინსტანციაშიც აღარ იცვლე-
ბა.

**აღბათ დამეთანხმებით, რომ მოსამარ-
თლეთა დამოუკიდებლობის სრული გა-
რანტი მათი უვადოდ დაინიშვნაა, რა აზ-
რის ხარტ საკონსტიტუციო ცვლილე-**

“NUMBER AND QUALITY OF THE JUDICIAL DECISIONS DEFINE OUR WORK”

It is several months, since the Chairman of the Tbilisi Appellate Court, Mikheil Pkhakadze, was assigned to this position. Although, he was chairman of the civil chamber and administrative chamber of Tbilisi Appellate Court and this is not the new system for him.

“We have tremendous results of the reform that is visible immediately when one enters the court. We finalized certain stages and continue to develop – and accordingly we are actively involved in the ongoing processes,” – this is how the Chairman of the Tbilisi City Court, Mikheil Pkhakadze, evaluates the results of the judicial reform. Below we offer the interview with him.

 **New Criminal Procedure Code entered the legal force starting October 1 and accordingly entirely new type of administration of justice started functioning. Two months passed and it is interesting to know, how could Tbilisi City Court adjust to the new Procedure Code?**

Judges were systematically trained in the process of elaboration and adoption of the Code. Our judges have been to US and other European Countries several times, where they shared practical experience of administration of justice. Thus, we can easily say that courts were very well prepared theoretically. This has been already reflected in the conducted trials that are handled without any shortcomings.

In reality, the process has been simplified, was exempted from the previously existing formalities, provides better guarantees for human rights protection

and what is the most important, the adversarial principle is enforced – defense and prosecution sides are equal. Parties are placed in equal positions to argue on the innocence or guiltiness of a person and a judge is arbiter that hears the positions of the parties and makes decisions based on that.

It is interesting to know your opinion regarding one more serious novelty envisaged by the Code, – regarding the jury trial. This institute, has supporters as well people who are against this, who state that this institute will not function successfully in Georgia.

Let me say that the legal awareness of public has been significantly increased in Georgia. It is worth mentioning that the State has made very important steps forward in order to break the stereotypes, to eliminate the “thiefs in law” institute. Based on this, I believe that civil society is already established and ready for the jury trial.

State showed the political will and involved public in the administration of justice thus showing huge confidence to public. State trusts 12 citizens – jurors – to decide the issue of guilt and innocence of a person. The positive side of this institute is also that public will realize how huge responsibility this is to be in charge of administering the justice, how difficult is to be a judge. I’m quite optimistic and confident that this institute will have positive effect on the very first case.

You will be the chairman of the court, when the first jury trial case will be deliberated in the court. How are you preparing for this entirely new trail?

It’s indeed good that this category of crime has not been conducted so far and we wish that it does not happen

so. However, it is our obligation and the court is really well prepared for the jury trial process – even more than that, in the best manner. Thanks to different international organizations, we shared the experience and practice of jury trial with the courts of the countries where this system is functioning and have long traditions. We can indeed say easily that we are fully ready for this trails.

Mr. Mikheil, this is the end of the year and it is interesting to know your opinion, assessment of the year 2010 in the court?

Exactly few days ago we have summarized the results. It is important to mention that due to the number of judges and high number of cases, court has worked very effectively this year. The data prove that all three chamber-shave finished more cases than were admitted to the court.

As for the problem of delays in case deliberation, this is also minimized, factually, does not occur. We use maximum efforts to finalize all cases in the shortest possible terms.

It is worth mentioning that the number of altering decisions made in the first instance has been significantly reduced – in other words, the decisions made in the first instance courts are remained in the appeal instance.

We have a lot of successes and I would not start listing them all now. However, I can tell you that it is our priority to participate in the public events. We have a lot of meetings with the young people, in order to develop their legal awareness. We organize a lot of visits for the students in the courts, in order to provide to them maximum information about the courts and to answer their questions. We have developed the plan for such visits – undergraduate schools students meet with the judges of all three chambers and discuss the issues of their

interest. They also have sightseeing of the court building to show them the place of administration of justice.

There is one more important circumstance, students usually ask questions or express opinions that the adults would never think of. There was an occasion, when students asked questions regarding the jury trial and emphasized the problematic issues that we had discussion on this afterwards and practically, even found the solution.

There is an action plan for the judicial reform for several years, it is interesting, how is the judicial reform progressing in the city court and on which stage are you currently?

The judicial reform is still going on and we believe, we will need certain time to see the final outcomes. Conditions of the reform is actual and growing, each stage is related with the developments within the country and justice sector. That's why I would like to tell you that we have tremendous results in the country that becomes visible as soon as you enter the court. In other words, we finalized certain stages and continue to develop – we are growing and accordingly we are actively involved in the ongoing processes.

It is difficult to list the changes that were introduced with the reforms, tremendous work has been done and as a result, we have received the well functioning, speedy, effective justice and what is most important – every citizen has access to justice. A citizen that cannot afford to hire a defence lawyer can now easily get the template of the court law suit, that is so easy to fill that everyone can do it. This proves that public has full access to justice, that was impossible to imagine before.

As for the novelties to be expected – electronic program is already functioning in the Appellate Court and

soon will start functioning in our court as well. Through this program, any citizen can get the details of the case consideration at any stage – what is the stage additional information, etc. In other words, any citizen can get the operative information without the communication with the judge's assistant or other staff members of the court.

An International Conference was held in Kiev recently, where representatives of different post soviet countries made presentations regarding the administrative case proceedings. It appeared, that Georgia is leader in this regard among the post soviet countries. How would you evaluate the activities of the administrative collegium of the Tbilisi City Court?

We have to say that the administrative case processing has been enforced for 10 years already. As for the administrative collegium, I was the chairman of this collegium and can say that very hardworking and high professional persons are working, however, we can say the same regarding the other collegiums as well. This collegium is composed of 15 judges and decisions that they render are perfect and objective.

During the administrative disputes, a citizen and a state – through the public organization are the openents...

For this very reason, court is very objective, the indicator and quality of the decisions made by the judges of the administrative collegium and us, are the prove if that.

And what is the indicator?

According to the existing indicators, more than 60 % of the decisions are made in favor of the plaintiffs. Similar decisions are made frequently and our press centre often publishes information regarding this. These statistics prove that court indeed makes objective decisions. However, it's worth-mentioning here that in recent times, position of the public organizations are well reasoned as well.

I believe that this change is extremely important, when a judge knows that if he / she does not make the violation in his activities, he / she will keep the post for the life time. This is significantly important for judges, very good motivation for their professional development as well.

Mr. Mikheil, now one can never hear the heresays about the corrupt judges. It is the fact, that the corruption in the judiciary is brought down to zero. However, you will often hear conversations regarding the law qualification of judges and low level of judicial independence. I would like to know, whether or not, you had the practice when you instructed a judge what kind of decision he / she should make?

We have already discussed the professionalism of judges and I believe, it is unnecessary to further discuss this. Decision that they make prove it.

As for the influence – there is a law that envisages strict punishment for a person who will make effort to influence judges. Believe me, our judges know this law very well and if similar facts would happen, we would discuss it here now. These opinions are expressed by the parties, who does not like the decision. However, the statistics prove that the decisions made by our court judges are fair and their decisions are not altered in the higher instances.

You will probably agree that the full guarantee of judicial independence is their life time appointment, what do you think about the constitutional amendments, according to which judges shall be appointed for the life time.

ფაქტისა და სამართლის საკითხის ურთიერთგამიჯვნა

თეიმურაზ თორღია

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე

საქართველოს საკასაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი მხარის შემოწმებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს შემოწმების ობიექტის სწორად განსაზღვრას.

ვფიქრობთ, რომ აღნიშნულ საკითხში სიცხადის შესატანად უნდა შევეხოთ ფაქტისა და სამართლის საკითხის განსხვავების პრობლემას.

კერძოდ, ფაქტისა და სამართლის საკითხის განხილვა გვანტერესებს, რათა გამოვკვეთოთ საკასაციო სასამართლოს მიერ სამართლებრივი შეფასების ობიექტი, ანუ ამ საკითხების განხილვით ვეცდებით ისინი ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ.

ხშირ შემთხვევაში, რთულია იმის გარკვევა, რასთან გვაქვს საქმე – ფაქტისა თუ სამართლის საკითხთან. მათი გამიჯვნის პრობლემა შეიძლება ართულებდეს საკასაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი მხარის შემოწმებას.

როგორც ცნობილია, სამართლის საკითხს ეხება სამართლებრივი დასკვნის მთავარი წინადადება (წანამძღვარი), რომელშიც მოიაზრება, ასევე, სამართლის ნორმით მოცემული ფაქტობრივი სიტუაციის ნორმატიული აღწერის სრულყოფისა და დაზუსტებისათვის გამოყენებული განვრცობითი ნორმები. ფაქტობრივი საკითხი ეხება, თუ რამდენად მოიაზრება წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები მთავარ წინადადებაში (წანამძღვარში).¹

მაგრამ როდესაც ვსაუბრობთ საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილების ისეთ არსებით ნიშანზე, როგორცაა სამართლებრივი შეფასება, ფაქტისა და სამართლის საკითხის ურთიერთ-გამიჯვნისათვის აუცილებელია გავითვალისწინოთ მრავალი მხარე. განსაკუთრებით, როცა სასამართლო ახდენს ფაქტების კვალიფიკაციას ან ამოწმებს პროცესუალურ დარღვევებს.²

მაგალითად, გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ ერთ-ერთ თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ სამართლებრივ მხარეს ადგილი აქვს მაშინ, თუ ის ეხება ნორმის გამოყენებისა და განმარტების საკითხს ან ლოგიკის კანონებსა და პრაქტიკულ გამოცდილებას. სამართლებრივ მხარეზე საუბარია მაშინ, როდესაც მტკიცების პროცესში სასამართლომ არასწორად გამოიყენა ლოგიკის კანონები ან ცხოვრებისეული გამოცდილება, რამაც გამოიწვია შესაბამისი ნორმის არასწორად გამოყენება.³ აღნიშნული განპირობებულია სასამართლოს გადაწყვეტილებაში ფაქტის შესახებ საკითხის გამიჯვნით, რაც არ შეიძლება შემოწმდეს სარევიზიო წესით და ასევე, სამართლებრივი კუთხით, რაც შეიძლება გადაისინჯოს სარევიზიო წესით, რადგან სამართლებრივი საკითხები უშუალოდ ეხება საქმესთან დაკავშირებულ ფაქტებს.⁴

ამდენად, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია გაირკვეს, სამართლებრივი საკითხის განხილვისას რა მოცულობით ეხება საკასაციო სასამართლო ფაქტის საკითხს, თუ საერთოდ აქვს მასთან შეხება.

ამდენად, როდესაც ვსაუბრობთ ფაქტის საკითხზე, ჩვენს ინტერესს ინვესს მეორე ნანამძღვარი, ანუ ფაქტობრივი სიტუაცია, რომელიც ერთ შემთხვევაში, შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ ფაქტის საკითხად, ხოლო სხვა შემთხვევაში – სამართლის საკითხად.

უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც ფაქტობრივი სიტუაცია გვევლინება, როგორც ქმედების აბსტრაქტული საკანონმდებლო შემადგენლობის ქვეშ სუბსუმირების აუცილებელი ნინაპირობა, იგი არ შეიძლება მივიჩნიოთ წმინდა ფაქტის საკითხად, უფრო მეტიც, ფაქტის შეფასება, როგორც სუბსუმირების ერთ-ერთი ნანამძღვარი, სამართლის საკითხს წარმოადგენს.

მაგალითად, საფრანგეთის იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ფაქტების კვალიფიკაცია წარმოადგენს არა ფაქტის საკითხს, არამედ სამართლის საკითხს.⁵ ამ მხრივ, ფაქტის კვალიფიციერებისას დაშვებული შეცდომა სამართლის ნორმის არასწორად გამოყენებაა, რაც საკასაციო სასამართლოს უშუალო კომპეტენციის საკითხს განეკუთვნება.

ამ შემთხვევაში ფაქტობრივი გარემოებები წარმოადგენს სამართლებრივი შეფასების ობიექტს და მათი კვალიფიკაციით (სუბსუმფციით) შესაძლებელია სწორი სამართლებრივი შედეგის განსაზღვრა.⁶

ცხადია, რომ საკასაციო სასამართლოში ფაქტობრივი სიტუაცია სამართლებრივ საკითხად იმ შემთხვევაში განიხილება, თუ ის (ფაქტობრივი სიტუაცია) სააპელაციო სასამართლომ განსაზღვრა და დაადგინა. ამ შემთხვევაში, ფაქტობრივი გარემოებები სამართლებრივი შეფასების ობიექტია.

მაგრამ ფაქტობრივი საკითხი, კერძოდ, თუ რამდენად მოიაზრებიან წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები მთავარ წინადადებაში (ნანამძღვრად), უკავშირდება ფაქტობრივი გარემოებების არა მარტო განსაზღვრის (ფორმირების), არამედ დადგენის პროცესსაც. ვფიქრობთ, რომ ფაქტის და სამართლის საკითხი ამ შემთხვევაში, თავის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საკასაციო სასამართლოს იურისდიქციის ფრილში.

აღსანიშნავია ისიც, რომ ფაქტის საკითხი, რომელთანაც არა აქვს შეხება საკასაციო სასამართლოს, იურიდიული ნორმის რეალიზაციის პროცესს წარმოადგენს საერთო შემადგენლობის საქმეში.

რეალიზაციის პროცესი, უპირველეს ყოვლისა, უკავშირდება იმას, თუ რომელი ფაქტები მიიჩნია სასამართლომ დადგენილად და როგორ დაადგინა ისინი. აქედან გამომდინარე, სამართლის ნორმით განსაზღვრული რეალიზაციის პროცესი ფაქტობრივი გარემოებების საქმეში ერთ შემთხვევაში, უკავშირდება ფაქტებს, რომლებიც საჭიროებს მტკიცებას და მეორე შემთხვევაში, ფაქტებს, რომლებიც არ საჭიროებს მტკიცებას.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თვითონ განახორციელოს ფაქტობრივი გარემოებების დადგენის პროცესი. მას შეუძლია მხოლოდ შეამოწმოს, თუ რამდენად სწორად განახორციელა ეს პროცესი სააპელაციო სასამართლომ, ისიც იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საამისოდ გათვალისწინებული პროცესუალური წინაპირობები (იხ.: პარ. 4.3.1.). ხოლო მითითებული პროცესის შემოწმების წესი და მოცულობა მოცემულია პროცესუალურსამართლებრივი ნორმებით.

ფრანგულ იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ფაქტობრივი და სამართლებრივი მხარეების განსხვავებას საკასაციო სასამართლოსათვის აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა.⁷ ნებისმიერ დავაში, რომელიც არსებითი მხარის განმხილველ სასამართლო ორგანოს გადაეცემა, ერთობლივად ფასდება ფაქტობრივი და სამართლებრივი მხარეები.⁸ არსებობს შინაგანი კავშირი სამართლის ნორმასა და ფაქტს შორის.⁹ მოსამართლისათვის სირთულე შეიძლება წარმოიქმნას მონაცვლეობით და ერთობლივად, სამი სხვადასხვა კუთხით: უპირველესად, ფაქტების კუთხით, რომელთა დადგენისათვის საჭიროა მხარეების მტკიცება. ეს უკანასკნელი შეიძლება ერთმანეთის საწინააღმდეგო იყოს. ასევე, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც ზოგიერთი მტკიცებულების მქონე ელემენტით უცილობლად არის დადგენილი, მაგალითად, საგზაო მოძრაობასთან დაკავშირებული უბედური შემთხვევის დროს პოლიციის ოქმითა და მოწმეების ჩვენებებით დადგინდა, რომ ფეხით მოსიარულემ გზა მაშინ გადაკვეთა, როდესაც მწვანე შუქი ენთო და მძლოლი მოძრაობდა 60კმ/სთ სიჩქარით.¹⁰ ამ შემთხვევაში, მოსამართლე თავს იკავებს ყველანაირი სამართლებრივი ანალიზისა და ფაქტების კვალიფიკაციისგან. სირთულე შეიძლება შემდეგ წარმოიშვას სამართლებრივი კუთხით, ნორმატიული აქტის ინტერპრეტაციისას, აგრეთვე კანონის ნაკლოვანებიდან (ხარვეზიდან) გამომდინარე.¹¹ ამ მხრივ საინტერესოა საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკა, რომელიც ეხება 1989 წლის 6 ივლისის კანონს, იგი აწესრიგებს ურთიერთობებს გამქირავებელსა და დამქირავებელს შორის. ბოლო ცვლილება ამ კანონში შევიდა 2002 წლის 17 იანვარს.¹² კერძოდ, აღნიშნული კანონის მე-14 მუხლი, რომელიც მიზნად ისახავს ბინის ქირავნობასთან დაკავშირებული ურთიერთობების გაუმჯობესებას, განმარტავს, რომ „დამქირავებლის გარდაცვალების შემთხვევაში, ქირავნობის ხელშეკრულება გადაეცემა „...საყოველთაოდ აღიარებულ მასთან დაუქორწინებელ თანაცხოვრებაში მყოფ პირს.“ აქედან გამომდინარე, საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკაში წამოიჭრა საკითხი, შესაძლებელია თუ არა ამ კანონის ჭრილში ერთი და იმავე სქესის პიროვნების მიჩნევა დაუქორწინებელ თანაცხოვრებაში მყოფ პირებად.¹³

აღნიშნულთან მიმართებაში, 1997 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებაში საკასაციო სასამართლომ უარყოფითი პასუხი გასცა, რადგან: „ქორწინების გარეშე თანაცხოვრებას შეიძლება შედეგად მოჰყვეს ქორწინების აღბათობა მხოლოდ სტაბილური და უწყვეტი ურთიერთობიდან, ე.ი. მამაკაცსა და ქალს შორის.“¹⁴ ამრიგად, მსგავსი სირთულის წინაშე მყოფ მოსამართლეს არავითარი ფაქტობრივი საკითხი არა აქვს გადასაწყვეტი (ამ შემთხვევაში არ იყო განსახილველი, რომ ორი ადამიანი ქორწინების გარეშე თანაცხოვრობდნენ და ეს ყველასთვის იყო ცნობი-

ლი). სასამართლო ახდენს მხოლოდ სამართლებრივი ნორმის ინტერპრეტაციას, იმავე კანონიდან და საერთაშორისო კონვენციების სავარაუდო გამოყენებიდან გამომდინარე.¹⁵

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მითითებული სასამართლო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება 1999 წლის 15 მაისს სამოქალაქო კოდექსში განხორციელებულ ცვლილებებს. კერძოდ, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 515-ე (8) მუხლის თანახმად, თანაცხოვრება წარმოადგენს ფაქტობრივ კავშირს ერთ ან სხვადასხვა სქესის პირებს შორის, რომელთაც აქვთ უნარი, შექმნან მყარი და ხანგრძლივი საერთო ცხოვრება.¹⁶

ამდენად, ზემოაღნიშნული სასამართლოს გადაწყვეტილება ეხებოდა სამართლის ნორმის ინტერპრეტაციის საკითხს. ბოლოს მოსამართლეს შეიძლება გადასაჭრელი ჰქონდეს ფაქტების კვალიფიკაციის პრობლემა ე. ი. ფაქტობრივი მხრიდან სამართლებრივ მხარეზე გადასვლის სირთულე.¹⁷ საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად, მოსამართლე დავას წყვეტს კანონის წესების შესაბამისად, რომლებიც გამოიყენება ამ სიტუაციისათვის. ის აძლევს ან აღადგენს ფაქტების სწორ კვალიფიკაციას და სადავო მოქმედებებს...¹⁸

სიცხადისათვის საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკიდან მოვიტანოთ მაგალითი: ქმარმა მოითხოვა ცოლთან განქორწინება იმ მოტივით, რომ ცოლი უარს ამბობდა მისთვის სადილის გაკეთებაზე. საქმის მასალების მიხედვით, მოსამართლე დადგენილად მიიჩნევს, რომ ცოლი უარს ამბობდა ქმრისთვის სადილის მომზადებაზე. სამოქალაქო კოდექსის 242-ე მუხლი განმარტავს, რომ განქორწინების მოთხოვნა შესაძლებელია მეორე მეუღლისათვის ბრალად წაყენებული ფაქტების გამო, როდესაც ეს ფაქტები შეიცავს ქორწინებასთან დაკავშირებული მოვალეობებისა და ვალდებულებების სერიოზულ და განმეორებით დარღვევას, რაც აუტანელს ხდის ერთად ცხოვრებას.¹⁹ ამის შემდეგ, მოსამართლემ უნდა განაცხადოს, რომ ქმრისათვის სადილის არ მომზადების ფაქტი ზემოთ აღნიშნული კანონის ჩრილში შეიცავს თუ არა ქორწინებასთან დაკავშირებული მოვალეობების სერიოზულ დარღვევას. აქ საქმე გვაქვს საკვალიფიკაციო პროცედურასთან, რომელიც სამართლებრივი ნორმის ზოგადი და აბსტრაქტული არსის დაუმუშავებელ ფაქტებთან შეპირისპირებაში მდგომარეობს, რაც მოიცავს დედუქციურ კვლევას, რომლითაც ფაქტებს იურიდიული კვალიფიკაცია უნდა მიეცეს.²⁰ ამ მაგალითის მიხედვით შევაჯამოთ მოსამართლის მოქმედება. **სამართლის ნორმა:** სამოქალაქო კოდექსის 242-ე მუხლის თანახმად, განქორწინების მოთხოვნა შესაძლებელია ერთი მეუღლის მიერ მეორე მეუღლისთვის ბრალად წაყენებული ფაქტების გამო, როდესაც ეს ფაქტები შეიცავს ქორწინებასთან დაკავშირებული მოვალეობებისა და ვალდებულებების სერიოზულ და განმეორებით დარღვევას, რაც აუტანელს ხდის ერთად ცხოვრებას.²¹ **„დაუმუშავებელი“ ფაქტები:** დადგენილია, რომ ცოლი უარს ამბობს მეუღლისათვის სადილის მომზადებაზე. **ფაქტების კვალიფიკაცია:** შეიცავს თუ არა ეს ქცევა ქორწინებასთან დაკავშირებული მოვალეობებისა და ვალდებულებების სერიოზულ და განმეორებით დარღვევას, რაც აუტანელს ხდის ერთად ცხოვრებას.²²

ზემოაღნიშნული მაგალითიდან ჩანს ფაქტის დამდგენი სასამართლოს კომპეტენცია. ფაქტის საკითხი, რომელიც გამოიხატება ამ ფაქტების დადგენის პროცესთან დაკავშირებულ სპეციფიკასთან. მაგალითად, მტკიცების წესები, რომლებიც განსაზღვრავს მტკიცებულების დასაშვებობასა და განკუთვნადობას (იხ.: თავი პარ. 4.3.3), გამორიცხავს ნებისმიერ ფაქტს, რომელსაც არა აქვს კავშირი საქმესთან.²³ მაგრამ იმ ფაქტების ინტერპრეტაციის საკითხებს, რომლებიც არ უკავშირდება კანონის დარღვევას, საკასაციო სასამართლო ვერ განიხილავს.

ზემოთ განსაზღვრულ სამივე ნაწილში მოსამართლე სარგებლობს სრული უფლებამოსილებით: ფაქტების დადგენის, სამართლებრივი ნორმისა და ფაქტების (ან ქმედებების) კვალი-

ფიკაციის დროს. საკასაციო სასამართლოს არა აქვს იგივე უფლებამოსილებები, რაც საქმის არსებითად განმხილველ სასამართლო ორგანოებს. უზენაესი მოსამართლის რანგში, რა თქმა უნდა, ის სარგებლობს იმ პირობების შემთხვევის უფლებით, რომელშიც საქმის არსებითად განმხილველმა მოსამართლემ განახორციელა თავისი უფლებამოსილებები, მას შეუძლია გააკრიტიკოს შეცდომის გამო გაუქმებული გადაწყვეტილებები, განმარტოს კანონი ე.ი. საჯაროდ გამოაცხადოს ზოგადი და აბსტრაქტული ნორმები²⁴. მაგრამ არის სიტუაციები, როდესაც საფრანგეთის უზენაეს სასამართლოს არა აქვს შეფასების არავითარი უფლება და მხოლოდ ის შეუძლია, რომ საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით შემოიფარგლოს. ასეთია საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს პარადოქსი: სრულიად უფლებამოსილი – ზოგიერთ შემთხვევაში, ზოგიერთში კი – განიარაღებული.²⁵

ჩვენ შემთხვევაშიც უნდა აღინიშნოს, რომ სამართლის საკითხს ვეხებით, როდესაც საკასაციო სასამართლო ერთ შემთხვევაში, ამონიშნავს საპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივ შეფასებას, ხოლო მეორე შემთხვევაში, ამონიშნავს ამ ფაქტობრივი გარემოებების დადგენის პროცესს (ანუ, ფაქტებს, რომლებიც დადგენილად ითვლება, რადგან არ საჭიროებს მტკიცებას და მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დადგენის პროცესს). შესაბამისად, ფაქტის საკითხს ვეხებით ფაქტობრივი გარემოებების დადგენის პროცესის განხორციელებისას.

სამართლის საკითხთან შეხებისას, ერთ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო ამონიშნავს მატერიალურსამართლებრივი ნორმის დარღვევის არსებობას, ხოლო მეორე შემთხვევაში – პროცესუალურსამართლებრივი დარღვევის არსებობას.

ამ უკანასკნელ შემთხვევაში უნდა აღინიშნოს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს არა მარტო ფაქტების დადგენის პროცესში დაშვებული პროცესუალური დარღვევების შემთხვევაში, არამედ როდესაც პროცესუალური დარღვევები წარმოადგენს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს. მიუხედავად იმისა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგა სწორი შედეგი, აღნიშნული დარღვევების (სსსკ-ის 394-ე მუხლი) შემთხვევაში (ერთ-ერთის შემთხვევაშიც), სასამართლო აღარ აგრძელებს გამოკვლევას, რადგან ამ დარღვევის დადასტურება გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების უდავო საფუძველია.²⁶ საკასაციო სასამართლომ მხოლოდ პროცესუალური ხასიათის ფაქტების დადასტურების მიზნით შეიძლება მიიღოს და გამოიკვლიოს მტკიცებულებები. ამასთან, საკასაციო სასამართლოს თვითონ არ შეუძლია დადგენილად ცნოს ესა თუ ის ძირითადი, საძიებელი ფაქტი, არ შეუძლია განახორციელოს ამ ფაქტებსა და მტკიცებულებას შორის კავშირის პროცესის პრაქტიკული (პროცესუალური) რეალიზაცია, რაც ფაქტის დამდგენი სასამართლოს კომპეტენციაა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ფაქტისა და სამართლის საკითხის ურთიერთგამიჯვნის მნიშვნელობა ვლინდება არა მარტო სამართლებრივი შეფასების ობიექტის სწორად განსაზღვრაში, არამედ ამ ობიექტის შემოწმების თავისებურებაში.

შენიშვნები:

- ¹ რაინჰოლდ ციპელიუსი, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მიუნხენი 2006, გვ. 115.
- ² J. Biffet, Le contrôle de la Cour de cassation et le pouvoir souverain. La Cour de cassation et l'élaboration du droit, Economica, 2004, p. 115
- ³ იხ.: ციტი. მიხედვით, Гражданский процесс зарубежных стран, под ред. А.Г. Давтян, М. 2009 с.340//BGH NIW 1987, 1557, 1558, 1991, 1894, 1895.
- ⁴ იხ.: იქვე, გვ. 340.
- ⁵ Boré.J., La cassation en matière civile, Paris, 1997, 2-е partie. p. 290.
- ⁶ К. В. Балакин, диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Обжалование постановлений судов гражданской юрисдикции во Франции, М., 2001, с.120.
- ⁷ J. L. Aubert, La distinction du fait et du droit dans le pourvoi en cassation en matière civile, D. 2005, 1115.
- ⁸ Marie-Noëlle Jabard-Bachelier, La technique de cassation, pourvois et arrêts en matière civile, 2010, p.50
- ⁹ Cueto-Rua J. Judicial Methods of Interpretation of the Law. 1981. p. 25/ citirebulia А. Барак. Судейское усмотрение, М., 1999, с. 26.
- ¹⁰ Marie-Noëlle Jabard-Bachelier, La technique de cassation, pourvois et arrêts en matière civile, 2010, p.50.
- ¹¹ იხ.: იქვე, გვ. 50.
- ¹² Loi n°2002-73 du 17 janvier 2002 de modernisation sociale /<http://www.legifrance.gouv.fr/affichTexte.do?cidTexte=LEGITEXT000006069108&dateTexte=20100830>
- ¹³ Marie-Noëlle Jabard-Bachelier, La technique de cassation, pourvois et arrêts en matière civile, 2010, p.50-51
- ¹⁴ იხ.: იქვე, გვ. 51.
- ¹⁵ იხ.: იქვე, გვ. 51.
- ¹⁶ Code civil art: 515 (8), 2006.
- ¹⁷ Marie-Noëlle Jabard-Bachelier, La technique de cassation, pourvois et arrêts en matière civile, 2010, p. 51.
- ¹⁸ Code de procédure civile, art. 12, 2008.
- ¹⁹ Marie-Noëlle Jabard-Bachelier, La technique de cassation, pourvois et arrêts en matière civile, 2010, p. 51.
- ²⁰ იხ.: იქვე, გვ. 51.
- ²¹ Code civil art: 212, 2006.
- ²² Marie-Noëlle Jabard-Bachelier, La technique de cassation, pourvois et arrêts en matière civile, 2010, p. 51.
- ²³ А. Барак, Судейское усмотрение, М., 1999, 236.
- ²⁴ Marie-Noëlle Jabard-Bachelier, La technique de cassation, pourvois et arrêts en matière civile, 2010, p. 52-53.
- ²⁵ იხ.: იქვე, გვ. 53.
- ²⁶ ვ. ხრუსტალი. კასაცია სამოქალაქო სამართალწარმოებაში. დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, 2004, გვ. 63.

THE ISSUE OF SEPERATION BETWEEN THE FACT AND LEGAL MATTER

TEMURAZ TODRIA
Judge of the Supreme Court of Georgia

It is crucially importnat that the Court of Cassation correctly determines the subject of appealed decision.

We bilieve that in order to claiify this issue, we need to define the difference between the fact and the legal matter.

We are interested to differntiate between the fact and the legal matter as we have to identify the subject legal varification, in other words, through discussing these issues, we will try to seperate these issues.

It is often difficult to determine what we are dealing with – the fact or the legal matter. As it is known, the legal matter is the introduction to the legal conclusion. This icludes the extended norms used for varifying factual cicumstances of the legal norm. Factual matters refer to what extent the presented facts are envisaged in the main sentence (introcudtion).¹

When we speak about the essential sign of the authority of the Court of Cassation, like the legal essessment, it is necessary to take into consideration many aspects. Especially when the court carries out the qualification of the facts and checks the procedural violations.

¹ Rainhold Tsepelius, Science of Legal Methods, Munich 2006.page 115

მტკიცების ტვირთის თავისებურება საერთო სამართალში – დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამართლის მიხედვით

ილონა გაბუა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი

1. მტკიცების ცნება და მისი მნიშვნელობა ინგლისის სამოქალაქო საპროცესო სამართალში

ინგლისის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ შეიცავს მტკიცების საკანონმდებლო განსაზღვრებას¹. პროცესუალურ ლიტერატურაშიც დიდი ყურადღება არ ეთმობა მოცემული პროცესუალური კატეგორიის თეორიულ კვლევას.

სასამართლო მტკიცება საქმეში მონაწილე დაინტერესებული პირების საქმიანობას წარმოადგენს, რომელიც მიმართულია მტკიცებულებათა შეგროვების, წარმოდგენისა და გამოკვლევისაკენ². მტკიცებულებათა შეგროვება და განხილვა, როგორც წესი, მიმდინარეობს საქმის სასამართლო განხილვისათვის მომზადების ეტაპზე. მტკიცებულებათა შეფასების პროცესი მიმდინარეობს მოსამართლის გონებაში და ემორჩილება ლოგიკის კანონებს. მტკიცების პროცესი არ მიმდინარეობს ყველა სამოქალაქო დავის განხილვისას. მტკიცების პროცესის ინიცირება

ხდება იმ მოპასუხის მიერ, რომელიც არ ეთანხმება მის წინააღმდეგ წარდგენილ სასარჩელო მოთხოვნას. იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე ეთანხმება სასარჩელო მოთხოვნას, მაშინ მოსარჩელე გათავისუფლებულია თავისი სიმართლის დამტკიცებისაგან. ასეთ შემთხვევაში, ეს უკანასკნელი არ არის ვალდებული წარმოადგინოს და გამოაქვეყნოს მის ხელთ არსებული მტკიცებულებები.

2. მტკიცებულებათა კლასიფიკაცია და მისი სახეები ინგლისის სამოქალაქო საპროცესო სამართალში

მტკიცებულებად მიჩნეულია ნებისმიერი მასალა, რომელიც სასამართლოს დაარწმუნებს ამა თუ იმ ფაქტის სისწორესა თუ უსწორობაში³. მტკიცებულება უნდა პასუხობდეს განკუთვნილობისა და დასაშვებობის პრინციპებს. 1995 წლის კანონით „სამოქალაქო საქმეზე მტკიცებულებათა შესახებ“ მტკიცებულებათა დასაშვებობის მარეგულირებელი ზოგიერთი ნორმა ძალადაკარგულად გამოცხადდა. თუმცა მოქმედებს წესი გამოქვეყნებული მასალების დასაშვებობის შესახებ, რომელიც შეეხება საზოგადოებრივი ხასიათის ოფიციალურ დოკუმენტებს (სამეცნიერო შრომები, ლექსიკონები, რუკები), სახელმწიფო ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებულ ოფიციალურ დოკუმენტებს (სახელმწიფო რეესტრი, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ გაკეთებული მოხსენება საზოგადოებისათვის ზოგად საინტერესო საკითხების შესახებ), სხვა დოკუმენტებს (შეთანხმება და ა.შ.) მათში მოხსენებული ფაქტების დამტკიცების სახით⁴.

მტკიცებულება საქმესთან დაკავშირებულად ითვლება, თუ მასსა და განსაზღვრულ ფაქტს შორის არსებობს კავშირი, რაც შესაძლებლობას იძლევა დადასტურდეს ის გარემოება, რომელსაც მხარე აფუძნებს თავის პოზიციას. მტკიცებულებათა წარმოდგენის მიზანი არის ამა თუ იმ ფაქტის დამტკიცების სურვილი. მტკიცებულება, რომელიც ხელს უწყობს ამ პროცესს განკუთვნიადია, ხოლო რომელიც არ უწყობს ხელს – არ არის განკუთვნიადი.

არაგანკუთვნიადია მტკიცებულება, რომელიც შეეხება იმ გარემოებას, რომელსაც კავშირი არა აქვს განსახილველი დავის საგანთან და ის ყოველთვის დაუშვებელია. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ყველა განკუთვნიადი მტკიცებულება დასაშვებია. ინგლისურ სამართალში არსებობს მთელი რიგი შემთხვევები, როდესაც განკუთვნიადი მტკიცებულებები დაუშვებელია. ამის მიზეზია საზოგადოებრივი ინტერესები, პირადი პრივილეგიის არსებობა და ა.შ.

ინფორმაციის ზოგიერთი სახეობა სამართალწარმოების პროცესში დაცულია გამოქვეყნებისაგან პრივილეგიის არსებობის გამო. პრივილეგია იყოფა აბსოლუტურ და შეფარდებით პრივილეგიად. აბსოლუტური პრივილეგია ინფორმაციას გამორიცხავს განხილვისაგან არა მხოლოდ ღია, არამედ დახურულ სასამართლო სხდომაზეც. აბსოლუტური პრივილეგიით სარგებლობენ სოლისტერები⁵ იმ მონაცემების თაობაზე, რომლებიც მათთვის ცნობილი გახდა კლიენტისათვის სამართლებრივი მომსახურების განევის პროცესში. შეფარდებითი პრივილეგია იცავს ინფორმაციას მხოლოდ ღია სასამართლო სხდომაზე განხილვისაგან და მხოლოდ განსაზღვრული პირობების არსებობისას, რომელიც მდგომარეობს აუცილებელი საზოგადოებრივი ინტერესების დაცვაში. ამ ორი სახის პრივილეგიის გავრცელების საკითხს ყოველ კონკრეტულ საქმეზე წყვეტს სასამართლო მტკიცებულებათა გამოქვეყნების ეტაპზე⁶.

ერთმანეთისაგან განასხვავებენ მტკიცებულებას და მტკიცებულების მატარებელს. მტკიცებულების მატარებელია დოკუმენტი, ნივთი, მონმე, ხოლო თვით მტკიცებულება – მასში განსაზღვრული წესით განმტკიცებული ინფორმაციაა.

ინფორმაციის მატარებლის მიხედვით გამოიყოფა მტკიცებულებათა შემდეგი სახეები: 1. ინფორმაცია, რომელიც არსებობს დოკუმენტებში (წერილობითი მტკიცებულებები); 2. ინფორმაცია, რომელიც გადმოცემულია მონმეთა ჩვენებებში (ზეპირი მტკიცებულებები); 3. საექსპერტო მტკიცებულება; 4. სხვისი სიტყვებით ჩვენება; 5. ნივთიერი მტკიცებულება; 6. აფიდევიტი.

ყურადღებას შევაჩერებთ ქართული საპროცესო სამართლისათვის უცნობი მტკიცებულების ისეთ სახეებზე როგორცაა: აფიდევიტი და ჩვენება სხვისი სიტყვების სახით.

1995 წლის კანონი „სამოქალაქო საქმეზე მტკიცებულებათა შესახებ“ დასაშვებად მიიჩნევს სხვისი სიტყვებით ჩვენებას, როგორც განცხადებას, რომელიც გაკეთებულია სხვა პირის მიერ და არა იმ პირის მიერ, ვინც უნდა მისცეს ზეპირი ჩვენება სასამართლოში⁷. ჩვენება სხვისი სიტყვებით ეს არის ინფორმაცია ფაქტის შესახებ მიღებული არა პირველწყაროდან, არამედ მისი მატარებლისაგან⁸. ინგლისურ პროცესუალურ მეცნიერებაში განასხვავებენ სხვისი სიტყვებით ჩვენებას პირველი ან მეორე ხელიდან. იმის მიხედვით, თუ რამდენი წინა პირები არსებობენ ინფორმაციის სასამართლოსათვის მიმწოდებლად⁹. ინფორმაციის პირველწყაროს შეიძლება წარმოადგენდეს არა ადამიანი, არამედ რაიმე დოკუმენტი, რომლის სასამართლო სხდომაზე წარმოდგენა შეუძლებელია. სხვისი სიტყვებით ჩვენებად შეიძლება მიჩნეული იყოს ასევე ინფორმაცია, რომელიც შეიცავს მონმის წერილობით ჩვენებას, იმ პირობით, რომ განცხადების გამკეთებელი პირი (მონმე) არ იქნება გამომძახებული სასამართლოში ზეპირი ჩვენების მისაცემად, ჩვენება სხვისი სიტყვებით ფაქტობრივად წარმოებული მტკიცებულების ანალოგია. სხვისი სიტყვებით ჩვენებაზე ისევე, როგორც ჩვეულებრივი მონმის ჩვენებაზე ვრცელდება მოთხოვნა კომპეტენტურობის შესახებ. აღნიშნული გულისხმობს, რომ განცხადება, რომელიც მოყვანილია სხვისი სიტყვებით ჩვენების სახით უნდა გაკეთდეს იმ პირის მიერ, რომელიც განცხადების გაკეთების დროისათვის ფლობდა მონმედ ყოფნის კომპეტენტურობას¹⁰.

აფიდევიტი არის წერილობითი, ფიცის ქვეშ გადმოცემული ჩვენება ან მონმის საზეიმო განცხადება. აფიდევიტი შესაძლებლობას იძლევა მიღებულ იქნეს ინფორმაცია მონმისაგან ან/და პროცესის სხვა მონაწილეებისაგან, რომლებიც ვერ ცხადდებიან პროცესზე ჩვენების მისაცემად. მონმის ჩვენების აფიდევიტის ფორმაში მიცემის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება სასამართლოს ან მხარის ინიციატივით. პირი, რომელიც იძლევა ჩვენებას აფიდევიტის ფორმით ან საზეიმო ვითარებაში იწოდება დეპონენტად. დოკუმენტი ხელმოწერილი უნდა იქნეს უფლებამოსილი პირისა და დეპონენტის მიერ¹¹.

3. მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილება ინგლისის სამოქალაქო საპროცესო სამართალში

ერთმანეთისაგან განასხვავებენ მტკიცების ტვირთს და მტკიცებულებათა წარმოდგენის ტვირთს. პირველი დაკავშირებულია მატერიალური სამართლის ნორმებთან, ხოლო მეორე კი, ძირითადად, ამ ტვირთის მატარებელ სუბიექტებთან.

სამართალწარმოების დასაწყისში მოსარჩელე ორი სახის ბარიერს აწყდება. დასაწყისში მან უნდა წარმოადგინოს საკმარისი მტკიცებულებები. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსამართლე შეწყვეტს საქმეზე სამართალწარმოებას. თუკი მოსარჩელე გადალახავს ამ ბარიერს, მას ელოდება შემდგომი ბარიერი – დამტკიცების ტვირთი, რაც მდგომარეობს სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების დადასტურებაში¹².

ინგლისური კანონმდებლობა დასაშვებად მიიჩნევს მტკიცებულებათა შეგროვებასა და გამოქვეყნებას ჯერ კიდევ, სასამართლოში საქმის წარმოების დაწყებამდე. მტკიცებულებათა წარმოდგენის ტვირთი დავის არსის დადგენაში, სხვა სიტყვებით, დავის შემადგენელი ძირითადი საკითხების გამოვლენაში მდგომარეობს. მოსამზადებელ სტადიაზე ხდება დავის საგნის დადგენა და შეჯიბრებითი ქალაქდების გაცვლა, რაც ხელს უწყობს მხარეთა ინფორმირებულობასა და სასამართლო სხდომაზე მოულოდნელობის ეფექტის თავიდან აცილებას. ინგლისურ სამართალწარმოებაში მტკიცების ტვირთი ემიჯნება მტკიცებულებების წარმოდგენის ვალდებულებას, რამდენადაც მისი შესრულება არ გულისხმობს რაიმე ფაქტის დამტკიცებას, აუცილებელია მხოლოდ მტკიცებულებათა „მოხმობა“. მტკიცებულებათა წარმოდგენის ტვირთის გადატანა ერთი მხარიდან მეორე მხარეზე შეუძლებელია. თუკი მტკიცებულებების წარმოდგენის ვალდებულების პრაქტიკული რეალიზაცია უზრუნველყოფს საქმის განხილვას ამისათვის საჭირო საკმარისი მასალებით, მაშინ მტკიცების ტვირთის შესაბამისად, მხარემ უნდა დაამტკიცოს თავისი სიმართლე იმდენად ზედმინვენიტ ზუსტად და ნათლად, რომ სასამართლოს არანაირი ეჭვი არ წარმოემვას, თუ ვის სასარგებლოდ გამოტანოს გადაწყვეტილება.

მტკიცების ვალდებულება გულისხმობს ორი ასპექტის არსებობას. პირველი, ყოველი მხარე ვალდებულია დაამტკიცოს ის გარემოებები, რომელზედაც იგი აფუძნებს თავის მოთხოვნას. ამ მიზნით განისაზღვრება ფაქტების ჯგუფი, რომლებიც უნდა ადასტუროს მხარემ. მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის ამგვარი განაწილება არ თამაშობს განსაკუთრებულ როლს, რადგან ყოველთვის ის, ვინც მოითხოვს, არ ამტკიცებს. ამ ტვირთის პრევალირებულ დანიშნულებას ატარებს მეორე მხარე. მისი დახმარებით შეიძლება დადგინდეს პროცესის ის მონაწილე მხარე, რომელიც წააგებს პროცესს, თუ არ წარმოადგენს შესაბამის, ღირებულ მტკიცებულებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მტკიცების ტვირთი აწევს იმ მხარეს, რომელმაც შეიძლება წააგოს პროცესი, თუ არ იქნება წარმოდგენილი მტკიცებულებები. მოცემული წესის სპეციფიკა მდგომარეობს შემდეგში: თუ სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს მოპასუხე არ ხდის სადავოდ, მაშინ მოსარჩელე გათავისუფლებულია მათი მტკიცებისაგან. ასეთ შემთხვევაში, მოსარჩელეს არ აწევს სასარჩელო მოთხოვნის მატერიალური საფუძვლების მტკიცების ტვირთი და იგი მტკიცებულებების წარმოდგენის გარეშე იკმაყოფილებს პრეტენზიას. თუ მოპასუხე არ ეთანხმება მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებას, მაშინ მოსარჩელე ვალდებულია დაამტკიცოს სადავო გარემოება. ამგვარად, მტკიცების ტვირთის არსი ინგლისის საპროცესო სამართალში შეიძლება გამოიხატოს შემდეგი სიტყვებით: ამტკიცებს ის, ვისაც არ სურს დავის წაგება.

მტკიცების ტვირთის მოდავე მხარეებზე განაწილება წარმოგვიდგება, როგორც სასამართლოს აქტიური როლის შეზღუდვის წინაპირობა. იგულისხმება „ფორმალური ჭეშმარიტების პრინციპი“, რომლის დანაწესით სასამართლო მხოლოდ ხელმძღვანელობს სამოქალაქო საქმის მოძრაობას. ხელმძღვანელობის ეს ელემენტი განმტკიცებულია 1995 წლის „სამოქალაქო სამართალწარმოების შესახებ“ წესებში.¹³ სამოქალაქო სამართალწარმოების წესები სასამართლო ხელმძღვანელობას ჰყოფს ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება სასამართლოს ვალდებულება

მიუთითოს მხარეებს ერთმანეთთან თანამშრომლობისაკენ¹⁴ და მეორე ჯგუფს მიეკუთვნება პროცესის წარმართვის ვალდებულება. ამ მიზნით, სასამართლომ სარჩელის წარდგენიდან მაქსიმალურად სწრაფად უნდა მოახდინოს სადავო ასპექტების იდენტიფიცირება¹⁵; მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა შევსებაში, კერძოდ, ჩაატაროს მოსმენა და შეაგროვოს მტკიცებულებები სატელეფონო თუ სხვა კომუნიკაციის საშუალებით; გააგრძელოს ან შეამოკლოს საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა; შეაჩეროს საქმის განხილვა ამა თუ იმ მოვლენამდე ან ვადამდე; მოუწოდოს მხარეს ან მის წარმომადგენელს გამოცხადდეს სასამართლოში და ა.შ.¹⁶. უფრო მეტიც, ბრიტანეთის სამოქალაქო სასამართლო უფლებამოსილია გააკონტროლოს მტკიცებულებათა შეგროვების პროცესი სადავო საკითხებზე და მათი სასამართლოში წარმოდგენის ხერხებზე მითითებით¹⁷. სასამართლო ხელმძღვანელობის ვალდებულება ემსახურება საქმის სამართლიან დასრულებას¹⁸.

ინგლისში დომინირებული დისპოზიციურობის პრინციპის შინაარსი შეიცვალა და საქმის განხილვა უკვე არ არის დამოკიდებული მხოლოდ დაინტერესებულ პირთა ნების გამოვლენაზე. საერთო სამართალი სასამართლო პროცესს უყურებს, როგორც თავისებურ ტურნირს, სადაც მოსამართლე არბიტრის როლს ასრულებს. თითოეულმა მხარემ უნდა წარმოადგინოს თავისი მტკიცებულებანი.

4. მტკიცების ცნება და მისი მნიშვნელობა აშშ-ის სამოქალაქო საპროცესო სასამართლოში

აშშ-ში მტკიცებულებითი სამართალი სამართლის დამოუკიდებელ დარგს წარმოადგენს. მისი ფორმირება მიმდინარეობდა ტრადიციული საერთო სამართლის ფარგლებში.¹⁹ მსგავსად სხვა დანარჩენი მიმართულების ამერიკული სამართლებრივი აზროვნებისა, მტკიცებულებითი სამართლის თეორია გამოყენებით ხასიათს ატარებს. იგი მიმართულია მტკიცებულებების შესახებ წესების შემუშავებისაკენ და ლიტერატურაში ძნელად შევხვდებით გულახდილ სამეცნიერო პოლემიკას სასამართლო მტკიცებულებებისა და მტკიცებულებითი სამართლის შესახებ, მტკიცებულებათა განკუთვნიადობისა და დასაშვებობის შესახებ. ამაში გადამწყვეტი როლი შეასრულა სასამართლო ორგანოების საქმიანობამ²⁰. სასამართლო პრეცედენტის აქტიური ფორმირებით მტკიცების სფეროში და მხოლოდ 1975 წელს „მტკიცებულებების შესახებ ფედერალური წესების“ შექმნით მტკიცებულებითმა სამართლმა მიიღო ნორმატიული განმტკიცება²¹.

მტკიცებულებების შესახებ ფედერალური წესები შეიძლება განვიხილოთ როგორც მტკიცებითი სამართლის საფუძველი²². მტკიცებულებების შესახებ ფედერალურმა წესებმა ზეგავლენა მოახდინა მტკიცებითი სამართლის დარგის ფორმირებაზე მთელს აშშ-ში. უმეტეს შტატებში მისი მიღებიდან პირველი თორმეტი წლის მანძილზე მის საფუძველზე, შეიმუშავეს კოდექსები. თუკი რომელიმე შტატში არ არის კოდექსი მტკიცებულებების შესახებ, მაშინ სასამართლო მიმართავს მტკიცებულებების შესახებ ფედერალურ წესებსა და სამოქალაქო პროცესის ფედერალურ წესებს. ამავდროულად უნდა ითქვას, რომ ფედერალური წესები მტკიცებაზე და მტკიცებულებებზე ყველა საკითხს არ არეგულირებს²³. ამ მიმართებით, პრეცედენტის საგრძნობი როლი მტკიცების პროცესის მიმართ უწინდებურად შენარჩუნებულია²⁴.

5. მტკიცებულებათა კლასიფიკაცია და მისი სახეები აზვ-ის სამოქალაქო საპროცესო სამართალში

მტკიცებულებები უნდა ფლობდეს ისეთ ნიშნებს, როგორიცაა განკუთვნიადობა, დასაშვებობა, სანდოობა. მტკიცებულებათა განკუთვნიადობა ემსახურება სარჩელთან დაკავშირებული ფაქტის დადგენას. მტკიცებულება და საქმეზე დასადგენი ფაქტები განსაზღვრულ კავშირში უნდა იყოს ერთმანეთთან. ხსენებული კავშირი არსებობს ობიექტურად და მისი არსი ნიშნავს, რომ განკუთვნილი მტკიცებულებების საფუძველზე შეიძლება დადგინდეს გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს კონკრეტული საქმისათვის. მეორეც, გარემოებას მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს განსახილველ საქმესთან, კერძოდ, უნდა შედიოდეს მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების ჯგუფში, რომლებიც განისაზღვრებიან მატერიალური სამართლის ნორმების საფუძველზე²⁵. იმისათვის, რომ გადაწყდეს წარმოდგენს თუ არა ესა თუ ის მტკიცებულება მოცემულ საქმეზე განკუთვნიადს, სასამართლომ უნდა განსაზღვროს ფაქტების ჯგუფი, რომლებიც შედიან მტკიცების საგანში ანუ განსაზღვროს საქმესთან დაკავშირებული ფაქტები, ხოლო შემდეგ კი, ამ ფაქტების საფუძველზე, განსაზღვროს საქმესთან დაკავშირებული მტკიცებულებები.

კანონი ზოგიერთ შემთხვევებში ნებას რთავს სასამართლოს თავისი შეხედულებით გამოთიშოს საქმესთან დაკავშირებული მტკიცებულებები. ასე მაგალითად, მტკიცებულებათა შესახებ ფედერალური წესების 403-ე წესის შესაბამისად, საქმესთან დაკავშირებული მტკიცებულება შეიძლება გამოეთიშოს საქმეს იმ შემთხვევაში, თუ მისი მტკიცებულებითი მნიშვნელობა საშიშროებით ემუქრება მსაჯულთა უსამართლო დარწმუნებას, დაბნევას ან სამართალწარმოების გაუმართლებელ დაყოვნებას, დროის დაკარგვას ან სასამართლოში მიკერძოებული მტკიცებულებების უსარგებლო წარმოდგენას²⁶. დასახელებული სამართლის ნორმა მოსამართლეს ფართო უფლებამოსილებას ანიჭებს გადაწყვიტოს საკითხი მტკიცებულების დასაშვებად ცნობის შესახებ. მოცემული საკითხი უნდა გადაიჭრას შემდეგნაირად: უნდა შევადაროთ საქმესთან დაკავშირებული მტკიცებულება იმ უარყოფით შედეგს, რომელიც შეიძლება მან გამოიწვიოს მსაჯულებზე ზეგავლენის თვალსაზრისით. ჩვეულებრივ რისკი უკავშირდება ემოციურ ზემოქმედებას მსაჯულებზე – ანუ მტკიცებულებებმა შეიძლება გამოიწვიოს საშინელება, შიშის ზარი ან/და პირიქით, თანაგრძნობა. ორივე ეფექტს შესწევს უნარი ხელი შეუშალოს მსაჯულებს გამოიტანონ სწორი ვერდიქტი²⁷.

მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის განხილვისას გვინდა შევეხოთ მტკიცებულებათა ისეთ სახეს, როგორიცაა სხვისი სიტყვებით ჩვენება²⁸. მტკიცების აღნიშნული სახე სიფრთხილით გამოიყენება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ ფაქტის დასადგენად. ისმის კითხვა: სასამართლოს გარეთ გაკეთებულ განცხადებას, აღიარებას, დადასტურებას დასაშვებად მიიჩნევს მტკიცებითი სამართალი? ხსენებული წესი დასაშვებად არის მიჩნეული. ზოგადად, სასამართლო სხდომაზე აუცილებელია დაიკითხოს ის პირები, რომლებმაც უშუალოდ აღიქვეს შესაბამისი გარემოება და სასამართლო არ დაკმაყოფილდეს ამ ფაქტის შესახებ მონაცემების სხვა პირებისაგან მიღებით. სხვისი სიტყვებით ჩვენების წესი ვრცელდება მხოლოდ ისეთ განცხადებებზე, რომლებიც გაკეთებულია პირის მიერ სასამართლო პროცესის გარეთ და ის შეეხება ისეთ ინფორმაციას, რომლის ნამდვილობაშიც აუცილებელია მოსამართლის დარწმუნება.

სხვისი სიტყვებით ჩვენებაში მხოლოდ ზეპირი ჩვენება არ იგულისხმება, მასში ასევე მოიაზრება წერილობითი განცხადებები, ვიდეოს მიერ ოდესღაც გაკეთებულ წერილში, ანდერძში, განკარგულებაში, დღიურებში და ა.შ რომლებიც არ არის გაკეთებული საპროცესო დარბაზში²⁹.

პრინციპული მნიშვნელობის მქონეა მიზანი, რომლისთვისაც ხდება სხვისი სიტყვებით ჩვენების მიცემა. დაუშვათ, რომ მონმე იძლევა ჩვენებას სასამართლოში იმის თაობაზე, რომ ის იყო კოლორადოში და ესაუბრებოდა ძმას, რომელიც იმყოფებოდა ლონდონში და აცნობა, რომ ლონდონში წვიმდა. თუკი მოცემული ჩვენების დახმარებით აუცილებელია დადასტურდეს ფაქტი პირის ლონდონში ყოფნის შესახებ, მაშინ ეს დასაშვები მტკიცებულებაა. ამავდროულად, ლონდონში წვიმის არსებობის შესახებ ფაქტის დასადაგენად ეს დაუშვებელი მტკიცებულებაა.

სხვისი სიტყვებით ჩვენების შესახებ ფედერალური წესი ითვალისწინებს გამონაკლისების რამდენიმე ჯგუფს, რომლის თანახმად, სხვისი სიტყვებით ჩვენებაში არ მოიაზრება:

1. განცხადება, რომელიც წარმოდგენილია იმ მხარის საწინააღმდეგოდ, ვინც განცხადება გააკეთა. ასე მაგალითად, თუ მხარემ წარადგინა სარჩელი ზიანის ანაზღაურების შესახებ მძღოლის წინააღმდეგ და ინციდენტიდან დაუყოვნებლივ მძღოლმა თქვა, რომ ის არ ხედავდა წითელ შუქს, მოსარჩელე უფლებამოსილია დაეყრდნოს ამგვარ ფაქტს ავტომობილის ცუდად მართვის შესახებ ფაქტის დასადასტურებლად.
2. ამა თუ იმ მოვლენის აღწერის ან/და განმარტების შესახებ დასაშვებია გაკეთდეს განცხადება, ამ მოვლენის აღქმის პროცესში ან განმცხადებლის მიერ დაუყოვნებლივ ამ მოვლენის დამთავრებიდან. ასევე, დასაშვებია გაკეთდეს განცხადება იმ პირის მიერ, რომელმაც აღიქვა ესა თუ ის მოვლენა ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რაც გამოიწვია მოცემულმა მოვლენამ. მსგავსი განცხადებებისადმი, გამობატულებებისადმი მაღალი ნდობის გარანტიად ითვლება, რომ ის ატარებს სპონტანურ ხასიათს. ძლიერი სულიერი აღელვება, რომელიც ხელს უშლის ფალსიფიკაციას³⁰.
3. სტატისტიკური ჩანაწერები, რომელიც ეხება შობადობას, გარდაცვალებას, ბავშვების სიკვდილიანობას, ქორწინების რეგისტრაციას შესრულებული უფლებამოსილი სახელმწიფო მოხელის მიერ ასევე, მიიღება სასამართლოს მიერ ამ ქაღალდების შემდგენელი პირების დაკითხვის გარეშე³¹.
4. რელიგიური ორგანიზაციის მიერ გაკეთებული ჩანაწერები დაბადების, ქორწინების, განქორწინების, გარდაცვალების შესახებ, ასევე, სხვა ფაქტების შესახებ მიიღება სასამართლოს მიერ მითითებული აქტების შემდგენელი პირების დაკითხვის გარეშე³².
5. თორმეტ წელზე მეტი სიძველის მქონე დოკუმენტებში მოცემული განცხადებები მიიჩნევა სანდოდ³³.

სხვისი სიტყვებით ჩვენების წესებიდან არსებობს გამონაკლისების სხვა ჯგუფიც³⁴. ხსენებული ნორმა ეხება მხოლოდ მონმეს და გამოიყენება ისეთ შემთხვევებში, როდესაც მას: 1. კანონიერი უფლება აქვს უარი თქვას ჩვენების მიცემაზე ან სარგებლობს ე.წ. პრივილეგიით³⁵; 2. უარს აცხადებს ჩვენების მიცემაზე, მიუხედავად სასამართლოს მოთხოვნისა და ჩვენების მიცემის აუცილებლობისა; 3. ეყრდნობა მეხსიერების დაქვეითებას; 4. მიუწვდომელია სასამართლოსათვის.

6. მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილება აშშ-ის სამოქალაქო საპროცესო საკანონმდებლო აქტებში

ამერიკის სამოქალაქო საპროცესო საკანონმდებლო აქტებში მოქმედი შეჯიბრებითობის პრინციპის თანახმად, მტკიცებულებებს აგროვებენ მხარეები. მტკიცების ტვირთს აქვს რთული სტრუქტურა.

ის ორი შემადგენლობის ერთობლიობას წარმოადგენს: მტკიცებულებათა წარმოდგენის ტვირთი და დარწმუნების ტვირთი.

მტკიცებულებათა წარმოდგენის ტვირთის შესაბამისად, მოსარჩელემ სარჩელში უნდა მიუთითოს სასარჩელო მოთხოვნა და მოახდინოს სარჩელის ფაქტობრივი გარემოებების დემონსტრირება. მხარემ უნდა დაარწმუნოს მსაჯულები თავისი პოზიციის მართებულობაში³⁶. თუ კონკრეტულ საქმეში მხარე არ დავობს ფაქტების არსებობის თაობაზე, მაშინ მტკიცებულებათა წარმოდგენა აუცილებელი არ არის. დავა შეიძლება გადაწყდეს მხარეთა მიერ წარმოდგენილი წერილობითი განმარტებითა და ადვოკატის მოხსენებით. მოსამართლე განსაზღვრავს რომელი მხარე წააგებს დავას იმ შემთხვევაში თუ, კონკრეტული ფაქტის ნამდვილობის აღიარებისათვის არ იქნება წარმოდგენილი საკმარისი და ხარისხიანი მტკიცებულება.

დარწმუნების ტვირთი ძირითადად, გათვლილია მსაჯულებზე. მას ხშირად ეძახიან დაურწმუნებლობის რისკს. მხარე, რომელიც ატარებს დარწმუნების ტვირთს, წააგებს პროცესს, თუკი ვერ შეძლებს მოსამართლისა და მსაჯულების დარწმუნებას საქმის ფაქტობრივ გარემოებებში³⁷.

კითხვა იმის შესახებ, თუ რომელმა მხარემ უნდა დაამტკიცოს ესა თუ ის გარემოება წყდება სასამართლოს მიერ. ზოგადი წესის თანახმად, ამტკიცებს ის, ვინც მიუთითებს ამა თუ იმ ფაქტის არსებობაზე ან არარსებობაზე. თუმცა, ამ ზოგადი წესიდან არსებობს გამონაკლისი, რომელიც განპირობებულია მატერიალურსამართლებრივი ურთიერთობების განსაკუთრებული ხასიათით, უარყოფითი ფაქტების დამტკიცების სირთულითა და სხვა გარემოებებით³⁸.

მტკიცებულებათა შესახებ ფედერალურ წესებში ვერ შევხვდებით მტკიცების ტვირთის განაწილების მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებს. დასახელებული ნორმები ფორმულირდება შტატების პროცესუალურ კანონმდებლობაში და დოქტრინაში³⁹.

სამოქალაქო პროცესის ფედერალური წესების მოთხოვნაა, რომ მხარემ სარჩელის სასამართლოში წარდგენისას მიუთითოს მოთხოვნის საფუძვლებზე, ანუ ფაქტებზე, რომელთა საფუძველზეც წარმოიშობა სადავო სამართალურთიერთობა⁴⁰. მოსარჩელის მიერ მიუთითებული ფაქტებითა და მოპასუხის შეპასუხებით სასამართლო საბოლოოდ, განსაზღვრავს თუ, რომელი მხარე ატარებს მტკიცებულებათა წარმოდგენის ტვირთს⁴¹.

დოქტრინაში მტკიცებულებების იურიდიული ძალის აღნიშვნის მიზნით გამოიყენება ტერმინი „პირველი შეხედვით საკმარისობის შესახებ“⁴² ან „ცხადი მტკიცებულება“⁴³. მათი დახმარებით აღნიშნავენ სიტუაციას, როდესაც მხარე წარმოადგენს რამდენიმე „ძლიერ“ მტკიცებულებას, რომლითაც სხვა დასკვნამდე მისვლა, ვიდრე ის, რაც მისგან გამომდინარეობს, შეუძლებელია. აშკარაა, რომ მტკიცებულებების „ძალის“ განსაზღვრა მოსამართლოს შეხედულებით ხდება. „პირველი შეხედვით საკმარის“ მტკიცებულებათა ჯგუფს მიეკუთვნება მსაჯულების წინაშე მიცემული ჩვენება ხელისუფლების მოხელეების მიერ შესრულებული მოქმედებების შესახებ, რომლებსაც ადგილი ჰქონდა მათ მიერ სამსახურებრივი ვალდებულების შესრულების პროცესში და ჩანაწერები სახელმწიფო ოფიციალურ რეესტრში და წიგნებში რაიმე ფაქტების არსებობის ან არარსებობის შესახებ. იგივე ძალის მქონეა გეოგრაფიული რუკები, საადგილმამულო გეგმები და პროტოკოლები, რომლებიც დარეგისტრირებულია უფლებამოსილი დაწესებულების მიერ არანაკლებ ათი წლის წინათ, ქორწინების, გარდაცვალების, დაბადების შესახებ ჩანაწერები ან მოწმობები, ამინდის ოფიციალური პროგნოზი, საფონდო და სასაქონლო ბირჟების ბიულეტენები და ა.შ.⁴⁴

მტკიცების ტვირთის განაწილებასთან უშუალო კავშირი აქვს სამართლებრივ პრეზუმფციებს, რომლის თანახმად, პრეზუმფცია ვრცელდება იმ მხარეზე, რომელზეც ვრცელდება დამტკიცების ტვირთი⁴⁵. პრეზუმფციის განმსაზღვრელი მნიშვნელობა აშშ-ის მტკიცებით სამართალში მდგომარეობს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილებაში. ერთი მხრივ, ვინც ამტკიცებს ამა თუ იმ ფაქტს, მას ეხსნება მისი დამტკიცების ტვირთი და სანინააღმდეგოს მტკიცების ვალდებულება ეკისრება მეორე მხარეს.

მტკიცებულებითი პრეზუმფციის კონსტრუქციას ავრცელებენ არა მხოლოდ ფაქტების სფეროზე, არამედ, ასევე, სამართლის სფეროზეც. ასე მაგალითად, არსებობს პრეზუმფცია, რომ ზოგადი სამართალი ყველგან ერთნაირია, საკანონმდებლო აქტები შეესაბამება კონსტიტუციას და ა.შ.⁴⁶

ზემოაღნიშნული გულისხმობს, რომ კონკრეტული სამოქალაქო საქმის განხილვისას სასამართლოს ამოსავალი წერტილი იქნება სწორედ ეს პრეზუმფციული მდგომარეობა, თუ დაინტერესებული მხარე მისი გამოყენების სანინააღმდეგო იურიდიულ არგუმენტაციას არ წარმოადგენს.

მოდავე მხარეთა საპროცესო ვალდებულებებს ისე ამომწურავად განსაზღვრავს სამოქალაქო პროცესის შესახებ ფედერალური წესები, რომ აღნიშნული წესების კომენტატორები მასში მოი-აზრებენ „შეიარაღების ნამდვილ არსენალს, რომელიც მხარეს შესაძლებლობას აძლევს სასამართლო განხილვამდე მიიღოს აუცილებელი მონაცემები“. კომენტატორები ამტკიცებენ, რომ ფედერალური წესების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა მდგომარეობს „მისწრაფებაში, გათავისუფლდე იმისაგან, რასაც ჰქვია მართლმსაჯულების სპორტული თეორია“.⁴⁷ აღსანიშნავია ორი სახელმძღვანელო პრინციპის არსებობა. ერთ-ერთი მათგანია, რომ პროცესში ყოველი მხარე უზრუნველყოფილი იყოს ყველანაირი მტკიცებულებით, ინფორმაციითა და დოკუმენტებით, რომელიც შეეხება დავის საგანს, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მტკიცებულება, ინფორმაცია, თუ დოკუმენტები იმყოფება მეორე მხარესთან. მეორე პრინციპის ძალით ხსენებული მტკიცებულებები, ინფორმაცია და დოკუმენტები ხელმისაწვდომი უნდა იყოს მხარისათვის სასამართლო სხდომამდე.⁴⁸

შენიშვნები:

- ¹ ინგლისურ სამართლებრივ სისტემაში არ მოიპოვება ნორმატიული აქტი, რომლის სახელწოდებაა სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. სამოქალაქო სამართალწარმოება წარმოადგენს დელეგირებული კანონმდებლობის რეგულირების საგანს, ამიტომ სამოქალაქო წარმოების საკითხების გადაწყვეტა ხდება არა კანონებით ან ე.წ. კოდექსებით, არამედ კანონქვემდებარე აქტებით ე.წ. წესებით. დღეისათვის, ინგლისის მტკიცებულებითი სამართალი რეგლამენტირებულია მტკიცებულებათა შესახებ აქტების სერიაში. უმთავრეს როლს ამ ნორმების შემუშავებაში ასრულებს თეთრი წიგნის პერიოდული გამოცემა (White Book), რომელიც თავის მხრივ, წარმოადგენს სამოქალაქო საქმეზე უმაღლესი სასამართლო ორგანოს განზოგადებულ პრაქტიკას. 1998 წელს მიღებულ იქნა ნორმატიული აქტი – სამოქალაქო სამართალწარმოების წესები (Civil Procedure Rules). ისეთ შემთხვევაში თუ, სამართლებრივი აქტი არ იძლევა ამა თუ იმ იურიდიული ტერმინის ნორმატიულ განსაზღვრებას, იგი გამოიყენება პრეცედენტულ სამართალში არსებული მნიშვნელობით. ამ გზით დასაწერი სამართალი და სასამართლო პრეცედენტი – ორი სრულფასოვანი დამოუკიდებელი ინგლისური სამართლის წყარო ავსებს ერთმანეთს.
- ² Lempert P, O, Saltzburg, S, A, A Modern Approach to Evidence, Text, problems, transcripts and cases, Sixth Edition, Minn, 1982, 1, 148.
- ³ Murphy, P, A, Practicl Approach to Evidence, Third Edition, London, 1988, 1.
- ⁴ Civil Evidence Act, 1968, 1972, 1995. The Supreme Court Practice (White Book).
- ⁵ ინგლისში ჩამოყალიბდა იურისტების ორი ჯგუფი: სოლისტერები და ბარისტერები. ინგლისელი სოლისტერი არის დამოუკიდებელი იურისტი, რომელიც სამართლებრივ რჩევას აძლევს კლიენტს პირად და საქმიან სფეროში. ბარისტერები სპეციალიზდებიან სასამართლოში წერილობითი დოკუმენტებისა და ზეპირი მასალების მომზადებაში. იხ.: K, Zweigert, H, Kotz, An Introdoaction to Comparative Law, Third Edition, Translated from the German by Tony Weir, Clrendon Press – Oxford, 1998, 212-217.
- ⁶ Решетникова И, В, Доказательственное право Англии и США, Издательство Урльской Государственной Юрической Академии, Екатеринбург, 1997, 81-97.
- ⁷ Civil Evidence Rule (1995) 1(2)(a)-li muxli.
- ⁸ Решетникова И, В, Доказательственное право Англии и США, Издательство Урльской Государственной Юрической Академии, Екатеринбург, 1997, 69-73.
- ⁹ Алехина С, А, Давтян А, Г, Мирзоян М, Е, Кулакова В, Ю, Гражданский Процесс Зарубежных Стран, издательство “Проспект” М, 2008, 224-225.
- ¹⁰ Civil Evidence Act (1995) me-5 (1) muxli.
- ¹¹ Civil Evidence Act (1995) 32.15-e muxli.
- ¹² R. Cross, N. Wilkins, Outline of the Law of Evidence, London, 1987, 27-28.
- ¹³ Civil Procedura Rules (1998). muxli 3.19(1); (2).
- ¹⁴ Civil Procedura Rules (1998). muxli 4.2 “a”.
- ¹⁵ Civil Procedura Rules (1998). muxli 4.2 “b”.
- ¹⁶ Civil Procedura Rules (1998). muxli 3.1 (1).
- ¹⁷ Civil Procedura Rules (1998). muxli 32.1(1).
- ¹⁸ (court’s management or court’s duty to mänge cases) Civil Procedura Rules (1998), muxli 1.4; 3.1; 3.3.
- ¹⁹ Mary Kay Kane, Civil Procedure In a Nutshell, Third Adition, West publishing Copmany, St.Paul, Minn, 1991, 282-284.
- ²⁰ Steven Baicker-Mckee, William M, Janssen, Jon B. Corr, A Stdent’s gude to the Federal Rules of Civil Procedura, West publishing Copmany, St. Paul, Minn, 1997, 71.
- ²¹ Federal Rules of Evidence (1975 wlis 01 ivlisi), Federal Rules of Civil Procedura, 1997-98 Educational Edition, West Publishig Company, St.Paul, Minn, 1997, 939-970.
- ²² მტკიცებულებების შესახებ ფედერალური წესები მოიცავს 11 მუხლსა და 86 წესს. მტკიცებულებების შესახებ ფედერალური წესები შეიძლება განვიხილოთ, როგორც მტკიცებულებითი სამართლის სტანდარტი. ფედერალური წესების მიღებამდე მხოლოდ ოთხ შტატში მოქმედებდა მტკიცებულებათა კოდექსი – კალიფორნიაში, ნიუ ჯერსიში, კანზასში, იუტაში. იხ.: C, Muller, L,C, Kirkpatrick, Evidence, Boston, New York, Toronto, London, 1995, 4.
- ²³ ფედერალურ წესებში მოცემულია ფაქტის საყოველთაოდ ცნობილად აღიარების პირობები (Article II. Judicial Notice of Adjudicative Facts); პრეზუმფციის გამოყენების წესები (Article III. Presumptions in Civil Actions and Proceedings); მტკიცებულებათა განკუთვნიადობის წესები (Article IV. Relevancy and its Limits); მონმის ჩვენების გამოყენების თავისებურებები (Article VI. Witnesses); ექსპერტის ჩვენება (Article VII. Opinions and Expert Testimony); სხვისი სიტყვებით ჩვენების თავისებურებები (Article VIII. Hearsy); დოკუ-

მენტები, მათ შორის, ელექტრონული სახით და ფოტოები (Article X. Contents of writing, Recordings and Photographs). იხ.: Federal Rules of Evidence (1975 წლის 01 ივლისი). Federal Rules of Civil Procedure, 1997-98 Educational Edition, West Publishing Company, St. Paul, Minn, 1997, 943-968.

- ²⁴ აშშ-ის სამართალი ძირითადად, სასამართლო პრაქტიკის სამართალია. პრეცედენტის წესს აშშ-ში სტარე დეცისის უწოდებენ. აშშ-ში უზენაესი სასამართლო და შტატების უზენაესი სასამართლოები არ არიან მოვალენი მისდონ საკუთარ გადაწყვეტილებებს და ამრიგად, საკუთარი პრაქტიკის შეცვლის უფლება აქვთ. აშშ-ში სასამართლო პრაქტიკის შეცვლა იშვიათობა როდია. თუმცა, შტატების უზენაესი სასამართლოები იმის გამო, რომ არ სურთ სამართლებრივ ურთიერთობათა სტაბილურობის დარღვევა, სასამართლო პრაქტიკის შეცვლას დიდი სიფრთხილით ეკიდებიან. აშშ-ში სამართლის განვითარებას პრეცედენტის წესის მხრივ, დაბრკოლებათა შეუქმნელად ეხება სტოუნის ნაშრომი – *Institutions Fundamentales du droit des Etats-Unis*. F. F. Stone, 1965. იხ.: რენე დავიდი, თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, რუსული გამოცემიდან თარგმნა თედო ნინიძემ, გამომცემლობა „განათლება“, 1993, 312, 321-325.
- ²⁵ Mary Kay Kane, *Civil Procedure In a Nutshell*, Third Addition, West publishing Copmany, St. Paul, Minn, 1991, 88 92.
- ²⁶ Federal Rules of Evidence (1975 wlis 01 ivlisi). Articl IV. Relevancy and its Limits. Rule 402. Relevant Evidence Generally Admissibl; Irrelevant Evidence Inadmissibl. ix., Federal Rules of Civil Procedure, 1997-98 Educational Edition, West Publishig Company, St.Paul, Minn, 1997, 946.
- ²⁷ Steven Baicker-Mckee, William M, Janssen, Jon B. Corr, *A Stdent's gude to the Federal Rules of Civil Procedura*, West publishing Copmany, St.Paul, Minn, 1997, 495-501.
- ²⁸ (hearsay evidence)
- ²⁹ Federal Rules of Evidence (1975 wlis 01 ivlisi). Article VIII. Hearsy. Rule 801. Definitions; Rule 802. Hearsay Rule; Rule 803. Hearsay Exceptions; Availability of declarant Immaterial; Rule 804. Hearsay Exceptions; declarant Unavailable. ix.: Federal Rules of Civil Procedure, 1997-98. Educational Edition, West Publishing Company, St.Paul, Minn, 1997, 958-964.
- ³⁰ Federal Rules of Evidence (1975 wlis 01 ivlisi), Article VIII. Hearsy. Rule 803. Hearsay Exceptions; Availability of declarant Immaterial (1) Present Sencse Impressiom; (2) Exsited Utterance. ix., Federal Rules of Civil Procedura, 1997-98, Educational Edition, West Publishig Company, St. Paul, Minn, 1997, 959.
- ³¹ იქვე, Article VIII. Hearsy. Rule 804. Hearsay Exceptions; Declarant Unavailable. 962.
- ³² იქვე, Article VIII. Hearsy. Rule 803. Hearsay Exceptions; Declarant Unavailable (11) Records of Religions Orgniztions. 960.
- ³³ იქვე, Article VIII. Hearsy. Rule 803. Hearsay Exceptions; Declarant Unavailable (16) Statements in Ancient Documents.96
- ³⁴ იქვე, Article VIII. Hearsy. Rule 804. Hearsay Exceptions; Declarant Unavailable (a) Definition of Unavailability. 962
- ³⁵ Steven Baicker-Mckee, William M. Janssen, Jon B. Corr, *A Stdent's gude to the Federal Rules of Civil Procedura*, West publishing Copmany, St.Paul, Minn, 1997, 346-348.
- ³⁶ Joseph W. Glannon, Little, *A Stdent's gude to Anderstanding Civil Procedura*, Brown and Company, Boston, Toronto, 1987, 199-205.
- ³⁷ Решетникова И, В, *Доказательственное право Англии и США*, Издательство Уральской Государственной Юрической Академии, Екатеринбург, 1997, 106.
- ³⁸ Federal Rules of Civil Procedura, 1938 wlis 16 seqtemberi (1996 wlis 01 dekemberi), Rule 8, General Rules of Pleading, 138-148.
- ³⁹ Federal Rules of Civil Procedura, 1937 (1966 wlis 01 ivlisi). ix., Steven Baicker-Mckee, William M, Janssen, Jon B. Corr, *A Stdent's gude to the Federal Rules of Civil Procedura*, West publishing Copmany, St.Paul Minn, 1997.
- ⁴⁰ იქვე, 138-140.
- ⁴¹ Mary Kay Kane, *Civil Procedure In a Nutshell*, Third Addition, West publishing Copmany, St.Paul, Minn, 1991, 158-160.
- ⁴² (პრიმა ფაცთე ვეიდენტე)
- ⁴³ (პრიმა ფაცთე პროფ)
- ⁴⁴ Пучинский В, К, *Гражданский Процесс США*, М, 1979, 112.
- ⁴⁵ Federal Rules of Evidence, 1975 წლის 01 ივლისი, Articl III. Prezumptons in Civil Actions and Proceedings, Rule 31. Prezumptons in General in Civil Aqtions and Proceedings, Federal Rules of Civil Procedura, 1997-98 Educational Edition, West Publishig Company, St.Paul, Minn, 1997, 945.
- ⁴⁶ Пучинский В, К, *Гражданский Процесс США*, М, 1979, 114.
- ⁴⁷ (the sporting theory of justice)
- ⁴⁸ Клеин А, Д, *Судопроизводство и Гражданский Процесс Капиталистических Государств*, издательство Международная книга, М, 1950, 210.

SPECIFICITY OF THE BURDEN OF PROOF IN A COMMON COURT ACCORDING TO THE LAW OF THE GREAT BRITAIN AND UNITED STATES OF AMERICA

ILONA GAGUA

*Doctor's Degree Student at the Law School
of the Iv. Javakishvili State University*

The English Civil Procedures Law perceives as evidence any material, which can convince the Court that this or that fact is true or false. They distinguish between burden of proof and burden of presenting the proof. The first one is related to norms (provisions) of the material law, and the other one – to subjects bearing that burden. Obligation to prove envisages two aspects. First – each party shall prove the circumstances on which it bases its request. Distribution of the burden of proof between opponents represents a precondition to restriction of the active role of the court. Common Law views the trial as the competition of the kind, where the judge plays the role of the arbiter. Each party shall present its evidence.

In the United States, the Law represents an independent area of Law. Its formation took place in the framework of the traditional common law. According to the contemporary adversarial principle, parties collect evidence. Burden of proof has a very complicated structure. It represents unity of two components: burden of presenting the proof and the burden of convincing. Pursuant to the general rule, the one who indicates at existence or non-existence of this or that fact shall bear the burden of proof. However, there is exception to the general rule due to specific nature of material and legal relations, difficulty of proving negative facts and other circumstances. Federal rules (guidelines) on evidence do not contain regulating legal norms (provisions). Given provisions are formulated in the procedural law and the Doctrine of United States. Legal presumption is directly related to the distribution of the burden of proof. Presumption applies to the party, to which burden of applies. Under the evidence law of the US, presumption is determined as distribution (sharing) of burden of proof between the parties. On the one hand, whoever proves this or that fact, is exempted from burden of proof and an obligation of proving the opposite is imposed on the other party. The above means that during hearing of a certain case, the starting point for the court shall be the state of presumption, if the interested party fails to present the opposite legal argumentation of its application.

პასუხისმგებლობა და მისი თავისებურებანი ერთობლივ საქმიანობაში

ეკატერინე ნინუა

თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

პრინციპი – „ხელშეკრულება უნდა შესრულდეს“ – *pacta servanda* – მსოფლიოს ყველა მართლწესრიგის ფუძემდებლური დანაწესია,¹ რომელიც იმპერატიულად ადგენს სახელშეკრულებო პირობების შესრულების სავალდებულო მოთხოვნას. აქვე აღსანიშნავია, რომ სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება წარმოიშვას და შესაბამისად, სამართალდამრღვევ პირს დაეკისროს პასუხისმგებლობა არა მარტო „სახელშეკრულებო“ ზიანისათვის, არამედ „არასახელშეკრულებო“ (დელიქტის) ზიანისთვისაც. წინამდებარე ნაშრომის მიზანია არა ორივე მათგანის განხილვა, არამედ ამხანაგობის მონაწილეთა შორის – შიდა ურთიერთპასუხისმგებლობის წესის და მათი წარმოშობის საფუძვლების მთავარი მომენტების კვლევა, როგორც „სახელშეკრულებო“ პასუხისმგებლობა.

„ქართული სამოქალაქო კოდექსის, როგორც ზოგადი, ისე კერძო ნაწილი, ვალდებულების შესრულების მექანიზმზეა აგებული. პასუხისმგებლობა მისთვის ყველაზე უკიდურესი ღონისძიებაა და ვიდრე მისი გამოყენება მოხდებოდეს, დარღვეული ვალდებულების გაჯანსაღების შანსი ეძლევათ მხარეებს. მთავარია, შესრულება და არა პასუხისმგებლობა.“² „პასუხისმგებლობის ცნება უნდა აიგოს იმის მიხედვით, თუ რა შედეგებს იწვევს იგი როგორც ზიანის მიმყენებლისათვის, ისე დაზარალებულისათვის.“³ ამხანაგობის მონაწილეთა ვალდებულება პასუხი აგონ ხელშეკრულების ჩარჩოებში თავიანთ მოქმედებებზე მათი

კანონიერი ინტერესებისა და ამხანაგობის კრედიტორების, ყველა მესამე პირების უფლებების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს, რომელთანაც ამყარებენ ურთიერთობებს მონაწილეები ამხანაგობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობის განსახორციელებლად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 937-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „ხელშეკრულების მონაწილეები ერთობლივი საქმიანობიდან წარმოშობილი ვალებისათვის პასუხს აგებენ სოლიდარულად. ერთმანეთთან ურთიერთობაში პასუხისმგებლობის ოდენობა განისაზღვრება მონაწილეთა წილის შესაბამისად, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს.“ ამხანაგობა სახელშეკრულებო გაერთიანებას წარმოადგენს, რომელიც გარე ურთიერთობებში გამოდის არა როგორც ერთიანი მთლიანი (იურიდიული პირი), არამედ ყველა გარიგებები სრულდება ყველა მონაწილის ინტერესებში და სახელით, ამიტომ პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე ამხანაგობის ხელშეკრულების ჩარჩოებში განხორციელებულ მოქმედებებზე ყველა მონაწილეს ეკისრება ნილობრივად ან სოლიდარული წესით. „შეთანხმება, რომელიც მთლიანად ათავისუფლებს ამხანაგობის რომელიმე მონაწილეს საერთო ხარჯების ან ზარალის ანაზღაურებაში მონაწილეობის მიღებისაგან ბათილია.“⁴ აღნიშნული შეზღუდვის რეგულირება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სპეციალური ნორმებით (930-940 მუხლები) არ ხდება. თუმცა, სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან და ზიანის ანაზღაურებისაგან გათავისუფლებაზე წინასწარი შეთანხმება დაუშვებელია სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნორმებით, კერძოდ: 394-ე და 410-ე მუხლები კრძალავენ ასეთ შეთანხმებებს და ეს ნორმები ერთნაირად ვრცელდება ყველა სამოქალაქოსამართლებრივ და მათ შორის, ერთობლივი საქმიანობიდან გამომდინარე ურთიერთობებზეც.

პასუხისმგებლობა ყოველთვის დაკავშირებულია დამატებითი ხარჯების გაღებასთან, მოვალისათვის არასასურველი შედეგების მიღებასთან, რომელიც სცილდება ვალდებულების ჩარჩოებს. მიუხედავად იმისა, რომ იურიდიულ ლიტერატურაში არ არსებობს მეცნიერთა ერთიანი მოსაზრება სამოქალაქო პასუხისმგებლობის ცნების თაობაზე,⁵ პრაქტიკულად, ყველა მათგანი ეთანხმება იმას, რომ მოვალის პასუხისმგებლობა ყოველთვის დაკავშირებულია მისთვის დამატებით ხარჯებთან.

„ამხანაგობის ხელშეკრულების მონაწილეთა მიზნის მისაღწევად წარმოებული საქმიანობის შედეგად წარმოიშობა არა მხოლოდ სარგებელი, არამედ გარკვეული გასავალი და ზიანიც. გასავალი ამხანაგობის საერთო საქმიანობის განხორციელების პროცესში წარმოშობილი ხარჯია. გასავალი ამხანაგობის საერთო შენატანისაგან განსხვავდება იმით, რომ გასავლის ზუსტი ოდენობისა და ნორმის განსაზღვრა წინასწარ ე.ი. ხელშეკრულების დადების დროს შეუძლებელია. ზიანი კი, წარმოიშობა ამხანაგობის ერთობლივი საქმიანობის არასწორი (არამართლზომიერი) წარმართვის შედეგად.“⁶

„ამხანაგობის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი მონაწილეთა პასუხისმგებლობის ოდენობა და ხასიათი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო განისაზღვრება აღნიშნული ხელშეკრულების თავისებურებებით, კერძოდ:

- ა) მონაწილეებს ერთმანეთის წინაშე ეკისრებათ ურთიერთქონებრივი პასუხისმგებლობა, მათ შორის:
 1. ამხანაგობის ქონებაში თავიანთი შესატანების შეუტანლობის ან დაგვიანების გამო;
 2. ამხანაგობის საქმეების მართვასთან დაკავშირებით, მოვალეობების არაჯეროვანი შესრულების გამო;

3. იმ ზარალის გამო, რომელიც მიყენებულია ამხანაგობის საერთო ქონებისათვის ან რომელიმე მონაწილესათვის ერთობლივი საქმიანობის პროცესში;

4. იმ ზარალის გამო, რომელიც მიყენებულია ერთ-ერთი მონაწილის მიერ სხვა მონაწილეებისათვის აღნიშნული მონაწილის ხელშეკრულების მოშლის მოთხოვნით დანარჩენ მონაწილეთა მიმართ და სხვ.“⁷

ბ) „ხელშეკრულების მონაწილეებს ამხანაგობის საქმიანობიდან გამომდინარე, ეკისრებათ ქონებრივი პასუხისმგებლობა მესამე პირების წინაშე წარმოშობილ საერთო ვალებზე ან ვალდებულებებზე;

გ) ამხანაგობის საქმიანობის პროცესში წარმოშობილ საერთო ვალებზე ან ვალდებულებებზე მესამე პირების წინაშე ხელშეკრულების მონაწილეს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა ამხანაგობაში მონაწილეობის მიღების შეწყვეტის შემთხვევაშიც ან ამხანაგობის ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც“.⁸

„ერთობლივი საქმიანობის შედეგად წარმოშობილი გასავლებისა და ზიანის დაფარვის წესი განისაზღვრება ხელშეკრულებით. იმ შემთხვევაში, თუკი ხელშეკრულებით არ იქნება გათვალისწინებული ასეთი წესი გასავლები და ზიანი დაიფარება ხელშეკრულების მონაწილეთა საერთო შენატანების, ანუ ამხანაგობის საერთო ქონების ხარჯზე, ხოლო თუ აღნიშნული არ იქნება საკმარისი ზიანის დასაფარავად, მაშინ დანაკლისი თანხების გადანაწილება მოხდება მონაწილეთა შორის საერთო ქონებაში მათი შენატანების პროპორციულად, წილობრივი პასუხისმგებლობის წესით.“⁹

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შეიმჩნევა მონაწილეთა პასუხისმგებლობის ტენდენცია მესამე პირების წინაშე. ეს გამოიხატება:

ა) პასუხისმგებლობის ოდენობის განაწილების სხვაგვარ აკრძალვაში, ვიდრე მისი განსაზღვრა საერთო საქმეში მონაწილეთა წილის შესაბამისად;

ბ) მონაწილეთა სოლიდარული პასუხისმგებლობის წილის გაზრდაში, რომელიც სავალდებულოა ყველა საერთო ვალდებულებების მიმართ მიუხედავად, მათი წარმოშობის საფუძვლებისა.

აღნიშნული ტენდენცია უეჭველად შეიძლება ჩაითვალოს ქართულ სამოქალაქო სამართალში ამხანაგობის ურთიერთობების მონესრიგების განვითარების წარმატებად. კანონმდებლობის ასეთი მოთხოვნა გამორიცხავს მონაწილეთა პასუხისმგებლობის ოდენობის განაწილების შესაძლებლობას მათი შენატანების ოდენობის მიუხედავად. ასეთი შესაძლებლობების შენარჩუნებისას შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული სხვადასხვაგვარი ბოროტი მოქმედებები, მაგალითად, ყველაზე დამოუკიდებელი და გადახდისუნარიანი მონაწილესათვის პასუხისმგებლობის წილის იმ ოდენობით შემცირება, რაც გამოიწვევს სერიოზულ დაბრკოლებას ამხანაგობის კრედიტორების კანონიერი ინტერესების და უფლებების დაცვაში. მიგვაჩნია, რომ თვით ფაქტი ამხანაგობის მონაწილეთა სოლიდარული პასუხისმგებლობის დამკვიდრებისა წარმოადგენს არა მხოლოდ მონაწილეთა კრედიტორების უფლებების გარანტიას, არამედ ლოგიკურადაც გამომდინარეობს ასეთი გაერთიანების იურიდიული ბუნებიდანაც. თუ სამოქალაქო ურთიერთობების რომელიმე მონაწილეებმა გადაწყვიტეს გაერთიანდნენ საერთო მიზნის მისაღწევად და თითოეულ მათგანს უფლება აქვს იმოქმედოს ყველას სახელით, საერთო გარიგებებზე უფლებებსაც და მოვალეობებსაც ასევე, ყველა მონაწილეები იძენენ, ამიტომ ერთობლივ საქმიანობასთან დაკავშირებით მოვალეობების განაწილების წესის განსაზღვრა პასუხისმგებლობის დაკისრების

თვალსაზრისით, მონაწილეთა საშინაო საქმეებს უნდა წარმოადგენდეს. ამ დროს მესამე პირებს (მონაწილეების კრედიტორები) უფლება აქვთ მოთხოვნები წაუყენონ ამხანაგობას, ანუ მის ყველა წევრს ერთად, ან რომელიმე ერთ-ერთ გადახდისუნარიან მონაწილეს და მათგან მოითხოვონ ვალდებულების სრულად შესრულება. მონაწილემ, რომელმაც გადაიხადა ამხანაგობის საერთო ვალეები უფლებამოსილია მიმართოს სხვა წევრებს და განსაზღვროს თუ როგორ და როდის მიიღებს გადახდილი თანხის კომპენსაციას.

რაც შეეხება თავად მონაწილეებს, კრედიტორების წინაშე ვალდებულების შესრულებაში მონაწილეობენ წილობრივად, ანუ თავიანთი შენატანების პროპორციულად. თუ წილები არ არის განსაზღვრული, მაშინ კრედიტორების წინაშე მათი პასუხისმგებლობის განაწილება მოხდება თანაბრად. ვალდებულების შესრულების მოთხოვნის ასეთი უფლება კრედიტორებს ექნებათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი გარიგებას დადებენ ამხანაგობის ყველა წევრთან ერთად ან წარმომადგენელთან, რომელიც ამხანაგობის სახელით მოქმედებს ამხანაგობის წევრთა მიერ გაცემული (რწმუნების) დავალების ხელშეკრულების საფუძველზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მესამე პირების წინაშე ვალდებულებების შესრულებაზე და შესაბამისად, ამ ვალდებულებების შეუსრულებლობით გამომწვეულ ზიანზე პასუხს აგებს არა ამხანაგობა ე.ი. მისი ყველა მონაწილე სოლიდარულად, არამედ ის პირი, რომელმაც ამხანაგობის რწმუნების გარეშე პირადი მოსაზრებებითა და შეხედულებების შესაბამისად, ინდივიდუალურად დადო გარიგება. ასეთი პირი პირადი ქონებით სრულად აგებს პასუხს მესამე პირების წინაშე იმ ვალდებულებებზე, რომელიც მის მიერ დადებული გარიგების საფუძველზე წარმოიშვა. ანალოგიური პირობები არის გათვალისწინებული საფრანგეთის სამოქალაქო სამართლის მიხედვითაც.¹⁰ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „მონაწილეს უფლება აქვს რეგრესის წესით ამხანაგობის სხვა მონაწილეებისაგან მოითხოვოს წილობრივი ანაზღაურება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაამტკიცებს, რომ მესამე პირებთან დადებული გარიგების დროს ის მოქმედებდა ამხანაგობის საერთო ინტერესებიდან გამომდინარე და ამ გარიგებებით ამხანაგობას დადებითი შედეგი, ანუ სარგებელი მოუტანა.“¹¹ აღნიშნული მტკიცებულება გაათავისუფლებს კონკრეტულ მონაწილეს მესამე პირების, ანუ კრედიტორების წინაშე პასუხისმგებლობისაგან, რაც გულისხმობს, რომ მთლიანად ამხანაგობა იქნება კრედიტორების წინაშე პასუხისმგებელი. თუმცა, ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი იქნება ფაქტი – იყო თუ არა ცნობილი კრედიტორებისათვის, რომ კონკრეტული პირი მასთან სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეობდა ამხანაგობის და არა პირადი სახელით. კანონმდებლის მიერ დადგენილი ერთადერთი მოთხოვნა მონაწილეთა ასეთი შეთანხმების მიმართ დაკავშირებულია იმასთან, რომ რომელიმე მონაწილის მთლიანად გათავისუფლება საერთო ხარჯების ან ზარალის დაფარვაში მონაწილეობისაგან აკრძალულია, რაც ხელს არ უშლის ამხანაგობის მონაწილეებს გაითვალისწინონ ხელშეკრულებაში იმ მონაწილისათვის გადასახდელი წილის განსაზღვრა, რომელმაც გადაიხადა საერთო ვალეები, ანუ ვალდებულება მთლიანად შეასრულა, რაც შესაძლებელია განხორციელდეს თითოეული მონაწილის ამა თუ იმ დროის განმავლობაში ფინანსური მდგომარეობის, სარგებლის მიღების პროპორციულად და ა.შ. უკუმოთხოვნის შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მოვალეთაგანი ვალაუვალი აღმოჩნდება, მაშინ მისი გადასახდელი წილი თანაზომიერად ნაწილდება ყველა სხვა გადახდისუნარიან მოვალეს, ანუ მონაწილეს შორის, მათ შორის იმ მონაწილეზეც, რომელმაც მთლიანად შეასრულა ვალდებულება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ყოველივე ეს შესაძლებელია, თუ ამხანაგობა ნამდვილად წარმოადგენს ფიდუციარულ გარიგებას და მონაწილეები ერთმანეთს კარგად იცნობენ. სწორედ, ამხანაგობის ასეთი მოდელი არის განმტკიც-

ცებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსში და მით უმეტეს, განპირობებულია ამხანაგობის ურთიერთობების იურიდიული ბუნებით. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საკითხი არ იქნება მონესრიგებული ხელშეკრულებაში, მაშინ თითოეული მონაწილის პასუხისმგებლობის ოდენობა განისაზღვრება მათი წილის შესაბამისად.

ამხანაგობის მონაწილეთა სოლიდარული პასუხისმგებლობის პრინციპის სიმკაცრე მესამე პირების წინაშე განპირობებულია ამხანაგობის კრედიტორების ინტერესების დაცვის აუცილებლობით, წინააღმდეგ შემთხვევაში წილობრივი პასუხისმგებლობის პირობებში კრედიტორების მოთხოვნის დაკმაყოფილება დამოკიდებული იქნებოდა ამხანაგობის თითოეული მონაწილის გადახდისუნარიანობაზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსისაგან განსხვავებით რუსეთის სამოქალაქო კოდექსის 1047-ე მუხლის მეორე ნაწილში პირდაპირ არის მითითებული, თუ რა შემთხვევაში ეკისრებათ ამხანაგობის მონაწილეებს სოლიდარული პასუხისმგებლობა, კერძოდ, „თუ ამხანაგობის ხელშეკრულება დაკავშირებულია მონაწილეების მიერ სამენარმეო საქმიანობის განხორციელებასთან, მათ ეკისრებათ სოლიდარული პასუხისმგებლობა ყველა საერთო ვალდებულებებზე მიუხედავად, მათი წარმოშობის საფუძვლებისა“. ანუ „მესამე პირების წინაშე სოლიდარული პასუხისმგებლობა დადგენილია კანონით კომერციული ამხანაგობის ხელშეკრულების მონაწილეებისათვის (ყველა შემთხვევაში), არაკომერციული ამხანაგობის ხელშეკრულების მონაწილეებისათვის – მხოლოდ არასახელშეკრულებო ვალდებულებებზე, ხოლო ნებისმიერი ამხანაგობის მონაწილეებისათვის – შესაბამისი ამხანაგობის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტიდან. აღნიშნული მოთხოვნები იმპერატიულია და არ შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით.“¹² ამდენად, ამხანაგობის ხელშეკრულების მონაწილეთა პასუხისმგებლობა მესამე პირების წინაშე ატარებს წილობრივ ხასიათს მხოლოდ ორი პირობის დაცვის შემთხვევაში:

1. ამხანაგობის ხელშეკრულება არ არის დაკავშირებული მონაწილეების მიერ სამენარმეო საქმიანობის განხორციელებასთან;
2. პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ მონაწილეთა საერთო სახელშეკრულებო ვალდებულებებზე. ყველა სხვა დანარჩენ შემთხვევაში მონაწილეები მესამე პირების წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის პარ. 708-ე თანახმად, „ამხანაგობის მონაწილემ პასუხი უნდა აგოს მხოლოდ იმ მზრუნველობისათვის, რომელიც მას ახასიათებს საკუთარი საქმეების შესრულებისას“. მიგვაჩნია, რომ სწორედ აღნიშნული პრინციპი დევს ამხანაგობის ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებაში, ვინაიდან მონაწილეების მიერ ერთობლივი საქმეების გაძღოლა უნდა მოხდეს კეთილსინდისიერების, ნდობის, კვალიფიციურობის და ამხანაგობის წინაშე დასახული მიზნის მისაღწევად სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელებით.

საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული ამხანაგობის ხელშეკრულების მონაწილეთა პასუხისმგებლობის მარეგულირებელი ნორმების მსგავსად, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1863-ე მუხლის თანახმად, „ამხანაგობის მონაწილეებს იმ კრედიტორის წინაშე, რომელთანაც დადეს ხელშეკრულება პასუხისმგებლობა ეკისრებათ თანაბარი წილით მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთი მათგანის წილი ამხანაგობაში ნაკლებია (სხვების წილზე), თუ ამხანაგობის ხელშეკრულებით არ არის შეზღუდული აღნიშნული მონაწილის პასუხისმგებლობა ამხანაგობაში მისი კუთვნილი წილის შესაბამისად“. ანუ თითოეული მონაწილე მიუხედავად მისი წილის ოდენობისა, ამხანაგობაში თანაბრად აგებს პასუხს კრედიტორების წინაშე

დამდგარი ვალდებულებებისათვის. „ამდენად, ამხანაგობის კრედიტორებს უფლება აქვთ მოთხოვნები დაიკმაყოფილონ: 1. ამხანაგობის ქონებიდან, რომლითაც უზრუნველყოფილია მხოლოდ ამ კრედიტორების მოთხოვნა; 2. თითოეული მონაწილის პირადი ქონებით.“¹³

სტატიაში განხილული საკითხები, რომელიც უკავშირდება ამხანაგობის მონაწილეთა პასუხისმგებლობას, არ არის ამომწურავი, ვინაიდან, მისი დეტალური განხილვა არ წარმოადგენს მოცემული სტატიის მიზანს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნ. ჩიტაშვილი, ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისთვის, სამართლის მიმოხილვა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009, № 1;
2. თ. ზარანდია, სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ადგილი და ვადები (საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი), თბ., 2002;
3. ბ. ზოიძე, ქონებრივი პასუხისმგებლობა ვალდებულებათა დარღვევისათვის, გამომც. „მეცნიერება“, თბ., 1989;
4. თ. ჩიტაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტ. I, გამომც. „სამართალი“, თბილისი, 2001;
5. ზ. ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, გამომც. „სამართალი“, თბ., 1999;
6. Е.В.Протас., Гражданское право, изд. „МГИУ“, М., 2005;
7. Гражданское право, Под ред. Ю.К.Толстого, А.П.Сергеева, т.2, изд. „Проспект“, М., 2006;
8. Гражданское право в 4-х томах, т.4, Обязательственное право, Отв. ред. Е.А.Суханов, изд. „Волтерс Клувер“, М., 2008;
9. Гражданское право в 4-х томах, т.4, Обязательственное право, Отв. ред. Е.А.Суханов, изд. „Волтерс Клувер“, М., 2008;
10. Советское гражданское право, ч.2, Под общей ред. В.Ф.Маслова, А.А.Пушкина, изд. „Вища школа“, Киев 1983;
11. Л. Жюллио Де Ла Морандьер, Гражданское право Франции, изд. “Иностранной литературы”, М., 1961;
12. Гражданское право, Под ред. Ю.К.Толстого, А.П.Сергеева, т.2, изд. “Проспект”, М., 2006;
13. Л. Жюллио Де Ла Морандьер, Гражданское право Франции, изд. “Иностранной литературы”, М., 1961.

შენიშვნები:

- ¹ ნ. ჩიტაშვილი, ბრალის მნიშვნელობა სახელმწიფოებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისთვის, სამართლის მიმოხილვა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009, № 1, გვ. 143.
- ² თ.ზარანდია, სახელმწიფოებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები (საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი), თბ., 2002, გვ. 3.
- ³ ბ. ზოიძე, ქონებრივი პასუხისმგებლობა ვალდებულებათა დარღვევისათვის, გამომც. „მეცნიერება“, თბ., 1989, გვ.7.
- ⁴ Е.В.Протас., Гражданское право, изд. “МГИУ“, М., 2005, с. 264.
- ⁵ ასე მაგალითად, (გრიბანოვი ვ. პ., ბრაგინსკი მ.ი.) პასუხისმგებლობაში გულისხმობენ ზიანის ანაზღაურებას და პირგასამტეხლოს გადახდევინებას. სხვები (ვენედიქტოვი ა.ვ., ლეისტი ო.ო., სამოშენკო ი.ს.) თვლიან პასუხისმგებლობაში იძულებითი ხასიათის ისეთი ღონისძიებების გამოყენებას, რომელიც აკისრებს სამართალდამრღვევს ძირითად ვალდებულებასთან შედარებით დამატებით ქონებრივ მოვალეობებს. აგარკოვი მ.მ., იოფფე ო.ს., ანტიმონოვი ბ.ს., მალეინი ნ.ს. გამოდიან იმის წინააღმდეგ, რომ პასუხისმგებლობად არ ითვლება მოვალეობის იძულებით შესრულება და პასუხისმგებლობა ესმით, როგორც მოვალისათვის არასასურველი შედეგები, რომელიც სცილდება ვალდებულების ჩარჩოებს. ფართო გავრცელება ჰპოვა პოზიციამ იმის შესახებ, რომ სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამორიცხულია, თუ სამართალდამრღვევის მოქმედებებში არ არის ბრალი. „ბატონი ბ. ზოიძე კი, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის ცნებას ასე განსაზღვრავს – სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა ესაა სამოქალაქოსამართლებრივი სანქციის რეალიზაცია სახელმწიფოებრივი იძულების ვითარებაში, რომელიც მიმართულია კრედიტორის (დაზარალებულის) ქონებრივი (ზოგჯერ არაქონებრივი) მდგომარეობის აღდგენისაკენ სამართალდამრღვევზე თავდაპირველი ან დამატებითი მოვალეობების დაკისრების ხარჯზე“. იხ.: ბ. ზოიძე, ქონებრივი პასუხისმგებლობა ვალდებულებათა დარღვევისათვის, გამომც. „მეცნიერება“, თბ., 1989, გვ.20.
- ⁶ Гражданское право, Под ред. Ю.К.Толстого, А.П.Сергеева, т.2, изд. “Проспект“, М., 2006, с. 775.
- ⁷ Гражданское право в 4-х томах, т.4, Обязательственное право, Отв. ред. Е.А.Суханов, изд. “Волтерс Клувер“, М., 2008, с.565.
- ⁸ Гражданское право в 4-х томах, т.4, Обязательственное право, Отв. ред. Е.А.Суханов, изд. “Волтерс Клувер“, М., 2008, с.566.
- ⁹ Советское гражданское право, ч.2, Под общей ред. В.Ф.Маслова, А.А.Пушкина, изд. “Вища школа“, Киев 1983, с.354.
- ¹⁰ Л. Жюллио Де Ла Морандьер, Гражданское право Франции, изд. “Иностранной литературы“, М., 1961, с. 317.
- ¹¹ თ. ჩიტოშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტ. II, გამომც. „სამართალი“, თბილისი, 2001, გვ. 295.
- ¹² Гражданское право, Под ред. Ю.К.Толстого, А.П.Сергеева, т.2, изд. “роспект“, М., 2006, с. 776.
- ¹³ Л. Жюллио Де Ла Морандьер, Гражданское право Франции, изд. “Иностранной литературы“, М., 1961, с.317.

RESPONSIBILITY AND ITS FEATURES IN JOINT ACTIVITIES

EKATERINE NINUA

Doctor's Degree Student Tbilisi State University for Economic Relations

The scientific article is dedicated to the topic of responsibility and its features in joint activities.

The civil law responsibility represents one of the forms of the state coercion. In case of failure to fulfill obligations or in case of improper execution of such, parties to the joint activities (association) agreement shall be held accountable for undesirable results, which may occur due to inappropriate execution of agreement terms. Due to purpose of joint activities, responsibilities of the association members shall be determined – for internal relationships as well as for responsibilities to third parties.

The rule for imposition of responsibilities on participants of joint activities is regulated by special provisions, which envisage joint responsibility for debts incurred and determination of the amount (volume) of responsibility according to shares of participants for the purpose of defining mutual responsibilities within the association (unless otherwise determined by the contract).

თანამონაწილეთა დასჯადობის საკითხი კანონმდებლობაში

გიორგი ბარაბაძე
სამართლის დოქტორი

ცალკეული უცხოური ქვეყნის კანონმდებლობისაგან განსხვავებით, საბჭოური პერიოდის სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა არ შემოფარგლავდა იმ განზრახ დანაშაულთა წრეს, რომელთა ჩადენისთვისაც შესაძლებელი იყო თანამონაწილეობისათვის პასუხისმგებლობა. საზღვარგარეთის რიგი ქვეყნების კანონმდებლობა დანაშაულში თანამონაწილეობისათვის პასუხისმგებლობას ანებს უფრო მომეტებული საშიშროების შემცველი დანაშაულისათვის. კერძოდ, საფრანგეთის 1992 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, დანაშაულებრივი ქმედებები თავისი სიმძიმის მიხედვით სამ ნაწილად იყოფა: დანაშაულად, გადაცდომად, დარღვევად. თუმცა, მათგან თანამონაწილეობა დასჯადია მხოლოდ დანაშაულში და გადაცდომაში (111-3; 121-6; 121-7 მუხლები). იაპონიის 1907 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 64-ე მუხლის თანახმად კი, ისეთი დანაშაულის დამხმარე ან წამქეზებელი, რომელიც სასჯელის სახით პატიმრობას ან მცირე ფულად ჯარიმას იწვევს, მხოლოდ იმ შემთხვევაში დაისჯება, თუ ამის შესახებ სპეციალურად არის მითითება კანონში. დანიის 1939 წლის სისხლის სამართლის კოდექსით, თანამონაწილეები არ დაისჯებიან, თუ დანაშაულებრივი ქმედება არ იწვევს უფრო მძიმე სასჯელს, ვიდრე პატიმრობა (პარ. 23 ნაწ. I). მთელი რიგი უცხოური ქვეყნის კანონმდებლობა ანალოგიურ შემთხვევებში ნაქეზებას სჯის, ხოლო დახმარებას – არა. კერძოდ, გერმანიის 1871 წლის სისხლის სამართლის კოდექსით დარღვევისათვის ხელის შეწყობა დანაშაულს არ წარმოადგენს (პარ 1, მუხ. 49).

საგულისხმოა, რომ რევოლუციამდელი რუსეთის 1903 წლის სისხლის სამართლის დებულების თანახმად, გადაცდომის თანა-

მონაწილეთაგან ისჯებოდა მხოლოდ ამსრულებელი. ხოლო, წამქეზებელი და დამხმარე გადაცდომის დროს ისჯებოდა მხოლოდ კანონით პირდაპირ მითითებულ შემთხვევებში (მუხ. 51).

ხაზგასასმელია, რომ დანაშაულთა კატეგორიების მიხედვით, მსგავსი შეზღუდვა უცხო იყო საბჭოური პერიოდის სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობისათვის. თუმცა, მისი არარსებობა არ ნიშნავდა იმის აღიარებას, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში უნდა მიცემულიყო ყველა თანამონაწილე დამოუკიდებლად იმისა – მათი ქმედებები არსებითი მნიშვნელობის იყო თუ უმნიშვნელო. მსგავსი დასკვნა, არსებითად არ გამომდინარეობდა საფუძვლების მე-7 მუხლის მე-II ნაწილიდან (შესაბამისად, საქართველოს 1961 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხ. მე-II ნაწილიდან), სადაც აღნიშნული იყო, რომ „დანაშაულად არ ჩაითვლება მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც თუმცა, ფორმალურად შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული რაიმე ქმედობის ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ წარმოადგენს საზოგადოებრივ საშიშროებას.“

როგორც ჩანს, საბჭოური პერიოდის სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ ზღუდავდა დანაშაულში თანამონაწილეთა პასუხისმგებლობას დანაშაულის რომელიმე კატეგორიის მიხედვით, თუმცა, იგი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გამორიცხავდა მცირე მნიშვნელობის მქონე დანაშაულში თანამონაწილეობისათვის. ანუ, უნივერსალური ხასიათის ნორმას წარმოადგენდა და სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული ყველა შემადგენლობისათვის საერთო იყო.¹

თანამონაწილეთა დასჯადობის თაობაზე, საინტერესოა თანამონაწილის ცალკეული სახის – ამსრულებლის, ორგანიზატორის, წამქეზებლის და დამხმარის დასჯის ურთიერთგამიჯვნის საკითხზე უცხოური ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობის ანალიზი, სადაც შეიძლება გამოიყოს აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის რამდენიმე მიმართულება:

ა) კანონმდებლობათა ერთი ნაწილი საერთო სახელმძღვანელო საწყისად აღიარებს ყველა თანამონაწილეთა თანაბარ პასუხისმგებლობას. კერძოდ, ფრანგული სისხლის სამართლის კანონმდებლობა შეიძლება ითქვას, ახორციელებს ასიმილაციის პრინციპს თანამონაწილეთა პასუხისმგებლობაში და 121-6-ე მუხლის თანახმად, დანაშაულისა და გადაცდომის თანამონაწილეები ისევე დაისჯებიან, როგორც დანაშაულის ან გადაცდომის ამსრულებელი. ამ მიმართულების მიხედვით, ინდივიდუალური გარემოებები შეიძლება გათვალისწინებული იყოს მხოლოდ სასამართლოსათვის მინიჭებული უფლებების ფარგლებში სასჯელის კონკრეტული სახის დადგენისას.

ბ) მეორე ჯგუფი საპირისპირო მიმართულებით მიდის და ამსრულებელთან შედარებით, სასჯელის სავალდებულო შემცირებას ადგენს თანამონაწილეთა ცალკეული სახისათვის – განსაკუთრებით კი, დამხმარის მიმართ. კერძოდ, იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, დამხმარის სასჯელი უნდა შეესაბამებოდეს ამსრულებლის სასჯელს, თუმცა, მასზე მსუბუქი უნდა იყოს (პარ. 13). გერმანული სისხლის სამართლის კანონმდებლობის თანახმად, დანაშაულის დამხმარისათვის გათვალისწინებულია პასუხისმგებლობის შემსუბუქება განზრახი დანაშაულის განვითარების სტადიების წესის შესაბამისად. ყველა დანარჩენი თანამონაწილე კი, შეიძლება დაისაჯოს იმავე სასჯელით, რაც დანაშაულის ამსრულებელს ემუქრება. ასევე, დამხმარისათვის სასჯელის სავალდებულო შემცირებას ითვალისწინებს ფინეთის 1894 წლის სისხლის სამართლის კოდექსი (§3, თანამონაწილეობის შესახებ). ინგლისის კანონმდებლობით, თანამონაწილე დანაშაულის ჩადენის შემდეგ ისჯება უფრო მსუბუქად, ვიდრე თანამონაწილე დანაშაულის ჩადენამდე, რომელიც ისევე ისჯება – როგორც ამსრულებელი.

გ) მესამე მიმართულებას კი, უნდა მივაკუთვნოთ იმ სახელმწიფოთა სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა, რომლებიც თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის დადგენისას შუალედური გზის გამონახვას ცდილობენ. კერძოდ, უარყოფენ როგორც თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპს (როგორც ეს არის ფრანგულ სისხლის სამართლის კოდექსში) ასევე, სასჯელის სავალდებულო შემცირების საწყისს (რასაც ადგილი აქვს იაპონიის, გერმანიის, ფინეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში) და განსაზღვრავენ დამხმარეთათვის სასჯელის არასავალდებულო, არამედ ფაკულტატიურ შემცირებას.

მაგალითად, დანიის 1939 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე მუხლის თანახმად, „დანაშაულისათვის კანონით გათვალისწინებული სასჯელი გამოიყენება ყველა იმ პირის მიმართ, რომლებმაც თავიანთი ნაქეზებით, რჩევით ან ქმედებით ხელი შეუწყვეს ამ დანაშაულის ჩადენას. სასჯელი შეიძლება შეუმცირდეს მხოლოდ ისეთ დამხმარეს, რომელმაც უმნიშვნელო მონაწილეობა მიიღო დანაშაულის ჩადენაში.“ დანიური სისხლის სამართლის კოდექსი უშვებს დამხმარის სრულ გათავისუფლებას სასჯელისაგან, თუკი თანამონაწილის ხელშეწყობის განზრახვას ჰქონდა მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა.

დამხმარისთვის სასჯელის ფაკულტატიურ შემცირებას ითვალისწინებს ასევე, იტალიის 1930 წლის სისხლის სამართლის კოდექსი (მუხ. 114). შვეიცარიის 1938 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, „სასჯელი შეიძლება შეუმსუბუქდეს იმ პირს, ვინც განზრახ დახმარებას გაუწევს სხვას დანაშაულის ჩადენაში“ (მუხ. 25). იგივე წესია დადგენილი, ჩინეთის 1935 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 30-ე მუხლით, სადაც ხაზგასმულია, რომ დამხმარე დაისჯება იმავე სასჯელით, რაც ამსრულებელს დაეკისრება, მაგრამ ეს სასჯელი შეიძლება შემცირებული იქნას.

ნიშანდობლივია, რომ თანამონაწილეთა დასჯადობის კონსტრუქციაზე ხსენებული სამივე ძირითადი მიმართულების (ანუ, თანაბარი სასჯელის, სავალდებულო შემცირებისა და ფაკულტატიური შემცირების) მსგავსება იმაშია, რომ ყველა ამ მიმართულებას ერთი ამოცანა აქვს, კერძოდ, შეზღუდულ იქნას სასამართლო წინასწარ დადგენილი ფორმალური ნიშნებით.

სხვათა შორის, ისტორიულად ანალოგიური მიდგომა არსებობდა რუსეთის რევოლუციამდელ სისხლის სამართლის კანონმდებლობაშიც. სახელდობრ, 1903 წლის სისხლის სამართლის დებულების თანახმად, სასჯელი უმცირდებოდა იმ დამხმარეს, რომლის ხელშეწყობასაც არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა (მუხ. 51, ნაწილი მე-11).

საგულისხმოა, რომ საბჭოური პერიოდის სისხლის სამართლის კანონმდებლობისათვის უცხო იყო თანამონაწილეთა დასჯადობის გამიჯვნის ფორმალური, აბსტრაქტული პრინციპი. აღნიშნული სისტემა არ ითვალისწინებდა რომელიმე კატეგორიის თანამონაწილისათვის სასჯელის სავალდებულო ან ფაკულტატიურ შემცირებას. ამდენად, გარკვეულწილად შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნას, თითქოსდა იმდროინდელი კანონმდებლობისათვის საერთოდ ზედმეტი იყო თანამონაწილეთა დაყოფა სხვადასხვა სახეობად, რამდენადაც იგი ყველა თანამონაწილისათვის პრინციპულად სასჯელის თანაბარ ფარგლებს აწესებდა. თუმცა, ასეთი დასკვნა არ შეესაბამებოდა იმ პერიოდის სისხლის სამართლის კანონმდებლობის ზოგად პრინციპებსა და არც მის დადგენილებებს თანამონაწილეთათვის სასჯელის დანიშვნის შესახებ.

ხაზგასასმელია, რომ ისტორიულად, საბჭოთა პერიოდის სისხლის სამართლის კანონმდებელს თანამონაწილეთა სასჯელის ინდივიდუალიზაციის თვალსაზრისით, ყოველთვის სურდა გამოეწინაა ამ ინსტიტუტისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური კრიტერიუმები. იმისათვის, რომ

თვალნათლივ წარმოჩნდეს ეს საკითხი, მიზანშეწონილია განვიხილოთ ამ პერიოდის სისხლის სამართლის კანონმდებლობა ისტორიულ-ლოგიკური განვითარების ქრილში.

კერძოდ, აღნიშნული პერიოდის სისხლის სამართლის კანონმდებლობის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი იყო 1919 წლის „სისხლის სამართლის სახელმძღვანელო საწყისების“ მიღება. მასში პირველად ჩამოყალიბდა საბჭოთა სისხლის სამართლის ამოსავალი დებულებები. „სახელმძღვანელო საწყისების“ 21-ე მუხლში ხაზგასმული იყო, რომ სასჯელის ზომა განისაზღვრება არა დამნაშავეს მონაწილეობის ხარისხით, არამედ, დამნაშავესა და მის მიერ ჩადენილი ქმედების საშიშროების ხარისხით“.²

ცალკეულ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის კრიტერიუმთა განსაზღვრის სახით, მეტად საინტერესოა რუსეთის 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსის პოზიცია. საბჭოურ პერიოდში თანამონაწილეთა მიმართ სასჯელის ინდივიდუალიზაციის კუთხით დანაშაულში მონაწილეობის ხარისხს პირველად მიექცა სათანადო ყურადღება. კერძოდ, დასახელებული კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად, „სასჯელის ღონისძიება თითოეულ თანამონაწილეს დაენიშნება, როგორც მონაწილეობის ხარისხის, ისე დამნაშავესა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის საშიშროების ხარისხის მიხედვით.“

ამის შემდგომ, თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საკანონმდებლო რეგულირების დროს, საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა ყოველთვის ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ თანამონაწილეობისათვის სასჯელის ღონისძიების განსაზღვრისას სასამართლომ სხვა გარემოებებთან ერთად აუცილებლად მხედველობაში უნდა მიიღოს მისი მონაწილეობის ხარისხი და მისი როლი საერთო დანაშაულის ჩადენაში. ამის ნათელი გამოხატულებაა, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის 1924 წლის ძირითადი საწყისები, სადაც აღნიშნული იყო, რომ „სოციალური დაცვის ღონისძიებანი გამოიყენება ყველა თანამონაწილის მიმართ, როგორც მათი სოციალური საშიშროების, ისე დანაშაულში მათი მონაწილეობის ხარისხის მიხედვით (მუხ. 12). ანალოგიური ნორმები 1924 წლის ძირითადი საწყისების საფუძველზე, შეტანილი იქნა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის (1926-28 წწ.) კოდექსებშიც.“³

როგორც ირკვევა, 1924 წლის ძირითად საწყისებში კანონმდებლის მიერ გამოყოფილი იქნა ორი კრიტერიუმი: ა) ობიექტური – ჩადენილ დანაშაულში მონაწილეობის ხარისხი; ბ) სუბიექტური – თანამონაწილის საშიშროების ხარისხი. ჩადენილ დანაშაულში მონაწილეობის ხარისხზე მითითება, ნათლად ამტკიცებდა, რომ მონაწილეობის ხარისხი ე.ი. თითოეული თანამონაწილის ინდივიდუალური როლის შეფასება პირველყოფისა, საფუძველად უნდა ჰქონოდა დადებული სასამართლო განაჩენს. თუმცა, ასეთი შეფასება მექანიკურად არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული განსხვავებული სახის თანამონაწილეობისათვის, იმდენად რამდენადაც, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, წამქეზების ან დამხმარის მონაწილეობის ხარისხი, შეიძლება ყოფილიყო ამსრულებლის მონაწილეობის ხარისხზე მნიშვნელოვანი და სერიოზული.

თანამონაწილის საშიშროების ხარისხზე მითითება სასამართლოს ავალდებულებდა გაეთვალისწინებინა თანამონაწილეთა ინდივიდუალური განსაკუთრებულობანი (დამნაშავეს სოციალური მდგომარეობა, მისი ქმედების მოტივი, რეციდივი) და ა.შ. ამავედროულად, ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში ორ დასახელებულ ნიშანს (დანაშაულში მონაწილეობის ხარისხსა და დამნაშავეს საშიშროების ხარისხს) ემატებოდა მესამე ნიშანიც – ჩადენილი დანაშაულის საშიშროების ხარისხი (რუსეთის სსკ-ის მე-17 მუხ; თურქმენეთის სსკ-ის მე-17 მუხ; უზბეკეთის სსკ-ის მე-15 მუხ; ტაჯიკეთის სსკ-ის მე-16 მუხ.).

მომდევნო პერიოდის – 1958 წლის სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებში შეინიშნება გარკვეული სიახლე. კერძოდ, მასში ასახული იქნა არა მხოლოდ დანაშაულში მონაწილეობის ხარისხი, არამედ გამოკვეთილი იქნა სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობისათვის მანამდე უცნობი კრიტერიუმი – დანაშაულში მონაწილეობის ხასიათიც.⁴

სახელდობრ, საფუძვლების მე-17 მუხლის მე-7 ნაწილში (საქართველოს 1961 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლის მე-7 ნაწილში) ხაზგასმული იყო, რომ დანაშაულის ჩადენაში თითოეული თანამონაწილის მონაწილეობის ხარისხი და ხასიათი მხედველობაში უნდა იქნას მიღებული სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნის დროს. მსგავსი დებულების არსებობა სასამართლოს შესაძლებლობას აძლევდა, სასჯელის დანიშვნის საერთო საწყისებთან და სასჯელის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებთან ერთად მხედველობაში მიეღო – დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილეთა მონაწილეობის, როგორც ხარისხი, ისე ხასიათი. ანუ, გაეთვალისწინებინა ობიექტურად თუ რა როლს ასრულებდა ერთიანი დანაშაულის თითოეული მონაწილე და როგორი იყო მათი ქმედითი წილი ერთიანი დანაშაულებრივი შედეგის გამონწვევაში.

ცხადია, რთული შესამჩნევი არ არის, რომ კანონმდებლის მითითება თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის განსაზღვრისას სასამართლოს გაეთვალისწინებინა მხოლოდ დანაშაულში მონაწილეობის ხარისხი და ხასიათი, გამორიცხავდა იმ ორ გარემოებას სამიდან, რაც ცნობილი იყო ადრე მოქმედი კანონმდებლობისთვის (დანაშაულის საშიშროების ხარისხი და დამნაშავეს საშიშროების ხარისხი) და რომელთა არსებობის მიზანშეწონილობასაც, სრულიად სამართლიანად ეჭვქვეშ აყენებდა ცნობილი მეცნიერი მ. კოვალიოვი. იგი აღნიშნავდა, რომ კანონში დამნაშავეს საშიშროების ხარისხისა და დანაშაულის საშიშროების ხარისხის მოხსენიება სრულიად ზედმეტია, რამდენადაც თანამონაწილის საშიშროების ხარისხი არ მიეკუთვნება უშუალოდ თანამონაწილის ინსტიტუტს როგორც ასეთს. ის არ შეიძლება გამოდგეს თანამონაწილეთათვის სასჯელის დანიშვნის კრიტერიუმად იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც თანამონაწილეთა მოქმედება კვალიფიცირდება სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლით, რამდენადაც ამ მუხლთა სანქციებშია უკვე გათვალისწინებული დანაშაულის საშიშროების ხარისხის მაქსიმალური და მინიმალური ზღვარი.⁵ თუმცა, ა. ტრაინინსაგან განსხვავებით, ავტორი დამნაშავეს საშიშროების ხარისხსაც არ მიაკუთვნებდა უშუალოდ თანამონაწილეობის ინსტიტუტს. მისი აზრით, ეს ნიშანი სრულად მიეკუთვნებოდა პირად გარემოებებს, რომელიც ახასიათებდა სუბიექტს და არ შეეძლო რაიმე არსებითი ზეგავლენა მოეხდინა დანაშაულში თანამონაწილეთა შორის პასუხისმგებლობის განსხვავებაზე მათი დანაშაულებრივ საქმიანობაში მონაწილეობის კუთხით.⁶

ხაზგასასმელია, რომ დანაშაულის საშიშროების ხარისხთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ, 1958 წლის სისხლის სამართლის საფუძვლების მიღებამდე (1941 წელს), მეტად რაციონალური მოსაზრება აქვს დაფიქსირებული ა. ტრაინინს, რომელიც აღნიშნავდა, რომ „ჩადენილი დანაშაულის საშიშროების ხარისხი ყოველთვის თანაბარია ყველა თანამონაწილისათვის და ის შეუძლებელია გამოყენებული იქნას თანამონაწილეთა განსხვავებული პასუხისმგებლობის საფუძვლის დასადგენად...“.⁷ გარდა ამისა, ავტორის აზრით, შეუძლებელია მხედველობიდან გამოგვრჩეს ის გარემოება, რომ ჩადენილი დანაშაულის საშიშროების ხარისხი უკვე სრული სახით აქვს გათვალისწინებული კანონმდებელს, კონკრეტული დანაშაულისათვის სასჯელის განსაზღვრისას.⁸

საგულისხმოა, რომ იგივე ა. ტრაინინი მხარს უჭერდა თანამონაწილეთა სასჯელის ინდივიდუალიზაციის კუთხით კანონმდებლობაში დამკვიდრებულიყო ისეთი სპეციალური კრიტერიუ-

მები, როგორცაა მონაწილეობის ხარისხი და ხასიათი. ანალოგიურ მოსაზრებებს ავითარებდნენ ამავე პერიოდის სხვა კრიმინალისტებიც, რაც თავის მხრივ, საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ მათ, გარკვეულწილად, შეამზადეს სათანადო ნიადაგი 1958 წლის კანონმდებლობაში შესაბამის ცვლილებათა განხორციელებისათვის.

ამგვარად, საბჭოური პერიოდის სისხლის სამართლის კანონმდებლობის ანალიზი ცხადყოფს, რომ უცხოური და რევოლუციამდელი რუსეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობისაგან განსხვავებით, ცალკეული თანამონაწილის სახის მიხედვით არ იყო შემუშავებული და დანესებული გარკვეული ლიმიტი სასჯელის შეზღუდვის თვალსაზრისით. თუმცა, მეორე მხრივ ნათლად ჩანს, იმ პერიოდის კანონმდებლის მცდელობა შეემუშავებინა ზოგადი კრიტერიუმები, რომლებიც მეტნაკლებად სამართლიანად უზრუნველყოფდნენ თანამონაწილეთა მიმართ სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის განხორციელებას. ხოლო, ეს კრიტერიუმები არსებითად დანესებული იყო არა რომელიმე თანამონაწილის სახის მიმართ – წინასწარ, ცალსახად განსაზღვრულად (როგორც ეს ასახულია, გერმანიის, იაპონიის და სხვა კოდექსებში), არამედ მთლიანობაში დანაშაულში თანამონაწილის ნებისმიერი სახის მიმართ – იქნებოდა ეს დანაშაულის ამსრულებელი, ორგანიზატორი, წამქეზებელი თუ დამხმარე.

ამჟამად, მიზანშეწონილია აღნიშნულ საკითხს შევეხოთ იმ ჭრილში, თუ რა გზით წავიდნენ თანამონაწილეებისათვის სასჯელის ინდივიდუალიზაციის კრიტერიუმთა განსაზღვრისას, ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკები დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ.

თანამონაწილეთა სასჯელის ინდივიდუალიზაციას 1999 წელს მიღებულმა ნაციონალურმა სისხლის სამართლის კოდექსმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო. აღნიშნულზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ კოდექსის 57-ე მუხლში კანონმდებლის მიერ ეს საკითხი საგანგებოდ იქნა გამოყოფილი. ხსენებული მუხლის პირველ ნაწილში განსაზღვრულია, რომ ‘დანაშაულში თანამონაწილეთათვის და დანაშაულის ამსრულებლობისათვის სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში მიიღება პირის ფაქტობრივი მონაწილეობის ხასიათი და ხარისხი, ამ მონაწილეობის მნიშვნელობა დანაშაულის მიზნის მისაღწევად, მისი გავლენა გამოწვეული ან შესაძლებელი ზიანის ხასიათსა და ხარისხზე.’ ხოლო, მე-II ნაწილით კი, „შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოება, რომელიც ერთ-ერთი თანამონაწილის ან ამსრულებლის პიროვნებას შეეხება, მხედველობაში მიიღება მხოლოდ ამ თანამონაწილისათვის ან ამსრულებლისათვის სასჯელის დანიშვნის დროს.“

ამგვარად, ახალმა ნაციონალურმა სისხლის სამართლის კოდექსმა, საბჭოური სისხლის სამართლის კოდექსისაგან შეისისლხორცა სასჯელის ინდივიდუალიზაციის ისეთი კრიტერიუმები, როგორცაა დანაშაულში მონაწილეობის ხასიათი და ხარისხი. თუმცა, ამავე ნიშნებთან მიმართებით და მის პარალელურად შეიტანა გარკვეული დამატება, რითაც კიდევ უფრო დააკონკრეტა დანაშაულში მონაწილეობის ობიექტური როლი. კერძოდ, ხაზი გაუსვა მონაწილეობის მნიშვნელობას დანაშაულის მიზნის მისაღწევად, მის გავლენას გამოწვეულ ან შესაძლებელ ზიანის ხასიათსა და ხარისხზე. გარდა ამისა, სამართლიანი სასჯელის დანიშვნის კუთხით, მიუთითა პერსონალურ ნიშნებზეც, რაც უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯია თანამონაწილეთა მიმართ სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის განხორციელებისათვის.

საგულისხმოა, რომ ზუსტად მსგავს პოზიციაზე დგას ახალი რუსული სისხლის სამართლის კანონმდებლობაც (მუხ. 67). შედარებით განსხვავებულად წყვეტს აღნიშნულ საკითხს უკრაინის

ახალი სისხლის სამართლის კოდექსი, რომლის 68-ე მუხლის II ნაწილით განსაზღვრულია თანამონაწილეთა მიმართ სასჯელის დანიშვნის სპეციალური კრიტერიუმი. ხსენებული ნორმა უთითებს, რომ თანამონაწილეთა მიმართ სასჯელის დანიშვნისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისები, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები (65-67 მუხლები). ასევე, ნორმა მხედველობაში იღებს დანაშაულის ჩადენაში თითოეული მათგანის მონაწილეობის ხასიათსა და ხარისხს. არსებითად სასჯელის დანიშვნისას უკრაინულ კანონმდებლობაში სასჯელის ინდივიდუალიზაციის კუთხით სხვა არაფერი არ არის ნათქვამი. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კოდექსის 29-ე მუხლის (რომელიც თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის ზოგად წესს განსაზღვრავს) III ნაწილში საუბარია პერსონალური და არაპერსონალური ნიშნების შერაცხვის თაობაზე. კერძოდ, ნიშნები, რომლებიც ცალკეული თანამონაწილის პიროვნებას ახასიათებენ ბრალად შეერაცხება მხოლოდ ამ თანამონაწილეს. სხვა გარემოებები კი, რომლებიც პასუხისმგებლობას ამძიმებენ და კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამის მუხლში გათვალისწინებული არიან, როგორც დანაშაულის ნიშნები, რომლებიც გავლენას ახდენენ ამსრულებლის ქმედების კვალიფიკაციაზე – ბრალად მხოლოდ იმ თანამონაწილეს შეერაცხება, რომელსაც შეცნობილი ჰქონდა ასეთი გარემოებები.

დაბოლოს, როგორც ეროვნული, ისე უცხოური სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობების შედარებითსამართლებრივი ანალიზით შევეცადეთ გვეჩვენებინა, თუ როგორ ხდება თანამონაწილეთა დასჯადობის საკითხის საკანონმდებლო რეგლამენტაცია. ანალიზი ცხადყოფს, რომ თავად როგორც ნაციონალური, ისე უცხოური საკანონმდებლო გამოცდილება აღნიშნულ საკითხზე ხშირად ურთიერთგანსხვავებულია და ეს პირველყოფისა, განპირობებულია, როგორც სისხლისსამართლებრივი დოქტრინის, ისე კანონმდებლის მიერ ზემოაღნიშნულ საკითხთა წრის განსაზღვრის სხვადასხვაგვარი მიდგომით. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, აიხსნება ნაციონალური სისხლისსამართლებრივი ტრადიციებითა და სისხლისსამართლებრივ პოლიტიკაში არსებული იმ ტენდენციებით, რომლებიც მიმდინარეობს ამ სახელმწიფოებში.

შენიშვნები:

- ¹ აღნიშნულ საკითხზე ანალოგიურ თვალსაზრისს ავითარებდა საბჭოთა პერიოდის არაერთი ცნობილი მეცნიერი. იხ.: თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბ., „მეცნიერება“, 1965 წ., გვ. 232; А.И. Траинин, Учение о соучастии, М., “Юристанд”, 1941 г., с. 146; М.И. Ковалев, Соучастие в преступлении, часть II, Свердловск, 1960 г., с. 166.
- ² Сборник документов по истории уголовного законодательства ССР и РСФСР, 1917-1952; под. ред. И.Т. Голякова, М., юрид.лит., 1953, с. 57.
- ³ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი (1928 წლის რედაქციით), იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა, თბ., 1928, გვ. 8-9.
- ⁴ Основы уголовного законодательства союза ССР и союзных республик, М., Юриздат, 1960, с. 9 10.
- ⁵ იხ.: მ. კოვალიოვი, დასახელებული ნაშრომი, ნაწილი II, გვ. 153.
- ⁶ იქვე, გვ. 153.
- ⁷ ა. ტრაინინი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 152.
- ⁸ იქვე, გვ. 152

ISSUE OF ACCOMPLICE PUNISHMENT IN THE LAW

GIORGI BARABADZE

Doctor of Law

In his article the author reviews specificity of criminal complicity punishability related legal regulations and notes that Criminal legislation of the Soviet Union did not restrict responsibility of accomplice according to any category of crime; however, it excluded criminal responsibility for complicity in the minor crime (demeanor). So, it represented a universal provision and was common for any category of crime under the criminal legislation.

At the same time, on issue of punishment of separate accomplice (crime companion), based on research of foreign legislation, the author distinguishes several (3) directions and concludes that similarity in accomplice punishability construction (namely: equal sentence, mandatory and optional reduction) is that all of them have one objective - to restrict the Court by pre-defined formal signs.

As to accomplice punishability legal regulation, the author reviews various stages of criminal legislation development and concludes that the legislation of the abovementioned period did not recognize formal, abstract principle of distinguishing the punishability of accomplices (crime companions); that the system did not envisage mandatory or optional reduction of sentence for any category of criminal complicity. He underlines variability of companion sentence individualization criteria. Also, unlike foreign legislation – author points out that the Soviet legislation did not contain certain limits in terms of sentence reduction according to separate companion type.

In order to define accomplice sentence individualization criteria, he reviews legislative reality of former Soviet republics, which they developed after the breakup of the Soviet Union. At the same time, he compares national and some foreign countries' criminal legislation and defines similarities and differences.

Finally, based on the conducted research, the author concludes that national as well as foreign legislative experience varies and that, first of all stipulated by different approaches to the state criminal doctrine and legal definition of categories. The reason for difference, as the author deems, is difference in trends in national criminal law traditions and criminal policies in different countries.

ევროპის კავშირის სამართლის საფუძვლების შესახებ

დავით გეფერიძე

სამართლის დოქტორი, სრული პროფესორი

ევროკავშირი საერთაშორისო სამართლებრივი სუბიექტუნარიანობის მქონე გაერთიანებაა. იგი აღიარებულია დამოუკიდებელ სუბიექტად, რომელსაც უფლება აქვს დადოს ხელშეკრულება როგორც სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ასევე ცალკეულ სახელმწიფოსთან. 1996 წელს დაიდო საქართველო-ევროკავშირის შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ.

ევროკავშირის სამართლის პრინციპები დაფიქსირებულია ევროპის ძირითად დებულებებში, ასევე ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებებში. სწორედ, ამ უკანასკნელს ეკუთვნის გადამწყვეტი როლი ევროკავშირის სამართლის პრინციპების დეტალური კლასიფიკაციის დამუშავებაში. ევროპის სასამართლომ ფორმულირება გაუკეთა და თავის გადაწყვეტილებებში გაამყარა ძირითადი საწყისების სისტემა, რომელზე დაყრდნობითაც უნდა ფუნქციონირებდეს და ვითარდებოდეს ევროკავშირის სამართლებრივი სისტემა ევროგაერთიანების სამართლის პრინციპების შესაბამისად. ევროკავშირის სამართლის პრინციპები მოიცავს ორ ჯგუფს: **ზოგად პრინციპებს**, რომლებიც განსაზღვრავენ ნორმების იურიდიულ ძალას და ევროკავშირის სამართლის წყაროებს, მათ თანაფარდობას წევრი ქვეყნების ეროვნულ კანონებთან და სამართლის **საერთო პრინციპებს**.

უზენაესობის პრინციპი ნიშნავს, რომ სამართალში შემავალი სამართლებრივი ნორმები, წესებთან შედარებით, რომელიც დამკვიდრებულია ცალკეული სახელმწიფოების კანონმდებლობებში, სარგებლობენ უპირატესობით და პრიორიტეტით. პრინციპი მოცავს არა მარტო სადამფუძნებლო შეთანხმებებს, არამედ ევროკავშირის ყველა სხვა საკანონმდებლო აქტებს (რეგლამ-

მენტები, დირექტივები, დადგენილებები). მათ აქვთ უმაღლესი იურიდიული ძალა ყოველი ქვეყნის ტერიტორიაზე, იმ შემთხვევაშიც, თუ შესაბამისმა ქვეყანამ ხმა არ მისცა მოცემული დოკუმენტის მიღებას. ევროკავშირის ყველა საკანონმდებლო აქტის მთავარი პრინციპების უზენაესობის დაცვის გარანტს წარმოადგენს ევროპის სასამართლო. სახელმწიფოების ეროვნული სასამართლოები წევრი სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში დაექვევების შემთხვევაში, ლეზულობენ სათანადო გადანყვეტილებას ძირითადი შეთანხმებებისა და ევროკავშირის კანონმდებლობის საფუძველზე ან მიმართავენ ევროპის სასამართლოს.

ევროკავშირის სამართლის პირდაპირი მოქმედების პრინციპი. ისევე როგორც უზენაესობის პრინციპი, მეტნაკლები სრული თანმიმდევრული ფორმით დადგენილია ევროსასამართლოს გადანყვეტილებით. პრინციპი არის ევროკავშირის სამართლის მთავარი განსხვავება საერთაშორისო სამართლისაგან, მისი ნორმებით რეგულირდება უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოების და საერთაშორისო ორგანიზაციების ურთიერთობა. ევროკავშირის ინსტიტუტების მიერ მიღებული რეგლამენტები წარმოადგენენ პირდაპირი მოქმედების აქტებს – საბჭოს მიერ (ევროპარლამენტთან ერთად) მისი დამტკიცების მომენტიდან და ევროკავშირის ნებისმიერი რეგლამენტის ძალაში შესვლიდან, მასში შემავალი ყველა დებულება ხდება ევროკავშირის მთელს ტერიტორიაზე მოქმედი სამართლებრივი ნორმა და ვალდებულოა როგორც წევრი ქვეყნებისათვის ასევე, ინდივიდებისათვის. რაც შეეხება ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მუხლებს, სამართლის პირდაპირი მოქმედებისათვის აუცილებელია, რომ მასში შემავალი წესები გადმოცემული იყოს იმპერატიული ფორმით და არ იყოს დამატებით განპირობებული წევრი სახელმწიფოების და ინსტიტუტების შემდგომი ქმედებებით. თუ მუხლს აქვთ საერთო პრინციპის ან დეკლარაციის ხასიათი, თუ ის ადგენს ევროკავშირში შემავალი სახელმწიფოებისა და ინსტიტუტების ქმედების საერთო პროგრამას კონკრეტული სამართლისა და ვალდებულებების ზუსტი და სრული მითითებების გარეშე, ამასთან დაკავშირებით სახელმწიფოების, მოქალაქეების და იურიდიული პირების მიერ წამოჭრილ ურთიერთობებზე მას პირდაპირი მოქმედება არ ექნება. მაგალითად, ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მუხლები, რომლებიც ადგენენ ევროკავშირის მიზნებს და ცალკეულ საერთო პოლიტიკას – უშუალო მოქმედ წესებს არ წარმოადგენენ, ანუ, არ ანიჭებენ მოქალაქეებს/იურიდიულ პირებს განსაზღვრულ სუბიექტურ უფლებებს და არ აკისრებენ მათ ვალდებულებებს. პირიქით, მე-12 მუხლი, რომელიც უკრძალავს წევრ სახელმწიფოებს გააფართოონ ან შემოიღონ ახალი შეზღუდვები ორმხრივ ვაჭრობასთან დაკავშირებით, არის უშუალოდ მოქმედი, ვინაიდან „შეიცავს ნათელ და აუცილებელ აკრძალვებს, რომლებიც არის არა პოზიტიური, არამედ ნეგატიურ ვალდებულებებს წარმოადგენს“. თავად ამ აკრძალვის ბუნება იდეალურად შეესაბამება მის შესაძლებლობებს აღმოაცენოს განსაზღვრული შედეგები უშუალოდ წევრი სახელმწიფოების მათ სუბიექტებთან დამოკიდებულებაში.

ევროკავშირის სამართლის უზენაესობის პრინციპი მიმართულია ყველა ნორმატიული აქტის მთლიანი და ერთგვაროვანი რეალიზაციის უზრუნველსაყოფად, რომლებიც შეადგენენ ევროკავშირის სამართლებრივ სისტემას, სამართლისა და ვალდებულებების დაცვას, რომლებიც აღიარებულია ევროკავშირის სამართლის წყაროებით, ყველა მოქალაქით, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებით. პრინციპების სხვა ჯგუფი, ეს არის ევროკავშირის სამართლის საერთო პრინციპები, ასევე ფორმულირებული და გამყარებული ევროსასამართლოს გადანყვეტილებით, განსაზღვრავს შინაარსს და ყველა სამართლებრივი აქტის მიღების მიმდევრობას.

პიროვნების თავისუფლების და ძირითადი უფლებების დაცვის პრინციპი. მაახსტრიხტის შეთანხმების თანახმად, ევროკავშირი „პატივის სცემს პიროვნების ძირითად უფლებებს“, გარანტირებულს ევროპის კონვენციით, უფლებების და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შესახებ და გამომდინარე „წვერი სახელმწიფოების საერთო კონსტიტუციური ტრადიციებიდან“.

სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპის ძირითად ელემენტს წარმოადგენს ევროკავშირის კანონმდებლობის დებულებებისათვის შეუქცევადი ძალის მინიჭება.

პროპორციულობის პრინციპის მიხედვით, ნებისმიერი აკრძალვა ან ვალდებულება, რომლებიც დაეკისრათ მოქალაქეებს საჯარო ხელისუფლების ორგანოების მიერ არ უნდა სცილდებოდეს მიღებული ზომების აუცილებელი მიზნების ფარგლებს. თუ კანონი ან სხვა სამართლებრივი აქტი ადგენს ვალდებულებებს, რომლებიც არ შეესაბამება მისი მიღების მიზნებს, იგი უნდა იქნეს გაუქმებული. სამართლებრივი აქტის მიზნების ნათელი შეუსაბამობა მათი მიღწევისათვის გათვალისწინებული საშუალებებით ასევე არის საფუძველი სასამართლოს მიერ სამართლებრივი აქტის ან მისი შესაბამისი დებულებების გაუქმების საფუძველი. ეს პრინციპი დაფიქსირებულია ევროკავშირის სადამფუძნებლო ხელშეკრულებაში – „საზოგადოების ნებისმიერი ქმედება არ უნდა სცილდებოდეს არსებული შეთანხმების მიზნების მიღწევის აუცილებლობას“.

თანასწორობის პრინციპი, ანუ ფიზიკური და იურიდიული პირების დისკრიმინაციის დაუშვებლობა, მიუხედავად განსხვავებული სოციალური და სამართლებრივი ფაქტორებისა. მოცემული პრინციპი გამყარებულია ხელშეკრულების სხვადასხვა პუნქტებში. მაგალითად, 119-ე მუხლი ადგენს მამაკაცის და ქალის თანასწორობის პრინციპს შრომის ანაზღაურების შემთხვევაში, 48-ე მუხლი იძლევა ევროკავშირის ქვეყნებში მშრომელთა თანასწორობის გარანტიას მათი სამუშაო ადგილის მიუხედავად, მე-7 მუხლი კრძალავს ეროვნული კუთვნილების მიუხედავად ნებისმიერ დისკრიმინაციას.

სამართლის პროცესუალური პრინციპები

კონფიდენციალურობის პრინციპი, რომლის თანახმად, თანამეგობრობის ორგანოებს და ინსტიტუტებს თავისი უფლებების რეალიზაციის პროცესში არა აქვთ უფლება უცხო პირებზე გასცენ ინფორმაცია, რომელიც ეხება მოქალაქეების პირად ცხოვრებას, მენარმეების კომერციულ საიდუმლოებებს ამ უკანასკნელთა თანხმობის გარეშე.

სუბსიდიარულობის პრინციპის შესაბამისად, ევროკავშირი და მისი ინსტიტუტები ვალდებული არიან გამოიჩინონ აქტიურობა იქ, სადაც წევრ ქვეყნებს არ შეუძლიათ წარმატებულად და დამოუკიდებლად გადაჭრან საკუთარი მოსახლეობის პრობლემები, ასევე იქ, სადაც თანამეგობრობის დონეზე ქმედებას შეუძლია უკეთესი შედეგის მოტანა, ვიდრე პრობლემის გადაჭრა ცალკეული სახელმწიფოების დონეზე.

ევროკავშირის სამართლის სისტემა და წყაროები

ევროკავშირის კომპეტენციის და წყობილების თავისებურებების გათვალისწინებით, სამართლის სისტემაში გამოიყოფა შემდეგი კომპლექსური დარგები: **ეკონომიკური ინტეგრაციის**

სამართალი, მიმართული საერთო ბაზრის პრინციპების, საქონლის მოძრაობის, მომსახურების, მომუშავეთა და კაპიტალების და გადასახადების დაცვისაკენ. სამართლებრივი ნორმების ჯგუფები დამკვიდრებულია ძირითად დებულებებში, ევროკავშირის ინსტიტუტების სამართლებრივ აქტებში, რომლებითაც ხორციელდება ევროკავშირის პოლიტიკის სხვადასხვა სფეროებში საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირება, მათ შორის, სავალუტო-ეკონომიკური პოლიტიკის; **ინსტიტუციური სამართალი** არეგულირებს ევროკავშირის ინსტიტუტების უფლებამოსილებას და საქმიანობის ფორმირების წესს. ზოგიერთ სამეცნიერო ნაშრომში ევროკავშირის ინსტიტუციური სამართალი იყოფა კონსტიტუციურ და ადმინისტრაციულ სამართლად. უკანასკნელი მოიცავს პროცესუალურ ნორმებს, რომელიც დაკავშირებულია ევროკავშირის ინსტიტუტების გადაწყვეტილებების და ქმედებების ევროპის სასამართლოში გასაჩივრებასთან.

პირველადი სამართალი. როგორც ცნობილია, სახელმწიფოებში სამართლის ძირითად საფუძველს წარმოადგენს კონსტიტუცია, რომლის შესაბამისადაც მიიღება სხვა კანონები და ნორმატიული აქტები. ევროკავშირში კონსტიტუციის ფუნქციას ასრულებენ ხელშეკრულება ევროკავშირის შესახებ და ევროკავშირის ძირითადი დადგენილებები, აგრეთვე, მათი შემცვლელი და დამატებითი სხვა აქტები. მათ შორის, უმნიშვნელოვანესია შეთანხმება ევროკავშირის შესახებ, რომელსაც ბევრი ევროპელი იურისტი და პოლიტიკური მოღვაწე განიხილავს როგორც ევროკავშირის კონსტიტუციას.

მეორადი სამართალი. ევროკავშირის მეორადი სამართლის წყაროს უპირველესად, წარმოადგენს აქტები, გამოცემული ევროკავშირის ინსტიტუტების მიერ, მათი კომპეტენციის ფარგლებში, ასევე, კავშირის საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, რომლებიც დადებულია ევროკავშირის ფარგლებში მისი წევრი სახელმწიფოების მიერ. ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულება ანიჭებს ევროკავშირის ინსტიტუტებს უფლებას გამოსცენ ნორმატიულ სამართლებრივი აქტების ორი სახე – **რეგლამენტები და დირექტივები**. ევროკავშირის კანონმდებლობის ამ წყაროებს შორის განსხვავება უპირველესად, ევროკავშირის სამართლებრივი სისტემის აგებულების ორი ძირითადი მეთოდიდან გამომდინარეობს – **უნიფიკაციის მეთოდი და ჰარმონიზაციის მეთოდი**.

უნიფიკაციის მეთოდი გულისხმობს პირდაპირი მოქმედების ნორმატიული აქტების გამოცემას, რომლებიც შიდასახელმწიფოებრივი სამართლის აქტებს ცვლიან და ადრე, საზოგადოებრივი ურთიერთობების განსაზღვრულ სფეროს არეგულირებდნენ. უნიფიკაციის მეთოდი გთავაზობს ერთიანი სამართლებრივი რეჟიმის შექმნას ეკონომიკის, ტრანსპორტის, კულტურისა და სხვა შესაბამის სფეროში. წევრ სახელმწიფოებში მოქმედი სხვადასხვა კანონების და საკანონმდებლო აქტების ნაცვლად მოქმედებას იწყებს ძირითადი კანონი – **რეგლამენტი**.

ევროკავშირის ინსტიტუტების კანონშემოქმედების მეორე – **ჰარმონიზაციის მეთოდის** მიზანია ერთიანი სამართლებრივი ნორმების დადგენა, რომელიც არეგულირებს ევროკავშირის მთელს ტერიტორიაზე განსაზღვრულ ეკონომიკურ და სხვა სახის ურთიერთობებს. უნიფიკაციისაგან განსხვავებით ჰარმონიზაცია უფრო მოქნილი მეთოდია. ჰარმონიზაციის არსი მდგომარეობს ევროკავშირის ნორმების დანესებაში, რომელიც მიმართულია წევრი სახელმწიფოების საკანონმდებლო აქტების დაახლოებისაკენ გარკვეულ სფეროში. ევროკავშირში ჰარმონიზაციის ინსტრუმენტია **დირექტივა**. იგი „სავალდებულოა ყველა წევრი სახელმწიფოსათვის, ვისკენაცაა იგი მიმართული, მოსალოდნელი შედეგის შესაბამისად, მაგრამ უნარჩუნებს ეროვნულ ხელისუფლებას მოქმედების ფორმების და მეთოდების არჩევის თავისუფლებას. დირექტივა წარმოადგენს ნორმატიულ აქტს. დირექტივის მიღება ბადებს ევროკავშირში შემავალი ქვეყნებისათვის

ვალდებულებას მოიყვანონ მათი შიდასამართლებრივი ნორმები დირექტივის ნორმატიულ მიმართულებასთან შესაბამისობაში. ეს ღონისძიებები სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ მკაცრად განსაზღვრულ დროში. დირექტივაში მკაცრად განისაზღვრება ვადები, რომლის ამონურვის მომენტში დირექტივის დებულებების მიხედვით, ნვერი სახელმწიფოების სამართლის ეროვნული ნორმები უნდა იყოს ჰარმონიზებული. თუ ევროკავშირის ნვერმა ქვეყანამ ვადის გასვლის მომენტისათვის არ მიიღო აუცილებელი ზომები ან ნაწილობრივ შეცვალა თავისი შიდა სამართალი დირექტივის შესაბამისად, ასეთი სახელმწიფოს წინააღმდეგ შესაძლოა: 1. გამოყენებულ იქნეს შესაბამისი პროცედურები, რომელიც გათვალისწინებულია ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების 169-ე მუხლის საფუძველზე; 2. კომისიის მიერ გამოძიების აღძვრა, ამ უკანასკნელის მიერ მოტივირებული დასკვნა, ევროპის სასამართლოში საქმის გადაცემით და უკიდურეს შემთხვევაში, ფისკალური ხასიათის სანქციების დადებით. იურიდიულად სავალდებულო დოკუმენტების მესამე სახეობა, რომელიც შეუძლია გამოსცეს ევროკავშირის ინსტიტუტებმა, არის დადგენილებები, რომლებიც თავისი შინაარსით სავალდებულოა ყველასათვის, ვისკენაცაა ისინი მიმართული. დადგენილებები წარმოადგენენ პირდაპირი მოქმედების აქტებს, მაგრამ ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებისაგან განსხვავებით, შეიცავენ არა სამართლებრივ ნორმებს, არამედ ინდივიდუალურ მიმართულებებს, რომლებიც სავალდებულოა სახელმწიფოსათვის ან კონკრეტული მოქალაქისათვის. იურიდიულად სავალდებულო დოკუმენტების გარდა ძირითადი დებულება ანიჭებს ინსტიტუტებს უფლებას ზემოქმედება მოახდინონ ინტეგრაციულ პროცესებზე, მათ შორის, სამართლებრივ სფეროზე რეკომენდაციები და დასკვნები არ არის სავალდებულო, ისინი შესაძლოა მიღებულ იქნეს ყოველი ან ცალკეული ნვერი სახელმწიფოს, ინდივიდუუმების მისამართით. ევროკავშირის ინსტიტუტების მიერ მიღებული რეკომენდაციები, დასკვნები და სხვა სახის დოკუმენტები, რომლებიც მოიცავენ სამომავლო ქმედებების პროგრამებს, წინადადებებს, ინიციატივებს და ა.შ. არა აქვთ სავალდებულო იურიდიული ძალა, ისინი წარმოადგენენ ევროკავშირის სამართლის წყაროს, მაგრამ არ შედიან ევროკავშირის სამართლებრივ სისტემაში. ევროკავშირის ინსტიტუტების მიერ მიღებული ნორმატიული აქტების გარდა, ევროკავშირის სამართლებრივ წყაროს ასევე, მიეკუთვნება საერთაშორისო შეთანხმებები და კონვენციები:

ა) რომლებსაც აფორმებს ევროკავშირი „მესამე“ ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის შეთანხმებები, რომლებშიც ერთ მხარეს წარმოადგენს ევროკავშირი და ნვერი სახელმწიფოები.

ბ) დადებული ევროკავშირის ფარგლებში ყველა ან ცალკეული ნვერი სახელმწიფოს მიერ. ასეთ შეთანხმებებს ნვერი სახელმწიფოები, როგორც წესი, აფორმებენ ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ევროკავშირის ინსტიტუტების კომპეტენციაში არ შედის.

მაშასადამე, ევროპის კავშირის ძირითადი სამართალშემოქმედება ხორციელდება რამდენიმე სახის აქტით, ესენია: ა) დადგენილებანი – საერთო გამოყენების ის საკანონმდებლო აქტები, რომლებიც მოქმედებენ ევროკავშირის ნვერ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე; ბ) დირექტივები – სავალდებულოა მხოლოდ იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც მონაწილეობენ კონკრეტული ამოცანის გადანყვეტაში. ასეთი აქტები მოითხოვენ ეროვნული კანონმდებლობის შესაბამის კორექტირებას; გ) გადანყვეტილებანი – რომლებიც ეხება ცალკეულ სადავო საკითხებს და სავალდებულოა იმ ქვეყნების იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის, რომელთა საქმის გამოც იქნენ მიღებული. დ) რეკომენდაციები და შეხედულებანი — აქტები, რომლებსაც ოფიციალურად იურიდიული

ძალა არა აქვთ, მაგრამ დიდ ყურადღებას მოითხოვენ, რადგან ისინი ევროკავშირის აზრს გამოხატავენ.

ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება (პრეცედენტული სამართალი). ევროკავშირის სამართლებრივი წყაროების განსაკუთრებულ კატეგორიას წარმოქმნიან ევროსასამართლოს გადაწყვეტილებები. ერთი მხრივ, სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიძლება უსიტყვოდ მივაკუთვნოთ მეორედ სამართალს – ფორმალურად, ევროკავშირის შესახებ შეთანხმების თანახმად, ევროსასამართლო არ წარმოადგენს სამართალშემოქმედებით ორგანოს, მისი მოვალეობაა უზრუნველყოს „თანამეგობრობის სამართლის ერთგვაროვანი შენარჩუნება მოცემული შეთანხმების ახსნის და გამოყენების შემთხვევაში“. თუმცა, სასამართლო არ შემოიფარგლება მხოლოდ ევროკავშირის კანონდამცველი ორგანოს როლით. თავისი არსებობის 40 წელზე მეტი დროის მანძილზე, ევროპის სასამართლომ შექმნა თანამეგობრობის სამართლებრივი ნორმების ფართო სისტემა, რომელიც შეადგენს პრეცედენტულ სამართალს, რომელიც ავრცობს და ავითარებს ევროკავშირის როგორც პირველად, ასევე მეორად სამართალს.

საქართველოში ამ საკითხის შესწავლა მეტად აქტუალურია, მით უმეტეს, რომ არ არსებობს ლიტერატურა, მათ შორის, კომპეტენტურ მეცნიერთა ფუნდამენტური შრომები ევროპის სამართლის შესახებ. უფრო დიდი კვლევისას საჭიროა გამოყენებულ იქნეს პრაქტიკოსი ქართველი სპეციალისტების ნაშრომები და გამოცდილება საერთაშორისო უფლებამოსილი ორგანიზაციების პრაქტიკა და არსებული მრავალი დოკუმენტი. საჭიროა ვისწავლოთ ევროპის სამართალი და სხვათა გამოცდილების გაზიარება.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. Шенген (Шенгенское соглашение), <http://www.schengen.eu/>
2. ევროკავშირის ოფიციალური საიტი – <http://europa.eu/>
3. «Договор о ЕС», Действующее международное право, сборник док-тов, Т.3, Москва., 1997;
4. Кашкин С.И., Право европейского союза, Учебное пособие, М., 2009;
5. Беляев С.А., «Европейское правовое пространство: обзор западноевропейских концепций», Правоведение, №6, 1990;
6. Браво Л.Ф. «Применение международного права в порядке европейских стран», Российский ежегодник международного права, 1995;
7. ევროკავშირი და საქართველო, შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ (22 აპრილი, 1996 წელი).



ON BASICS OF LAW OF THE EUROPEAN UNION

DAVID GEFERIDZE

Doctor of Law, Full Professor

Principles of the European Law are reflected in key provisions and decisions of the European Court. The most important role in development of the detailed classification of legal principles of the EU belongs to decisions of the European Court. The European Court formulated and established in its decisions the systems of starting points, based on which the EU legal system shall function and develop in accordance with principles of European Law. Legal principles of the EU cover two groups: general principles, which define legal power of norms and sources of the EU law, their ratio with national laws of the EU and general principles of the law.

European Union comprises international legal subjects. It is recognized as independent subject, which has the right to enter into agreements with other international organizations and separate states. In 1996, agreement on partnership and cooperation was signed between the EU and Georgia.

It is important to study the issue in Georgia, especially considering the fact that there are no materials, including fundamental scientific researches on European Law. During larger scale research it is necessary to use papers and experience of practicing Georgian specialists as well as practice and numerous documents of competent international organizations. We need to study European law and share others' experience.

საბაჟო სამართლის ნორმათა განმარტების თავისებურებანი

ია ხარაზი

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის პროგრამული მიმართულების ხელმძღვანელი, სრული პროფესორი

ნათო უერთაშვილი

საერთაშორისო სამართლის და მართვის ქართულ-ბრიტანული უნივერსიტეტის მაგისტრი

მაკა ორჯონიძე

თბილისის საბანკო-საფინანსო და მენეჯმენტის სასწავლო უნივერსიტეტის მაგისტრი

სამართლის ნორმას განმარტავენ, როგორც ზოგადსაგვალდე-ბულო ქცევის ფორმალურად განმსაზღვრელ წესს, რომელიც დადგენილია ან სანქცირებულია სახელმწიფოს მიერ. მისი შეს-რულება უზრუნველყოფილია იძულებით ან დარწმუნებით და გა-მიზნულია საზოგადოებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებ-ლად მათი მონაწილეების უფლებებისა და მოვალეობების გან-საზღვრის გზით.

საბაჟო სამართლის ნორმა წარმოადგენს საბაჟოსამართლებ-რივ ურთიერთობათა მონაწილეების ქცევის დანერგულ წესს, რო-მელსაც ზუსტად განსაზღვრული წესითა და ფორმით ადგენს სახელმწიფო და ძალაში შედის კონკრეტულ საკანონმდებლო ვა-დაში. აღნიშნულ ნორმათა ერთობლიობა კი, შეადგენს თვით სა-ბაჟო სამართლის საგანსა და შინაარსს.

მაგრამ ცალკე აღებული საბაჟო სამართლის ნორმა, ასეთი ნორმების ჯგუფი, ეს ჯერ კიდევ, არაა თვით საბაჟო სამართალი. საბაჟო სამართალი ისე, როგორც სამართალი საზოგადოდ, უნი-ნარეს ყოვლისა, „იურიდიული ნორმების სისტემაა, რომელიც ყველაზე უფრო სრული და ზოგადი ფორმით ამ ნორმებში გამო-ხატავს სახელმწიფოებრივ ნებას, მის ზოგადსაკაცობრიო ხასი-

ათს, გამსჭვალულია საზოგადოების ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური სტრუქტურით განპირობებული ერთიანი კანონზომიერებათა პრინციპებით“.

იმავე დროს, საზოგადოდ, სოციალური ნორმებისაგან განსხვავებით, საბაჟო სამართლის ნორმა საკმაოდ დამოუკიდებელი ცნებაა, რომელსაც აქვს თავისი სპეციფიკური თავისებურებანი და ნიშნები. მათგან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანს, ჩვენი აზრით, შეიძლება მიეკუთვნოს შემდეგი: პირველი, საბაჟო სამართლის ნორმები სხვა სოციალური ნორმებისაგან განსხვავებით (ზოგიერთის გამოკლებით), თავად გამოდიან მთლიანი სამართლებრივი წარმონაქმნის ფორმით და სახელმწიფოს ნების შესაბამისად, მონოდებულია საზოგადოებაში სპეციფიკური – საბაჟო ურთიერთობები არეგულიროს. ამ ურთიერთობათა თავისებურებაა, რომ ისინი გულისხმობენ არა მარტო სამართლის სუბიექტებისა და ზემოქმედების ობიექტების, არამედ სოციალურ-ეკონომიკური, ორგანიზაციული და სხვა ურთიერთობებისა და ფაქტების არსებობასაც, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით.

მეორე, საბაჟო სამართლის ნორმები ყოველთვის მზადდება და გამოიცემა სახელმწიფოს სანქციით და გამოიხატება კანონმდებლობაში დადგენილი ან საყოველთაოდ აღიარებული ფორმით. მაგალითად, ისინი შეიძლება გამოვიდეს კონსტიტუციის ნორმების, პრეზიდენტის ბრძანებულებების, კანონების, მთავრობის დადგენილებებისა და განკარგულებების და ა.შ. ფორმით.

მესამე, სხვა სოციალური ნორმებისაგან განსხვავებით საბაჟო სამართლის ნორმები ყოველთვის შეიცავენ ზოგადსავალდებულო მიზანდასახულობებსა და მითითებებს. ამ თვალსაზრისით, თვით ნორმა არის საბაჟო ურთიერთობათა ამა თუ იმ მონაწილის ქცევის რაღაც სამართლებრივი მოდელი, ზომა, ეტალონი, მასშტაბი და საყოველთაოდ აღიარებული კომპონენტების გარდა, მოცემული ნორმა შეიძლება შეიცავდეს ჰიპოთეზის სანინააღმდეგოს, რაღაც ლოგიკურ შედეგს ან უამისოდ, საპროგნოზო და პროგნოზულ ინფორმაციას.

საბაჟო სამართლის ნორმაში ყოველთვის გამოიხატება მითითება, თუ როგორ უნდა მოიქცნენ განსახილველი სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეები სხვადასხვა სიტუაციაში. ასეთი მითითება, ბრძანება მოცემულია საბაჟო სამართლის ნებისმიერ ნორმაში იმის მიუხედავად, გამოხატულია იგი კანონში, კანონქვემდებარე აქტში, თუ ჩვეულებაში ან სხვა დებულებაში.

საბაჟო სამართლის ნორმების ზუსტი და სწორი გამოყენებისათვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა, რომ მან, ვინც იყენებს ამა თუ იმ განსახილველ ნორმას (საბაჟოს უფროსი, მებაჟე, იურისტი და სხვა), ნათლად გაარკვიოს მისი აზრი და შინაარსი. საბაჟო სამართლის თითოეული ნორმა გამოხატულია კანონებში, როგორც საბაჟო სამართლის წყაროებში. კანონებში აისახება საბაჟო სამართლის ნორმები, მათი მიზნები, მიმართულებები, არსი, სხვა ნორმებთან ურთიერთობებში და ა.შ., ამიტომ საბაჟო სამართლის კონკრეტული ნორმების გასარკვევად საჭიროა თვით იმ კანონის შესწავლა, რომელშიც ეს ნორმაა მოცემული, მისი ანალიზი, სტრუქტურის, რეგულაციური შესაძლებლობისა და პოტენციის კვლევა. ამის შედეგად, კანონის აზრის, შინაარსის გარკვევა საბაჟო სფეროში გამოდის როგორც მისი განმარტება, უშუალოდ შესწავლა პრაქტიკაში შემდგომი გამოყენების მიზნით. საბაჟო დარგში კანონის ან საბაჟო საქმეზე სხვა აქტების ასეთ განმარტებას მიმართავენ კონკრეტული სიტუაციების მიმართ აღნიშნული კანონებისა და აქტების გამოყენების პროცესში, საბაჟო ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირების მსვლელობაში სამართლებრივი ამოცანების გადაწყვეტის დროს.

განმარტებას ექვემდებარება საბაჟო სამართლის ნებისმიერი წყარო, ე.ი. კანონი ან საბაჟო მიმართულების სხვა აქტი, რომელიც ადგენს საბაჟოსამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექ-

ტების ქცევის სამართლებრივ მითითებებს, წესებს. ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი სამართლის წყაროს შესახებ, რომლებიც ეხება საზოგადოებაში საბაჟო საქმის ორგანიზაციის სამართლებრივ რეგულირებას.

ამასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია ხაზგასმით აღინიშნოს, რომ საბაჟო სამართლის ნორმები შეიცავენ ქცევის სპეციფიკურ წესებს და არეგულირებენ ტიპურ სამართლებრივ სიტუაციებს, რომლებიც საბაჟო ურთიერთობათა სუბიექტებისათვის პრაქტიკულ ინტერესებს წარმოადგენენ. ეს ნორმები, ასე თუ ისე, მხედველობაში არ იღებენ თითოეული სიტუაციის, ამოცანის, კაზუსის თავისებურებებს, არამედ ახასიათებენ მხოლოდ მათ ძირითად, ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ნიშნებს.

მაგალითად, საბაჟო კოდექსის 65-ე მუხლის მიხედვით, „საქონელზე, რომლის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს საბაჟო რეჟიმი, სავალდებულოა წარდგენილ იქნეს საბაჟო დეკლარაცია“, ხოლო 74-ე მუხლის თანახმად, „რეგისტრირებული საბაჟო დეკლარაციის შემონიშნების მიზნით, საბაჟო ორგანო უფლებამოსილია: ა) შეამოწმოს საბაჟო დეკლარაციის შესაბამისობა თანდართულ დოკუმენტებთან და წარდგენილ საქონელთან; ბ) დეკლარანტს მოსთხოვოს დამატებითი დოკუმენტები, რომლებიც დაკავშირებულია დეკლარირებულ მონაცემებთან...“. აღნიშნული დოკუმენტების და დამატებითი ცნობების ჩამონათვალს განსაზღვრავს შესაბამისი სამსახური. რა თქმა უნდა, კოდექსის არც ერთ მუხლს, არც საქართველოს შემოსავლების სამსახურის სხვა დოკუმენტებს და დამატებითი ცნობების ნუსხას არ შეუძლია გაითვალისწინოს ყველა მონაცემი, ფაქტი და კოლიზია, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას სამართლებრივ ურთიერთობათა მონაწილეებს შორის და არც მათ შეუძლიათ ასახონ აღნიშნული საბაჟო მიზნების რეალიზაციისათვის საჭირო ყველა სახის ინფორმაცია. ამიტომ მუხლში დგინდება საბაჟო ორგანოსათვის ინფორმაციის გადაცემის დროს მხოლოდ ყველაზე უფრო საერთო და ტიპური მომენტები. ამასთანავე, ისინი ცალკე არაა ჩანერილი.

ამ და სხვა მიზეზებით კონკრეტულ სიტუაციაში საბაჟო სამართლის კონკრეტული ნორმების გამოყენება უსათუოდ გულისხმობს აღნიშნული მუხლის აზრის და შინაარსის გარკვევას, მის გავრცობით განმარტებას, ახსნას ცალკეული ადამიანის ქცევასთან დაკავშირებით.

მაგრამ ვიდრე საბაჟო სამართლის ნორმის გამოყენებული სამართლის სუბიექტი განსახილველ სფეროში კანონს „განმარტავს“, უნდა დარწმუნდეს მოცემული კანონის ან (მუხლის) არსებობასა და ტექსტის ნამდვილობაში.

მოცემული კანონის და მისი ტექსტის არსებობა განსახილველი ნორმის გამომყენებელმა სუბიექტმა უნდა დაადგინოს კონკრეტული კანონის ან კოდექსის ოფიციალური გამოცემის მიხედვით და არა წიგნში ან სტატიების კრებულებში მოცემულის (გადაბეჭდილის) მიხედვით; შემდეგ საჭიროა დარწმუნება, მოქმედებს თუ არა ამ მომენტში გამოსაკვლევი კანონი და ხომ არაა იგი გაუქმებული; ამავდროულად უნდა გაირკვეს, ხომ არ მომხდარა კანონში რაიმე ცვლილება და დამატება.

საბაჟო სამართლის სუბიექტისათვის საჭირო, გამოსაყენებელი კანონისა და მისი ტექნიკის არსებობის დადგენის შემდეგ, ძალზე მნიშვნელოვანია განისაზღვროს, მისთვის რა სამართლებრივი მითითება (ნორმა) არის შეტანილი და რომ ამ მითითებას (ნორმას) აქვს იურიდიული ძალა და სავალდებულოა შესასრულებლად.

საბაჟო სამართლის ნორმის გამოყენების პროცესში საჭიროა ასევე, დარწმუნება, რომ ეს ნორმა შეიძლება ორიენტირებული იყოს პირისათვის საინტერესო ურთიერთობებზე და რომ

იგი მიღებულია იმ ორგანოს მიერ, რომელსაც კანონით უფლება აქვს გამოსცეს მსგავსი ნორმები. საქართველოს კანონების ან პრეზიდენტის ბრძანებულებების გამოყენებისას საბაჟო სფეროში ასეთი საკითხი არ წარმოიშობა, ვინაიდან მსგავსი აქტების მიღება ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოსა და პრეზიდენტის კომპეტენციაა და აგრეთვე, ზოგიერთი აქტების გამოცემის წესი რეგლამენტირებულია კონსტიტუციაში ან/და სხვა კანონებში.

საქართველოს ნორმატიული აქტების და ავტონომიური რესპუბლიკების საბაჟო მიმართების აქტების (მათ შორის, აქტებს შორისაც, სადაც ზოგადად, ირიბად ასახულია საბაჟო საქმის საკითხები) გამოყენების პროცესშიც კი, თუ მოცემული აქტის გამოყენებისას სასამართლო ან სხვა ორგანო აღმოაჩენს წინააღმდეგობას, ან სხვადასხვაობას, მაშინ ცხადია, უარი უნდა ითქვას იმ აქტების გამოყენებაზე, რომლებიც ეწინააღმდეგება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობას.

შემოსავლების სამსახურის, შსს, ეკონომიკის, ფინანსთა სამინისტროების და სხვა ორგანოების აქტებში მოცემული საბაჟო სამართლის ნორმების გამოყენების მსვლელობაში ხშირად, ასევე, საჭიროა გაირკვეს, მოქმედებდა თუ არა ესა თუ ის ორგანო კონსტიტუციისა და საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად და მიიღო თუ არა მან სწორად ის აქტი, რომელიც დაგვეხმარება ეფექტიანად ვარეგულიროთ საბაჟო ურთიერთობები. განსაკუთრებით მწვავედ დგება ეს საკითხი, როცა სამინისტროები და უწყებები ცდილობენ თავიანთი აქტების მიღების გზით მკვეთრი გავლენა მოახდინონ საბაჟო საქმიანობაზე.

ანალიზმა აჩვენა, რომ მეცნიერ-იურისტთა შორის არ არის კანონის განმარტების სახეების პრობლემებისადმი ერთიანი მიდგომა. ერთნი საუბრობენ საკანონმდებლო აქტების ნორმატიულ განმარტებაზე, მათ სასამართლო და დოქტრინალურ ანალიზზე, მეორენი – სამართლებრივი მითითებების ოფიციალურ, არაოფიციალურ და გრამატიკულ განმარტებებზე, მესამენი – ყველაფერზე ერთად. საბაჟო სამართლის თეორიაში კანონების და ნორმების განმარტება ნაცადი იყო მხოლოდ ზოგადი თვალსაზრისით, ამიტომ ამ პრობლემებზე დაწვრილებით შეგვირდებით.

ვფიქრობთ, რომ საბაჟო სამართალში შეიძლება ვისაუბროთ კანონთა მხოლოდ ოფიციალური და არაოფიციალური განმარტების შესახებ.

საბაჟო სფეროში კანონების ოფიციალურ განმარტებას იძლევიან ამაზე უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები და ის სავალდებულოა გამოსაყენებლად კონკრეტულ სიტუაციებში. საბაჟო სფეროში კანონთა დამოუკიდებელი სახის განმარტებას უპირველესად, სასამართლო განმარტება წარმოადგენს, ვინაიდან საბაჟო საქმის (შემთხვევის) გადაწყვეტაზე სასამართლოს გადაწყვეტილება ან განაჩენი იძენს სახელისუფლებო მოხაზულობას და რაღაც „საკანონმდებლო ძალასაც“ კი და იგი ამ აზრით არ შეიძლება შეედაროს სხვა სამინისტროებისა და უწყებების საბაჟო კანონმდებლობის ნორმების განმარტებას.

როგორც ვიცით, საბაჟო მიმართულების კანონთა განმარტების ყველაზე უფრო გავრცელებულ სახეს დოქტრინალური განმარტება წარმოადგენს, რომელიც წარმოებს საბაჟოსამართლებრივ ნორმათა მეცნიერული გამოკვლევისა და შესწავლის საფუძველზე. ასეთ განმარტებებს არა აქვს სავალდებულო ძალა, არც რომელიმე ორგანოსათვის, არც საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის და არც კერძო პირებისათვის. მაგრამ მონოგრაფიები, კომენტარები, საბაჟო სამართლის დამხმარე სახელმძღვანელოებში განხორციელებული აქტების, ნორმების განმარტება დიდ როლს ასრულებს მოქმედი საბაჟო კანონმდებლობის სრულყოფისათვის საქართველოს შემოსავლების სამსახურის, მისი სტრუქტურული ერთეულების, საბაჟო პოსტების და სხვ. მუშაობის რაციონალიზაციისათვის და საბაჟო დარგში კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტ-

კიცებისათვის. მაგრამ კანონთა ასეთ განმარტებას არ აქვს ოფიციალური ძალა საბაჟო სამართლის ნორმების გამომყენებელი საბაჟო და სხვა სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირებისათვის. ამ ორგანოს წარმომადგენლები, თანამშრომლები, იურისტები, ბროკერები და სხვები თავიანთი სამართალგამოყენებითი საქმიანობის მსვლელობაში უდავოდ მოვალენი არიან იცოდნენ საბაჟო სფეროში მეცნიერების უახლესი მიღწევები და მეცნიერთა აზრები, მაგრამ თავიანთ ყოველდღიური საქმიანობის პროცესში ისინი უნდა ემყარებოდნენ უწინარეს ყოვლისა, კანონებსა და სხვა აქტებს, რომლებიც შესასრულებლად ყველასათვის არის სავალდებულო. საბაჟო სამართალში და საბაჟო საქმეში აქტების მეცნიერული განმარტება მთლიანობაში შეუძლიათ განახორციელონ საბაჟო სამსახურის უფროსებმა, იურისტებმა, ექსპერტებმა, ინსპექტორებმა თავიანთ სტატიებში, გამოკვლევებში და ა. შ. თუ მსგავსი განმარტება მეცნიერულ ხასიათს ატარებს, დამყარებულია სამართლის ნორმების, ფაქტების, უტყუარ ანალიზზე, მაშინ ის შეიძლება ასევე, განვიხილოთ როგორც მეცნიერული განმარტება და გამოყენებულ იქნეს საბაჟო სამართლის ნორმების პრაქტიკული განხორციელებისას. საბაჟო სამართლის ნორმების ისტორიული განმარტებისას, თითქოსდა ხდება წინასწარი განმარტება, რომელიც წინ უსწრებს გამოყენებას. ამ დროს ვლინდება საბაჟო სამართლის ის ნორმები, რომლებიც ფაქტობრივად ვადადაკარგულია და მათი გამოყენება შეუძლებელია ისტორიულ-პოლიტიკური ვითარების გამო.

საბაჟო სამართლის სისტემური განმარტება გულისხმობს მოცემული კანონის მოქმედების სტრუქტურის, ფუნქციების და შესაძლო მექანიზმის კომპლექსურ, ურთიერთდაკავშირებულ შესწავლას. ამასთან, ხდება საკანონმდებლო აქტის შესაძლო მოქმედების გარემოსა და მისი შედეგიანობის შესწავლა. ამ დროს საბაჟო სამართლის ნორმის შინაარსის გარკვევა ხდება მისი ადგილის მიხედვით სამართლის მთელ სისტემაში და შეპირისპირებით იმ ნორმებთან, რომლებიც არეგულირებენ მსგავს ურთიერთობებს. ცალკეული ნორმების ერთმანეთთან შედარების შედეგად, უფრო ნათელია თითოეული მათგანის ზუსტი შინაარსი. ლოგიკური განმარტება გამოიხატება საბაჟო საქმის ამა თუ იმ საკითხზე კანონის შესწავლაში, ლოგიკური წესებისა და საშუალებების, ლოგიკური აზროვნების კანონების საფუძველზე, ნორმის ტექსტის ანალიზის გზით. სახელდობრ, ნორმის შემადგენელი წინადადებების აზრი, მათ ნაწილებს შორის ლოგიკური კავშირი უნდა დადგინდეს ფორმალური ლოგიკის წესების მეშვეობით. ამასთან, ლოგიკის პოზიციიდან დეტალურად ხასიათდება საბაჟო სამართლის ცალკეული ნორმების ჰიპოთეზა, დისპოზიციი და სანქცია, მათი კავშირი, სახეები, ირკვევა კანონში ასახული საბაჟო სამართლებრივ ურთიერთობათა მონაწილეების ქცევის წესების ლოგიკური ხასიათი. კანონების გრამატიკული განმარტება – ნორმის განმარტების დასკვნითი ეტაპია. ამ დონეზე ხდება კანონში (ნორმაში) სიტყვიერი გამოთქმების დახასიათება, გრამატიკის წესების გამოყენების მეშვეობით. გრამატიკული განმარტება ხორციელდება საკანონმდებლო აქტების, ნორმის სიტყვების, წინადადებების, ტერმინების, ცნებების და მათ შორის, სინტაქსური კავშირების გზით.

ბუნებრივია, კანონთა აღნიშნული სახის განმარტებები ერთმანეთისაგან განცალკევებული არ არის, ისინი ურთიერთდაკავშირებულია და ურთიერთქმედებენ. ეს თითქოს კანონების, აქტების შესწავლის სხვადასხვა საფეხურებია, მათ გამოყენებამდე (ან გამოყენების პროცესში) და ამასთან, ისინი ერთი მეორის გარეშე არ იძლევიან განმარტების სრულ სურათს და ხშირად, მათ ერთდროულ ან თანმიმდევრულ გამოყენებას გულისხმობენ.

სამართლებრივი მოქმედების საზღვრების თვალსაზრისით, კანონთა განმარტება საბაჟო სფეროში შეიძლება იყოს: სიტყვასიტყვითი, ანუ ადეკვატური, შეზღუდვითი და გავრცობითი.

სიტყვასიტყვითი განმარტებისას საბაჟო სამართლის ნორმის შინაარსი გაგებულ უნდა იქნეს მის სიტყვიერ გამოხატულებასთან ზუსტ შესაბამისობაში, ნორმის დახასიათება ხდება კანონის ზუსტი ტექსტის შესაბამისად. ამ სახის განმარტება ხორციელდება ნებისმიერი სხვა აღნიშნული სახის განმარტების მეშვეობით, იგი არასოდეს არ არის კანონში ნორმის გამოხატვაზე არც ვინრო, არც ფართო. ასეთ ნორმებში (კანონებში, სხვა აქტებში) კანონმდებლის ნება და ამ ნების გამოხატულების ფორმა ურთიერთშესატყვისი და ადეკვატურია. მაგალითად, საბაჟო კოდექსის 45-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, 'საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანა სხვა ადგილებში, რომლებიც განსაზღვრული არ არის ამ მუხლის მე-6 ნაწილში აღნიშნული საქართველოს მთავრობის დადგენილებით, ან სასაზღვრო საბაჟო ორგანოს არასამუშაო დროს, დაიშვება საქონლის შემომტანი პირის განცხადების საფუძველზე, მისივე ხარჯებით'. აქ საკმაოდ ნათლად არის გამოკვეთილი, რომ საქონლის შემომტანი პირი, თუ ის საქონელს შემოიტანს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე სხვა ადგილებში, ან სასაზღვრო საბაჟო ორგანოს არასამუშაო დღეს მისი განცხადებით, ხდება მისივე ხარჯებით. სხვანაირი განმარტება აქ არ არის მოცემული და იგი კანონში მკაფიოდ არის განერილი.

შეზღუდვითი განმარტება – ეს ისეთი განმარტებაა, რომლის დროს საბაჟო სამართლის ნორმის შინაარსი გაგებულ უნდა იქნეს უფრო ვიწროდ, ვიდრე მისი ტექსტობრივი გამოხატულებაა, ანუ ნორმის ტექსტის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობაა, რომელიც უფრო ფართოა და მოვლენათა უფრო ფართო წრეს გულისხმობს, ვიდრე ეს კანონმდებლის ნებითაა გათვალისწინებული. ამიტომ საჭიროა საბაჟო სამართლის ნორმათა განმარტების დროს ნორმის ტექსტში გამოყენებულ სიტყვებსა და გამოთქმებს მიეცეს შედარებით შეზღუდული მნიშვნელობა. ასე, მაგალითად, საბაჟო კოდექსის 115-ე მუხლში მითითებულია საქონლის საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების რეჟიმის გამოყენებაზე – ერთი ან მეტი გადამუშავების ოპერაციის გამოყენებაზე მხოლოდ სამ შემთხვევაში: ა) უცხოური საქონლის მიმართ, რომლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას არ გადაიხდებინება იმპორტის გადასახდელები (გარდა საბაჟო მოსაკრებლისა) და არ გატარდება სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებები, ხოლო მისგან მიღებული გადამუშავების პროდუქტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანისას არ გადაიხდებინება ექსპორტის გადასახდელები და არ ტარდება სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებები; ბ) თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებული საქონლის მიმართ, რომლებზეც გადახდილი იმპორტის გადასახდელები (გარდა საბაჟო მოსაკრებლისა) დაბრუნებული ან ჩათვლილი არ არის და მისგან მიღებული გადამუშავების პროდუქტი გაიტანება საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან; გ) უცხოური საქონლის მიმართ, რომლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას არ გადაიხდებინება იმპორტის გადასახდელები (გარდა საბაჟო მოსაკრებლისა) და არ ტარდება სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებები, ხოლო მისგან მიღებული გადამუშავების პროდუქტის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას გადაიხდებინება იმპორტის გადასახდელები და ტარდება სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებები. მუხლის სიტყვასიტყვითი ტექსტიდან შესაძლოა გასაგები იყოს, რომ საუბარია, საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების მხოლოდ ამ მუხლში ჩამოთვლილი და არა სხვა ოპერაციების შესახებ და ამ შემთხვევაში, მუხლის ტექსტი ვიწროვდება.

კანონთა გავრცობითი განმარტება საბაჟო სფეროში ისეთი განმარტებაა, რომლის დროს საბაჟო სამართლის ნორმის შინაარსი გაგებულ უნდა იქნეს უფრო ფართოდ, ვიდრე მისი ტექს-

ტობრივი გამოხატულებაა, ე.ი. ამ შემთხვევაში, თვით კანონია ფართოდ განმარტებული და მისი გამოყენება გულისხმობს ობიექტის და მოვლენების უფრო ფართო მოცულობას. მოკლედ რომ ვთქვათ, საბაჟო სამართალში განვრცობითი განმარტება მაშინ გამოიყენება, როდესაც საკანონმდებლო აქტის აზრით, იგი უფრო ფართო უნდა იყოს იმაზე, რაც მითითებულია ნორმატიული აქტის ტექსტში. მაგალითად, საბაჟო კოდექსის 22-ე მუხლში მოცემულია, რომ „საბაჟო ორგანოების ერთიანი სისტემა შედგება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის და მასში შემავალი საბაჟო ორგანოებისაგან. აქ სრულად და ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი შემოსავლების სამსახურში შემავალი საბაჟო ორგანოები და ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ, რომ შემოსავლების სამსახურში იგულისხმება მთლიანად სამსახურის აპარატი, საგამოძიებო დეპარტამენტი, სპეციალური დანიშნულების რაზმი, სამსახურის ტერიტორიული ორგანოები, „საბაჟო ორგანოებში“: რეგიონული საბაჟო ორგანოები, საბაჟო პოსტები და სხვა.

საბაჟო სფეროში კანონთა შეზღუდვითი და განვრცობითი განმარტება მეცნიერულად უნდა დასაბუთდეს, დადასტურდეს პრაქტიკული რეალიზაციის საჭიროებით და რაც მთავარია, არ უნდა აყენებდეს ზიანს საბაჟოსამართლებრივ ურთიერთობათა მონაწილეების, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს. ამ ორი სახის განმარტება შესაძლებელია, თუ მათ მოაქვთ საყოველთაო სარგებლობა და არ იწვევენ საბაჟო სფეროში თვითნებობასა და სამართალდარღვევებს.

შედეგად უდავო ხდება, რომ საბაჟო სამართლის ნორმები, როგორც საბაჟო სფეროში ადამიანთა ქცევის წესები, პრაქტიკაში რეალიზდება სხვადასხვაგვარ სამართლებრივ ურთიერთობათა რეგულირების პროცესში. ამასთან, ამ ნორმებით ხელმძღვანელობს სამართლის ყველა სუბიექტი, ახამებს რა ამ ნორმებთან თავიანთ მოქმედებებსა და ქცევებს და სამართალგამოყენებითი საქმიანობისას აღწევენ მათ წინაშე მდგარ მიზნებსა და ამოცანებს. საბაჟო სამართლის ნორმების თავად გამოყენება კი, გამოდის როგორც ამ სამართლის სპეციფიკური მოქმედება, როგორც მისი ნორმების, დებულებების, მუხლების რეალიზაცია. იგი ახასიათებს იმ მითითებებისა და წესების განხორციელებას, რომლებსაც ადგენს საბაჟო კანონმდებლობა. საბაჟო სამართლის ნორმების გამოყენების ამოცანას, უპირველესად, საბაჟო ხასიათის კანონების, აქტების, დებულებებისა და ა.შ. სრული რეალიზაცია წარმოადგენს, მათი შინაარსისა და აზრის ზუსტი შესაბამისობით კანონიდან გადახვევის გარეშე.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საბაჟო სამართლის ნორმების გამოყენება – ეს არის უწინარეს ყოვლისა, მათი რეალიზაცია, რომელიც სამართლის თეორიაში ესმით, იურიდიული ნორმების მითითებების ცხოვრებაში გატარება, განხორციელება საზოგადოებრივ ურთიერთობათა სუბიექტების (სახელმწიფო ორგანოების, თანამდებობის პირების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მოქალაქეების) მართლზომიერი ქცევის გზით.

აღვნიშნავთ, რომ საბაჟო სამართლის ნორმების რეალიზაცია ყოველთვის დაკავშირებულია საბაჟოსამართლებრივ ურთიერთობათა მონაწილეების მართლზომიერ ქცევასთან ე.ი. ისეთ ქცევასთან, რომელიც არ გულისხმობს საბაჟო სფეროში სამართალდარღვევათა (დანაშაულის) ჩადენას. ამასთან, ეს მართლზომიერი ქცევა შეიძლება გამოვიდეს როგორც აქტიური მოქმედების ფორმით (ვთქვათ, გადამზიდველის სურვილი გადაიტანოს საბაჟო საზღვარზე ბავშვთა საკვები), ისე უმოქმედობის ფორმით (ვთქვათ, დასახელებული გადამზიდველის თავის შეკავება ამ ქმედებისაგან).

თვით საბაჟო სამართლის ნორმების გამოყენება, როგორც მათი რეალიზაციის განსაკუთრებული ფორმა, ასევე, გამოდის სამართლის სუბიექტთა აქტიური მოქმედებებისა და მათი უმოქმედობის ფორმით და ხასიათდება რიგი სპეციფიკური ნიშნებით. ჯერ ერთი, საბაჟოსამართლებრივი ნორმების გამოყენება, არის რა შესაბამისი საბაჟო ორგანოების, რეგიონული საბაჟოების, საბაჟო სამსახურების პოსტების და სხვა ერთ-ერთი სახის ორგანიზაციულ-სახელისუფლებო საქმიანობა, დაკავშირებულია საბაჟო ტერიტორიაზე შექმნილი სიტუაციების, სასამართლოში დავებისა და ა.შ. გადაწყვეტის კონკრეტულ ხერხებთან. იგი საბაჟოსამართლებრივ ურთიერთობათა მონაწილეებისაგან მოითხოვს სამართლის დარგში სპეციალურ ცოდნას, მომზადებასა და კომპეტენციას. ამისათვის კანონმდებელი ყველა მათგანს ალჭურავს, იმის გათვალისწინებით, რომ საბაჟო სფეროში სამართალგამოყენებით საქმიანობას აქვს მაღალი სოციალური, ეკონომიკური მნიშვნელობა.

მეორე, საბაჟო სამართლის ნორმების გამოყენება ხორციელდება საბაჟოსამართლებრივ ურთიერთობათა ჩარჩოებში და ამ ურთიერთობათა მონაწილეების უფლებამოსილებანი ერთობ განსხვავებულია და კანონით ხშირად ცუდადაა რეგულირებული. განსაკუთრებით ეს ეხება ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების, შემოსავლების სამსახურის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის, საბაჟო რეჟიმების, სავალუტო რეგულირებისა და ა.შ. პრობლემებს.

მესამე, საბაჟო სამართალგამოყენებითი საქმიანობა ერთობ რთული საქმიანობაა და პრაქტიკაში მისი რეალიზაცია ხდება სრულიად სხვადასხვა სახითა და ფორმებით. ეს შეიძლება იყოს საბაჟო საქმის დარგში ორგანიზაციული მუშაობა და გადასახადების, საბაჟო მოსაკრებლების შესახებ კანონმდებლობის აღსრულებასთან დაკავშირებული სამუშაო და საბაჟო დარგში დანაშაულთა გამოძიება და ა.შ.

მეოთხე, საბაჟო სამართლის ნორმების გამოყენება ყოველთვის არ მთავრდება მკაცრად დადგენილ სამართლებრივ ჩარჩოებში. აქ ნორმების გამოყენებას შეიძლება ხშირად თან ახლდეს მხოლოდ რომელიმე იურიდიული ფაქტების, ეკონომიკური მოვლენების რეალიზაციის კონსტატაცია, შეიძლება არ გულისხმობდეს დამნაშავეთა დასჯას.

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ საბაჟო სამართლის ნორმების გამოყენება სახელმწიფო საქმიანობის ერთ ერთი სახეა, რომელიც მიმართულია ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების განმტკიცებისა და აუცილებელი სახსრებით სახელმწიფო ბიუჯეტის შევსებაზე. ამ საქმიანობისას სახელმწიფო ორგანიზებას უკეთებს განსახილველი საბაჟოსამართლებრივი მითითებების მკაცრ და განუხრელ შესრულებას, საბაჟოსამართლებრივ ურთიერთობათა ყველა მონაწილის საბაჟო უფლებებისა და ინტერესების დაცვას.

როგორც სახელმწიფოს საქმიანობის სახე, საბაჟო სამართლის ნორმების გამოყენება სხვადასხვა ფორმით ხორციელდება. ანალიზმა აჩვენა, რომ საბაჟო სამართლის ნორმების გამოყენების ძირითადი ფორმის საბაჟოსამართლებრივ ურთიერთობათა ყველა მონაწილის (და უწინარეს ყოვლისა, საბაჟო ორგანოების თანამშრომლების და მოქალაქეების) მოვალეობას ზუსტი და განუხრელი შესრულება წარმოადგენს.

სამართლის ნორმები სოციალურ-ეკონომიკური ქცევის ზოგადსავალდებულო წესია. ამიტომ ისინი საზოგადოებაში იმგვარად გამოიყენება, რომ სამართლებრივ ურთიერთობათა აღნიშნული სუბიექტების უმრავლესობა ნებაყოფლობით ემორჩილება და იცავს მოცემულ ნორმებს, მოქმედებს ისე, როგორც ამას მოითხოვს ეს ნორმები და თავს იკავებს საბაჟო სფეროში სამართალ-

დარღვევებისაგან. ასევე იქცევიან სხვა სამართლებრივ ურთიერთობათა (სამოქალაქო, ადმინისტრაციულსამართლებრივი, სისხლისსამართლებრივი) მონაწილეებიც, რომლებიც კონკრეტულ საბაჟოსამართლებრივ ფუნქციებს ახორციელებენ.

საბაჟო სამართლის ნორმების გამოყენების მეორე ფორმას სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების ან თანამდებობის პირთა მიერ სოციალური აქტების რეალიზაცია წარმოადგენს, რომლებიც კონკრეტულ, ინდივიდუალურ შემთხვევაში, საბაჟო სამართლის ნორმის ცხოვრებაში გატარების საშუალებას იძლევა. სამართალგამოყენების ამ ფორმის დროს სახელმწიფო ორგანო ან თანამდებობის პირი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში წყვეტს რაღაც სიტუაციას ან ამოცანას, იყენებს რა, საბაჟო საქმის დარგში შესაბამის კანონებსა და იურიდიულ მითითებებს.

ასე მაგალითად, „საბაჟო ორგანო, იხილავს რა მტკიცებულებებს, რომლებიც ადასტურებენ დეკლარანტის მიერ საბაჟო შეფასების მეთოდის არჩევის შესახებ ცნობების გამოყენების უტყუარობას, განსაზღვრავს როგორი ცნობებით, როგორი ინფორმაციით სარგებლობდა დეკლარანტი შეფასების ან მეთოდის არჩევისას, როგორ აფასებდა იგი საქონელს და სხვა“. ე.ი. ადგენს დეკლარანტის მიერ მართლზომიერი ან არამართლზომიერი მოქმედების ჩადენას თუ არჩადენას, იყენებს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამის ნორმას და გამოაქვს თავისი გადაწყვეტილება, ვარაუდობს რა დეკლარანტის მიერ არჩეული საბაჟო შეფასების მეთოდის გამოყენებაზე უარის თქმასაც.

საბაჟო ორგანოს საქმის (მაგალითად, საზღვარზე საქონლის უკანონო გადაადგილების შესახებ) განხილვის მსვლელობაში, რომლის წარმოება მის კომპეტენციაში შედის, შესაბამისი ნორმების საფუძველზე, იღებს ამ ფაქტზე ეჭვმიტანილთა მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ გადაწყვეტილებას და ხელმძღვანელობს რა, სისხლის საპროცესო სამართლის ნორმებით, აწარმოებს ყველა გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებას.

საბაჟო სამართლის ნორმების გამოყენება მოტანილ და სხვა მაგალითებში გამოიხატება სახელმწიფო ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ (საბაჟო ორგანო, საგამოძიებო ორგანო, სასამართლო) სპეციალური მოქმედების, აქტების განხორციელებაში, რომლითაც გაანალიზებულია ესა თუ ის შემთხვევა. კაზუსი ემორჩილება შესაბამისი ნორმის მოქმედებას და განისაზღვრება დამრღვევების მიმართ ზომებით, ან ისინი არ გამოიყენება.

უდავოა, რომ საბაჟო სამართლის ნორმების გამოყენება ემყარება კანონებისა და სამართლის ნორმების მყარ დაცვას. აქედან გამომდინარეობს, რომ ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში, უნდა იქნეს გამოყენებული საბაჟო სამართლის სწორედ ის ნორმა, რომელიც არეგულირებს ამ სიტუაციას. სხვა ნორმა, რომელიც არეგულირებს სხვა სამართლებრივ ურთიერთობებს, აქ არ შეიძლება იქნეს გამოყენებული. გარდა ამისა, საბაჟო სამართლის მოცემული ნორმა ამ შემთხვევაში, გამოიყენება არა ვინრო შეხედულებისამებრ, არამედ მის აზრთან და შინაარსთან მკაცრ და ზუსტ შესაბამისობაში და ისე, რომ მომავალში მან არ გამოიწვიოს დაინტერესებული სუბიექტების მხრიდან საჩივრები. საქართველოს შემოსავლების სამსახურის საბაჟო უწყებას, მის თანამშრომლებს, დეკლარანტებს, საწარმოებს, ფირმებსა და ა.შ. არ შეუძლიათ საბაჟო სამართლის ნორმებიდან გადახვევა, შეცვალონ და თავისებურად განმარტონ ისინი, თავიანთ სამართალგამოყენებით საქმიანობაში მათ მკაცრად უნდა დაიცვან კანონიერების პრინციპი.

ამასთან, საბაჟო სამართლის სუბიექტები ასევე, მოწოდებულნი არიან დაიცვან სამართალგამოყენებითი საქმიანობის სპეციალური სტადიები, რომლებიც ერთიან პროცესს წარმოადგენს, რაც „გულისხმობს საბაჟო სამართლის ნორმების რეალიზაციის ორგანიზაციული, სამართ-

ლებრივი, ეკონომიკური და სხვა ამოცანების გადაწყვეტას“. ჩვენი აზრით, ეს პროცესი მოიცავს შემდეგ სტადიებს: სამართალგამოყენებითი მიზნების დასახვა; წარმოშობილ სიტუაციაზე (ან საქმეზე) ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და შეფასება; სიტუაციაზე (საქმეზე) გარკვეული გადაწყვეტილების მიღება, სარეალიზაციოდ მიღებული გადაწყვეტილების გადაცემა პირველ სტადიაზე. მაგალითად, საბაჟო გაშვების ურთიერთობის სამართლებრივი საფუძვლები, მიზნად ისახავენ: დამრღვევთა მიმართ კანონის აღნიშნული დებულების გამოყენება და საზღვარზე საქონლის გაშვების წესის გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრას.“ ამისათვის მეზობლები ესაუბრებიან საზღვარზე საქონლის გადამაადგილებელ პირებს, იღებენ მათგან ცნობებს საქონლის წარმოშობის ქვეყნის შესახებ, ამის შემდეგ, თუ როგორ გააფორმეს სერთიფიკატი, გადაიხადეს თუ არა ბაჟი და სხვ. ამასთან, მეზობლები ანალიზსა და კვლევას წარმოადგენენ საკუთარი მოვალეობების ჭრილში, აკვალიფიცირებენ აღნიშნულ პირთა საქმიანობას, ამ საქმიანობისას სახელმწიფო ორგანიზებას უკეთებს განსახილველი საბაჟოსამართლებრივი მითითების მკაცრ და განუხრელ შესრულებას, საბაჟოსამართლებრივ ურთიერთობათა ყველა მონაწილის საბაჟო უფლებებისა და ინტერესების დაცვას.

ამის შემდგომ, საბაჟო კონტროლის ზონაში მეზობლები შექმნილი სიტუაციის შესახებ დამუშავებული, გულდასმით გაანალიზებული ინფორმაციის საფუძველზე, იღებენ გადაწყვეტილებებს და ეს გადაწყვეტილება შეიძლება ეხებოდეს საბაჟო სამართლის ნორმებით რეგულირებულ და არარეგულირებულ სრულიად სხვადასხვა საკითხებს. მაგალითად, აღნიშნული საქონლის გამოვების ან არგაშვების კონკრეტულ წესს, დამრღვევთა დასჯას, გადასახდელთა გადახდის შეღავათების გამოყენებასა და სხვა. ამ სტადიაზე სამართლის სუბიექტი – საბაჟო ორგანო, მეზობლები და სხვები ახორციელებენ თავის უფლებებსა და უშუალოდ იყენებენ საბაჟო და საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამის ნორმებს, რომლითაც ხორციელდება სახელისუფლო ფორმით პრაქტიკაში რეალიზებული საბაჟო სამართლის ნორმების მოთხოვნები და დგინდება გადასაწყვეტ კაზუსთან ნორმის საბოლოო კავშირი.

დაბოლოს, საბაჟო ორგანოს, საბაჟო კონტროლის ზონის თანამშრომლები დაინტერესებულ პირებს აცნობენ მიღებულ გადაწყვეტილებას (ან გადაწყვეტილებებს) და შესაბამის კანონმდებლობაზე დაყრდნობით, აღწევენ მის შესრულებას. მიღებული გადაწყვეტილების შესრულებაში ვლინდება როგორც კანონის, ისე საბაჟო სამართლის აღნიშნული ნორმის შესრულება.

რა თქმა უნდა, აქ შესაძლებელია საბაჟო სამართლის სფეროში სამართალგამოყენებითი პროცესის სტადიებისადმი სხვაგვარი მიდგომაც. მაგალითად, საბაჟო სამართლის ნორმების გამოყენება შეიძლება შეიცავდეს მხოლოდ საქმის ფაქტობრივი საფუძვლის დადგენას, იურიდიული სიტუაციის ანალიზსა და საქმეზე გადაწყვეტილებების მიღებას. მაგრამ ანალიზის საბოლოო მიზანია ვაჩვენოთ, რომ საბაჟო სამართლის ნორმების გამოყენება მთლიანი და იმავე დროს განვითარებადი პროცესია, რომელიც გულისხმობს სხვა, უპირველესად, განსახილველ სფეროში სამართალგამოყენების სივრცით-დროითი მახასიათებლების კვლევასაც.

SPECIFICITIES OF THE CUSTOMS LAW PROVISIONS INTERPRETATION

IA KHARAZI

Head of the Programmatic Direction of the Aviation Institute of Georgia, Full Professor

NATO UERTASHVILI

Magister of the Georgian-British International Law and Management University

MAKA ORJONIKIDZE

Magister of the Tbilisi Banking & Finance and Management University

Provisions of the Customs Law represent a written rule for parties to the customs law; the state determines such rules in an established format and it comes into force in legally established deadlines. Unity of such provisions constitutes subject and content of the customs law. However, a separately taken customs provision, or a group of such provisions, does not represent a law itself. Customs law, as well as any other law, is first of all “a system of legal provisions, which through its comprehensive and general form expresses the state will, human nature, and based on economic, political and social structure creates a unity of regularities.”

At the same time, unlike social provisions, the customs law provision is a quite an independent concept, which has its specificities and signs. Most important of them are the following: Firstly, customs provisions unlike other social provisions, act as legal derivative and in accordance with the state shall regulate specific customs relations. Secondly, customs provisions are always prepared and published with the state endorsement and reflected in the law in an established or generally acceptable form. Thirdly, unlike social norms, customs law provisions always contain generally mandatory target and indicators. In this regard, the provision itself is some kind of measurement, standard of parties to customs relations.

Thus, application of customs law provisions is one of activities, which is aimed at improvement of economic stability of the country and filling the budget with necessary for it means. During such activities the state organizes review of customs instructions and ensures its execution, as well as protection of customs rights and interests of all participants of customs relations.

კანონპროექტის ექსპერტიზა – ცნება, სახეები, დანიშნულება

მურმან გორგოჯაძე

ასოცირებული პროფესორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

შესავალი

კანონპროექტი კანონის მისაღებად შემუშავებული და საკანონმდებლო ორგანოში განსახილველად წარდგენილი მომავალი კანონის ტექსტია. თანამედროვე მსოფლიოში კანონპროექტის ექსპერტიზას დიდი მნიშვნელობა ენიჭება და იგი სამართალშემოქმედებითი პოლიტიკის მნიშვნელოვან საშუალებადაა მიჩნეული.¹ მაგალითად, აშშ-ის კონგრესში ნებისმიერი გადაწყვეტილება საკანონმდებლო წინადადების შესახებ განვითარებული საინფორმაციო-ანალიტიკური ორგანოებისა და საჭიროების შემთხვევაში, წამყვანი ექსპერტების კვლევებისა და დასკვნების შემდეგ მიიღება. საფრანგეთში ყველა კანონპროექტს ერთვის სახელმწიფო საბჭოს დასკვნა, რომლის შემადგენლობაში 300-მდე იურისტი მოღვაწეობს. მსგავსი ორგანო მოქმედებს ნიდერლანდებსა და სხვა ქვეყნებში.

კანონპროექტის ექსპერტიზის როლი ჩვენს ქვეყანაშიც დღითიდღე იზრდება და იგი საკანონმდებლო პროცესის მნიშვნელოვანი „მონაწილე“ ხდება. მისი როლის ზრდა და მნიშვნელობა იურიდიულად გამართული კანონმდებლობის შექმნის აუცილებლობამ განაპირობა. კანონპროექტის ექსპერტიზა მოწოდებულია უზრუნველყოს სამართლებრივად, სოციალურად თუ ეკონომიკურად დასაბუთებული კანონის მიღება. ამდენად, მისი დეტალური შესწავლა ერთ-ერთი აქტუალური საკითხთაგანია.

კანონპროექტის ექსპერტიზის ცნება და მიზანი

სიტყვა „ექსპერტიზა“ ფრანგული ენიდან გავრცელებული ტერმინია და გულისხმობს გამოცდილი, სპეციალური ცოდნის მქონე სპეციალისტის მიერ, დასკვნის ფორმის დოკუმენტის შედგენის მიზნით, განხორციელებულ გამოკვლევა-შესწავლას. ექსპერტიზა ორი საფეხურისაგან შედგება, პირველი, ესაა კვლევითი მუშაობის ჩატარება შესასწავლი ობიექტის ყოველმხრივი განხილვის მიზნით და მეორე, კვლევის შედეგების საფუძველზე, საექსპერტო ობიექტის შეფასება და შესაბამისი დასკვნის მომზადება.

კანონპროექტის ექსპერტიზა ექსპერტიზის ერთ-ერთი სახეა და კანონპროექტის სპეციალურ გამოკვლევას, მისი კონსტიტუციასთან, მოქმედ კანონმდებლობასთან, საერთაშორისო ხელშეკრულებებთან და საკანონმდებლო ტექნიკის წესებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით ჩატარებული კვლევა-ძიების საფუძველზე გაკეთებულ დასკვნას წარმოადგენს. კანონპროექტის ექსპერტიზის მიზანია:

- კანონპროექტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- კანონპროექტის დარგობრივ კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- კანონპროექტის საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- ქვეყნის ერთიანი საკანონმდებლო ლოგიკის უზრუნველყოფა.

ზოგადად, კანონპროექტის ექსპერტიზა მოწოდებულია დაიცვას ქვეყნის კონსტიტუციური წყობა, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები და კანონმდებლობის მაღალი ხარისხი.

კანონპროექტის ექსპერტიზა ხელს უწყობს კანონპროექტის კანონიერების, დასაბუთებულობისა და მაღალი ხარისხის უზრუნველყოფას, იმ შესაძლო სოციალური, ეკონომიკური, ეკოლოგიური, იურიდიული და სხვა სახის უარყოფითი შედეგების გამოვლენას, რომელიც შეიძლება მოჰყვეს მოცემული პროექტის ძალაში შესვლას.

კანონპროექტის ექსპერტიზა შეიძლება იყოს ოფიციალური და კერძო. ოფიციალურ ექსპერტიზას ატარებს ამ უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ხელისუფლების სპეციალური ორგანოები, ხოლო კერძო ექსპერტიზის, ანუ არაოფიციალური ექსპერტიზის ჩატარება შეუძლია ორგანიზაციებსა და კერძო პირებს.²

კანონპროექტის ექსპერტი

კანონპროექტის ექსპერტი არის პირი, რომელსაც აქვს სპეციალური ცოდნა კანონპროექტის ხარისხის, მისი თანამედროვეობისა და მომავლისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესახებ დასკვნის გასაკეთებლად. მისი ცოდნა და გამოცდილება უნდა იძლეოდეს, როგორც კანონპროექტის ზოგად სამართლებრივ-ლინგვისტურ-ლოგიკური ანალიზის, ასევე კანონპროექტით გათვალისწინებული კონკრეტული საკითხების ანალიზის შესაძლებლობას. იგი ამ ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით აფასებს წარმოდგენილ კანონპროექტს.

ექსპერტი უნდა იყოს:

- ა) პროფესიონალი;

ბ) დამოუკიდებელი, მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებაში, რაც გულისხმობს, რომ იგი არ უნდა იყოს იმ ორგანოს უშუალო დაქვემდებარებაში ვისი ინიციატივითაც ხდება კანონპროექტის შემუშავება. ექსპერტი თავისუფალი უნდა იყოს ექსპერტიზის ჩამტარებელი ორგანოს პოზიციისაგანაც. სასურველია, ექსპერტად მონვეულ იქნას ის ორგანიზაციები და სპეციალისტები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობას არ ღებულობენ პროექტის მომზადება-მიღებაში. იგი დამოუკიდებელად უნდა ღებულობდეს გადაწყვეტილებებს და აკეთებდეს დასკვნებს;

გ) პასუხისმგებელი კანონპროექტის ანალიზზე, ვინაიდან ექსპერტი თავის დასკვნებში ეყრდნობა საკუთარ სპეციალურ ცოდნასა და გამოცდილებას იურისპრუდენციაში ან რომელიმე სხვა დარგში. იგი პირადადაა პასუხისმგებელი კანონპროექტის ანალიზსა და დასკვნის დასაბუთებულობაზე.

ექსპერტი არ ასრულებს გამომძიებლის ფუნქციას, იგი არაა მონოდებული დეპუტატების კონტროლისათვის,³ არ ასწავლის პოლიტიკოსებს, მისი საქმეა ქვეყნის კონსტიტუციისა და კანონპროექტის ექსპერტიზის შესახებ სპეციალური კანონმდებლობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საფუძველზე ჩანდეს კანონპროექტის შინაარსსა და ფორმას, აზრობრივად შექმნას მოცემული კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, შესაძლო კონფლიქტური სიტუაციების მოდელი და იზრუნოს მისი თავიდან აცილებისათვის.

შესაბამისმა დაწესებულებებმა ექსპერტს უნდა მიაწოდონ კანონპროექტის მომზადებასთან დაკავშირებული დოკუმენტები. ექსპერტებს უფლება აქვთ კანონპროექტის შემუშავებლებთან საგან მოითხოვონ ყველა ის მასალა და დოკუმენტი, რაც კანონპროექტის შემუშავებასთანაა დაკავშირებული. მათ შორის, ის შენიშვნები და წინადადებები, რაც კანონპროექტის შემუშავებისა და შეთანხმების პროცესში გამოითქვა.

ექსპერტს უნდა მიეცეს უფლება სათათბირო ხმით მონაწილეობდეს კანონპროექტის შემუშავებელი საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე⁴. მას აგრეთვე, უნდა შეეძლოს პარლამენტის სხდომაზე გამოსვლაც შესაბამისი კანონპროექტის განხილვის დროს.

ექსპერტის მოვალეობაა: წარმოდგენილი კანონპროექტის ყოველმხრივი, სრული, ობიექტური ანალიზი; კანონპროექტის შესახებ დასკვნასთან დაკავშირებულ შეკითხვებზე პასუხისა და ახსნა-განმარტების მიცემა; ექსპერტიზის ჩატარების ორგანიზაციასთან და ჩატარებასთან კანონმდებლობით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დადგენილი მოთხოვნების დაცვა; საჭიროების შემთხვევაში, ექსპერტიზასთან დაკავშირებული ცნობების კონფიდენციალობის უზრუნველყოფა; ჩატარებული ექსპერტიზის დასაბუთებულობის უზრუნველყოფა.

სასურველია ექსპერტი არ შემოიფარგლოს აბსტრაქტული და ზოგადი მსჯელობებით. ექსპერტმა უნდა დააყენოს კონკრეტული კონსტრუქციული წინადადებები კანონპროექტის სრულყოფის შესახებ, ჩამოაყალიბოს კანონმდებლობის შესაბამისი სფეროს განვითარების პროგნოზული შეფასებები.

ექსპერტი დასკვნას აკეთებს წერილობითი ფორმით. იმ შემთხვევაში, როცა ექსპერტიზას ახორციელებს ექსპერტთა ჯგუფი და ჯგუფის რომელიმე წევრი არ ეთანხმება მიღებულ დასკვნას ან დასკვნის ნაწილს, მას შეუძლია გააკეთოს ცალკე, დამოუკიდებელი დასკვნა იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებსაც იგი არ ეთანხმება.

ექსპერტის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა ხელს შეუწყობდა კანონპროექტის ექსპერტიზის ეფექტურობას.

სამართლებრივი ექსპერტიზა

სამართლებრივი ექსპერტიზის მიზანია კანონპროექტის სპეციალური გამოკვლევა მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობისა და ნორმატიულ აქტთა სისტემაში მისი „ჩაშენების“ თვალსაზრისით. საქართველოში კანონპროექტის სამართლებრივ ექსპერტიზას ახორციელებს საქართველოს პარლამენტის იურიდიული დეპარტამენტი, რომელიც საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად, დასკვნას აკეთებს შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- ა) შეესაბამება თუ არა ან ხომ არ ეწინააღმდეგება კანონპროექტი საქართველოს კანონმდებლობას და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს;
- ბ) საჭიროა თუ არა ახალი კანონის მიღება;
- გ) შეესაბამება თუ არა ან ხომ არ ეწინააღმდეგება კანონპროექტი საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით ნაკისრ ვალდებულებებს;
- დ) ამომწურავია თუ არა გასაუქმებელი ნორმატიული აქტებისა და სავალდებულო ცვლილებების ან/და დამატებების ნუსხა;
- ე) შეესაბამება თუ არა კანონპროექტი ევროპის კავშირის კანონმდებლობას.⁵

ექსპერტმა, სამართლებრივი ექსპერტიზის დროს, შეიძლება ყურადღება გაამახვილოს კანონპროექტის სხვა იურიდიულ თავისებურებებზეც და გამოიკვლიოს:

- ა) კანონპროექტის ჩართულობა საკანონმდებლო გეგმაში;
- ბ) იმ სფეროს ნორმატიული რეგულირების მდგომარეობა, რომელსაც კანონპროექტი მიეკუთვნება;
- გ) კანონპროექტის რეგულირების საგანი და მისი შესაბამისობა ქვეყნის კონსტიტუციით (ავტონომიური რესპუბლიკის კანონპროექტის შემთხვევაში, როგორც ქვეყნის, ასევე ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით) დადგენილ გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებთან;
- დ) კანონპროექტის დებულებების შესაბამისობა ქვეყნის კონსტიტუციასთან (ავტონომიური რესპუბლიკის კანონპროექტის შემთხვევაში, როგორც ქვეყნის, ასევე ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციასთან);
- ე) კანონპროექტის დებულებების შესაბამისობა სამართლის პრინციპებთან;
- ვ) კანონპროექტის დებულებების შესაბამისობა სახელმწიფოში მოქმედ ნორმატიულსამართლებრივ აქტებთან, მათ შორის, მოცემული სახელმწიფოს მიერ აღიარებულ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან;
- ზ) რამდენად სწორადაა განსაზღვრული კანონპროექტის სახე ანუ რა სახითაა კანონპროექტი წარმოდგენილი კონსტიტუციური, ორგანული თუ ჩვეულებრივი კანონის სახით;
- თ) რამდენად სწორად და ერთმნიშვნელოვნადაა გამოყენებული სამართლებრივი კატეგორიები;
- ი) შეესაბამება თუ არა კანონპროექტის დებულებები თანამედროვე სამართლებრივი მეცნიერებისა და იურიდიული პრაქტიკის მიღწევებს;
- კ) დაცულია თუ არა იურიდიული ტექნიკის წესები;
- ლ) უზრუნველყოფილია თუ არა კანონპროექტი მისი აღსრულებისათვის აუცილებელი ფინანსური, ორგანიზაციული თუ სხვა სახის, მათ შორის, პასუხისმგებლობითი ღონისძიებებით.

სპეციალიზებული (პროფესიული) ექსპერტიზა

სამართლებრივი რეგულირება შეიძლება შეეხოს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარეს, ამიტომ კანონპროექტის ექსპერტი შეიძლება იყოს არა მხოლოდ მაღალკვალიფიციური სამართალმცოდნე, არამედ რომელიმე დარგის გამოცდილი სპეციალისტი. სწორედ ასეთი გამოცდილი ექსპერტები ატარებენ სპეციალიზებულ ექსპერტიზას, რომელიც წარმოადგენს კანონპროექტის შემადგენელი კონკრეტული საკითხის ანალიზს. კანონპროექტის დარგობრივი (პროფესიული) შეფასების მიზნით მიზანშეწონილია, მისი შინაარსიდან გამომდინარე, ამა თუ იმ დარგის სპეციალისტთა ექსპერტებად მონვევა (შესაძლებელია რამდენიმე დარგის სპეციალისტთა ერთობლივი მუშაობაც, ანუ ე.წ. კომპლექსური ექსპერტიზის ჩატარებაც, რომელიც აკეთებს განზოგადებულ ანალიტიკურ შეფასებას⁶). ეს კონკრეტული საკითხი შეიძლება იყოს ეკონომიკური, ფინანსური, ეკოლოგიური, ლინგვისტური, სოციალური და სხვა. მაგალითად, ლინგვისტური ექსპერტიზა სპეციალიზებული ექსპერტიზის სახეა და გულისხმობს კანონპროექტის ტექსტის შეფასებას თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, კანონისათვის დამახასიათებელი ფუნქციური და სტილური თავისებურებების გათვალისწინებით. ლინგვისტურ ექსპერტიზას სამართლის სფეროში სპეციალური მომზადების მქონე ფილოლოგები ახორციელებენ. სპეციალიზებულ ექსპერტიზას შეიძლება მივაკუთვნოთ ლოგიკური ექსპერტიზაც. მისი მიზანია, პასუხი გასცეს კითხვაზე დაცულია თუ არა, როგორც ფორმალური, ასევე იურიდიული ტექნიკის ლოგიკური წესები. ჯერჯერობით ფორმალური ლოგიკის სპეციალისტების მონვევა კანონპროექტის ექსპერტებად არ ხდება. მიჩნეულია, რომ იურიდიული განათლება აძლევს იურისტს ლოგიკის საფუძვლების ცოდნას და მათ დამოუკიდებლად შეუძლიათ კანონპროექტის ლოგიკური ანალიზი.

სამეცნიერო ექსპერტიზა

სამეცნიერო ექსპერტიზის მიზანია კანონპროექტის მეცნიერული ანალიზი და შეფასება მისი, როგორც შინაარსის, ასევე ფორმის თვალსაზრისით. სამეცნიერო ექსპერტიზა დამოუკიდებელი ექსპერტიზის სახეა. კანონპროექტზე დამოუკიდებელი ექსპერტიზის დასკვნის დართვას კანონპროექტის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ითვალისწინებს საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“.⁷

სამეცნიერო ექსპერტიზა გულისხმობს მოცემული კანონპროექტით დასარეგულირებელი საკითხების გარკვევას და იმ მოსალოდნელი შედეგების გამოვლენას, რომლებმაც შეიძლება იჩინონ თავი მოცემული კანონპროექტის პრაქტიკაში განხორციელების შემთხვევაში.

კანონპროექტის სამეცნიერო ექსპერტიზა მოიცავს მის, როგორც სამართლებრივ (იურიდიულ), ასევე სპეციალიზებულ (პროფესიულ) ექსპერტიზას.

სამეცნიერო ექსპერტიზის დასკვნაში უნდა მიეთითოს იმ პრობლემურ სიტუაციებზე, რომლებიც საკანონმდებლო რეგლამენტაციას მოითხოვენ და მათი გადაწყვეტის ოპტიმალურ გზებსა და მეთოდებზე. ასევე, უნდა მიეთითოს, შეიძლება თუ არა პრობლემის გადაჭრა კანონის მიღების გარეშე, ანუ სხვა გზით, ვთქვათ, მოქმედი კანონმდებლობით ან ახალი კანონქვემდებარე ნორ-

მატიული აქტის მიღებით, აგრეთვე, იმ ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ და ა. შ. პოზიტიურ და ნეგატიურ შედეგებზე, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს კანონპროექტის კანონად გადაქცევამ.

დასკვნაში მკაფიოდ უნდა იყოს გამოხატული ექსპერტის არგუმენტირებული პოზიცია კანონპროექტის ზოგადი კონცეფციის მიმართ, ასევე, მისი მიღების აუცილებლობის შესახებ და მისი კავშირის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის სისტემასთან.

საჭიროა აგრეთვე კანონპროექტი შეფასდეს ფინანსური, ორგანიზაციული და სხვა მისი შესრულების უზრუნველყოფი ღონისძიებების თვალსაზრისითაც. ამგვარ ღონისძიებებს შეიძლება მივაკუთვნოთ პასუხისმგებლობისა და ნახალისების ღონისძიებებიც.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩამოვყალიბოთ კანონპროექტზე მომუშავე დამოუკიდებელ ექსპერტთათვის იმ საორიენტაციო საკითხთა წრე, ანუ ის ჩარჩო მოთხოვნები, რომლებმაც ასახვა უნდა ჰპოვონ საექსპერტო დასკვნაში. ექსპერტმა უნდა დაადგინოს:

- რამდენად აქტუალურია მოცემული კანონპროექტი (უნდა დასაბუთდეს კანონპროექტის სოციალური მნიშვნელობა);
- რამდენად შეესაბამება იგი საკანონმდებლო პოლიტიკას ზოგადად და კერძოდ, იმ სამართლის დარგის განვითარების სამართლებრივ პოლიტიკას, რომლის რეგულირებასაც იგი აპირებს;
- რა არის მოცემული საკანონმდებლო რეგულირების მიზანი;
- რამდენად მიზანშეწონილია, ანუ რამდენად რეალურია მოთხოვნა, რომ მოცემული საკითხები აუცილებლად კანონის საშუალებით უნდა მოწესრიგდეს;
- შეესაბამება თუ არა კანონპროექტი ქვეყნის კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლის პრინციპებსა და საერთაშორისო ხელშეკრულებებს;
- კანონპროექტის მიღების შემთხვევაში მოსალოდნელი კორუფციული სამართალდარღვევები;
- მოცემული კანონპროექტის ამოქმედების შემთხვევაში, ვისი უფლებები უმჯობესდება, ვისი უფლებები ილახება და რა ხარისხით. ნებისმიერი საკანონმდებლო აქტი, როგორც იდეალურიც არ უნდა იყოს იგი, შეიცავს უარყოფით მხარეებსა და შედეგებს, რის გამოც საჭიროა წინასწარ განისაზღვროს, კერძოდ ვის, როდის და რა დოზით შეეხება იგი. მოსალოდნელი უარყოფითი მხარეების დროული შეფასება ექსპერტიზის მნიშვნელოვან ნაწილად უნდა იქცეს;
- რამდენად ეფექტიანია;
- რამდენად რეალურია მისი განხორციელება;
- ჩადებულია თუ არა კანონპროექტში ის მექანიზმები, რომელიც შესაძლებელს გახდის ნორმით გათვალისწინებული ურთიერთობების განხორციელებას;
- კანონპროექტის მიღება გამოიწვევს თუ არა რაიმე სახის კოლიზიას კანონმდებლობაში;
- კანონპროექტის მიღება ან ძალადაკარგულად გამოცხადება გამოიწვევს თუ არა ცვლილებებისა და დამატებების შეტანას სხვა ნორმატიულ აქტებში (სასურველია მიეთითოს კონკრეტულად რომელი აქტი საჭიროებს კორექტირებას);
- რამდენად სრულადაა დარეგულირებული ის ურთიერთობები, რომელთა დარეგულირების პრეტენზიაც აქვს მოცემულ კანონპროექტს;

- გამოიყენება თუ არა იურიდიული ტერმინები მოცემულ კანონპროექტში ერთი და იმავე მნიშვნელობით;
- აქვს თუ არა მოცემულ იურიდიულ ტერმინებს ზოგადად აღიარებული მნიშვნელობა;
- თუ საქმე ეხება ავტონომიური რესპუბლიკის კანონპროექტს, მაშინ უნდა დადგინდეს, შეესაბამება თუ არა მასში გამოყენებული ტერმინების მნიშვნელობა ქვეყნის კანონმდებლობაში გამოყენებულ შესაბამისი ტერმინების მნიშვნელობას;
- ხომ არ არის ე.წ. „ზედმეტი“ ნორმები, ანუ ისეთი ნორმები, რომელთა გარეშეც შეიძლება კანონმა „იმუშაოს“, ანუ მიაღწიოს დასახულ მიზანს;
- რა ფინანსურ დანახარჯებთანაა დაკავშირებული კანონპროექტი (კანონპროექტზე დახარჯული ხარჯების მიზანშეწონილობა მის რეზულტატთან მიმართებაში) და კანონპროექტით დასახული მიზნის განხორციელებისათვის აუცილებელი ფინანსური რესურსები.

კანონპროექტის ექსპერტიზის ჩატარების დრო და საფუძველი

სამეცნიერო-სამართლებრივი ექსპერტიზის ჩატარება მიზანშეწონილია კანონპროექტის პარლამენტში განსახილველად შეტანის შემდეგ. ამგვარი ექსპერტიზის დანიშვნა შესაძლებელია მას შემდეგ, როცა კანონპროექტი ოფიციალურად მიიღებს კანონპროექტის სტატუსს, რაც საშუალებას მოგვცემს მის მიმართ განვახორციელოთ სხვადასხვა მოქმედებები.

ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველს წარმოადგენს უფლებამოსილი ორგანოს მიმართვა საექსპერტო ორგანიზაციისათვის.

ექსპერტიზა შეიძლება ჩატარდეს დეპუტატის, დეპუტატთა ჯგუფის, ფრაქციის მოთხოვნის საფუძველზე. ექსპერტიზა შეიძლება ჩატარდეს კანონის იმ პროექტსაც, რომელმაც ვერ მიიღო კანონპროექტის ოფიციალური სტატუსი. ამ ორივე შემთხვევაში, ექსპერტიზის შედეგებს ექნება საკონსულტაციო ხასიათი.

კანონპროექტის ექსპერტიზა ეფექტიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება, თუ მისი შედეგები ცნობილი გახდება დეპუტატებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ კანონპროექტის წინასწარ განხილვას დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ცალკეული ნორმატიულსამართლებრივი აქტის, ისე მთლიანად საკანონმდებლო პროცესის ასამაღლებლად.⁸ მიზანშეწონილია დადგინდეს, რომ ექსპერტთა მიერ მომზადებული დასკვნები და წინადადებები წარედგინოს განხილვისათვის შესაბამის კომიტეტებს და დაეგზავნოს იგი დეპუტატებს კანონპროექტის ტექსტთან ერთად კანონპროექტის წინასწარი განხილვის სტადიამდე. სამწუხაროდ, პროცედურულად არაა განერილი სამეცნიერო ექსპერტიზის აუცილებლობა პარლამენტის მიერ კანონპროექტის განხილვისას.

განმეორებითი ექსპერტიზა

კანონპროექტი შეიძლება გაიგზავნოს განმეორებით ექსპერტიზაზე. განმეორებითი ექსპერტიზა აუცილებელად უნდა ჩატარდეს იმ შემთხვევაში, თუ კანონპროექტმა განხილვა-დამუშავებისას განიცადა არსებითი ხასიათის ცვლილებები, ვინაიდან საჭიროა შესწორებების შეფასე-

ბაც და მათი მიმართების განსაზღვრა კანონპროექტის დანარჩენ ნაწილთან და მთელ კანონმდებლობასთან.⁹ განმეორებითი ექსპერტიზა საჭირო აგრეთვე, იმ შემთხვევაშიც, როცა წარმოდგენილი ექსპერტიზა არ პასუხობს მასზე წაყენებულ მოთხოვნებს.

აქტუალურია საკითხი ე.წ. მეორე, ანუ საკონტროლო ექსპერტიზის შესახებ. საკონტროლო ექსპერტიზა გულისხმობს მოქმედი საკანონმდებლო აქტის ექსპერტიზას, კანონპროექტის კანონად გადაქცევიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, მისი პრაქტიკული რეალიზაციის შედეგებთან მიმართებაში. ამგვარი ექსპერტიზა ხელს უწყობს კანონმდებლობის მდგომარეობის მუდმივ ანალიზს და კანონმდებლობაში არსებული კოლიზიების აღმოფხვრას.

რეკომენდაციები კანონპროექტის ექსპერტიზის ეფექტიანი ინსტიტუტის შექმნისათვის

კანონპროექტის ექსპერტიზის ეფექტიანი ინსტიტუტის დასამკვიდრებლად მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

- კანონპროექტის ექსპერტიზის სამართლებრივი რეგულირება ან ერთგვარი სტანდარტული სახელმძღვანელო დოკუმენტის შექმნა გზამკვლევი პრინციპებით თუ საკონტროლო კითხვებით;
- კანონპროექტის ექსპერტიზის საქმეში მეცნიერების შესაძლებლობების ფართო გამოყენება;
- საკანონმდებლო ორგანოს პროფილურ კომიტეტებთან შესაბამისი დარგობრივი სამართლის კანონპროექტთა ექსპერტიზის, კანონმდებლობისა და სამართლებრივი ინფორმაციის სისტემატიზაციისა და კოდიფიკაციისათვის მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისაგან შემდგარი საექსპერტო საბჭოს ჩამოყალიბება;
- შესაძლებელია ამავე მიზნით მთავრობასთან კანონმდებლობისა და შედარებითი სამართალმცოდნეობის ინსტიტუტის შექმნა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“;
2. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი;
3. როგორ იქმნება კანონი, თბ., 2000;
4. შვიდი პრინციპი საქართველოში კანონშემოქმედებითი პროცესის გასაუმჯობესებლად (მომზადებულია მარკ სიგალის, ესკვაიერის მიერ), თბ., 2005;
5. Т.В. Кашанина, Юридическая техника, М., 2007;
6. А.П. Мазуренко, принципы правотворческой политики // Философия права, 2009;
7. Нормография, под ред. Ю.Г. Арзамасова, М., 2007;
8. Д.В. Чухвичев, Законодательная техника, М., 2006;
9. Юридическая техника, под ред. Т.Я. Хабриевой, Н.А. Власенко, М., 2010.

შენიშვნები:

- ¹ А.П. Мазуренко, принципы правотворческой политики // Философия права, 2009, № 4, стр. 49.
- ² Д.В. Чухвичев, Законодательная техника, М., 2006, стр. 93.
- ³ Т.В. Кашанина, Юридическая техника, М., 2007, стр.153.
- ⁴ Нормография, под ред. Ю.Г. Арзамасова, М., 2007, стр. 211.
- ⁵ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მ.149. 2.
- ⁶ Юридическая техника, под ред. Т.Я. Хабриевой, Н.А. Власенко, М., 2010, стр. 22.
- ⁷ 2009 წლის 22 ოქტომბრის საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“, მ. 17. 2. ბ.
- ⁸ როგორ იქმნება კანონი, თბ., 2000, გვ. 62.
- ⁹ შვიდი პრინციპი საქართველოში კანონშემოქმედებითი პროცესის გასაუმჯობესებლად (მომზადებულია მარკ სიგალის, ესკვაიერის მიერ), თბ., 2005, გვ. 25.

ANALYSIS OF THE DRAFT LAW – CONCEPT, TYPES, PURPOSE

MURMAN GORGOSHADZE

Associate Professor

State University after Shota Rustaveli

Analysis of the draft law is one of the types of analysis and represents an opinion on compliance with legislative techniques, international treaties, national legislation and Constitution based on special draft-law research. Its role increases every day and becomes a necessary element for creation of legally precise legislation.

In order to prepare the opinion on the quality, contemporary nature and important for the future circumstances, it is necessary to have a person with special knowledge – an expert.

For the purpose of establishing the draft-law analysis effective institute, is desirable to determine a legal status of an expert; to legally regulate the draft law analysis; to create a standard guidelines, containing guiding principles and questions; to widely use capabilities of scientists; to create a sectoral group of experts under the relevant Parliamentary Committee, etc.

საქართველოს კანონში დათქმის ინსტიტუტი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ და მისი სრულყოფის ზოგიერთი საკითხი

ლევან კოკაია
იურისტი

საქართველოში, ბოლო პერიოდის ეკონომიკური განვითარების ფონზე, შეინიშნება უცხოელ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა შემოსვლის ტენდენცია, რაც თავის მხრივ იწვევს სხვადასხვა სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას საქართველოში მოქალაქეებთან, საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირებთან და ასევე, ქვეყანაში რეგისტრირებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან. აღნიშნულ ურთიერთობათა მასშტაბი მრავალმხრივია და იგი მოიცავს საინვესტიციო, სახელშეკრულებო, დელიქტურ, შრომის, ასევე საოჯახო და სამემკვიდრეოსამართლებრივ ურთიერთობებს. დღის წესრიგში დადგა საკითხი, რომ დაიხვეწოს და მონესრიგდეს სხვადასხვა კერძოსამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც ეკონომიკური განვითარების ფონზე ეფექტიანად უპასუხებს კერძო სამართლის ქართველ და უცხოელ სუბიექტთა მოთხოვნებს. ქართული საკანონმდებლო ბაზა, განსხვავებული ბუნების მიუხედავად, ამ მოთხოვნათა ადეკვატური უნდა იყოს.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს 1998 წლის 29 აპრილის კანონის მიღება და მოქმედება ზემოაღნიშნული მიზნის მიღწევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმია. თუმცა, თავისთავად, განსაზღვრული კანონის არსებობა და მოქმედება აზრს მოკლებული იქნება, თუ მისი თითოეული ნორმა

პრაქტიკულ ქრილში ეფექტიანად არ მოემსახურება სამართლიანობის იდეას და მისი შინაარსი არ იქნება ლოგიკური და არსებულ რეალობასთან შესაბამისობაში მოყვანილი.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს აღნიშნულ კანონში არსებული რამდენიმე შინაარსობრივად ურთიერთსაწინააღმდეგო და ალოგიკური დებულებების გაშუქებასა და მათი განახლებული ფორმატით ჩამოყალიბებას. კვლევის ფორმატში მიმოხილულია განსახილველი კანონით განმტკიცებული დათქმის ინსტიტუტი, რომელიც კანონში სამი სახით არის გამოხატული. კერძოდ, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონით რეგულირებული საკოლიზიო და საპროცესო ნორმების მოქმედება ამავე კანონით შეიძლება შეიზღუდოს, რაც გამოხატულია „საჯარო წესრიგის შესახებ (მე-5 მუხლი)“, „იმპერატიული ნორმების შესახებ (მე-6 მუხლი)“ და „მითითების/უკუმიითების შესახებ (მე-4 მუხლი)“ გამოხატული დათქმებით.

უპირველესად, ჩვენი ინტერესის საგანია საჯარო წესრიგისა და იმპერატიული ნორმების შესახებ გაკეთებულ დათქმათა განმარტება, მათი შინაარსობრივი ურთიერთქმედება და აღნიშნულ დებულებათა განახლებული ფორმატით ჩამოყალიბება.

ხშირ შემთხვევაში, საერთაშორისო კერძო სამართლის საკოლიზიო და საპროცესო ნორმების პრაქტიკაში გამოყენება წინააღმდეგობაში მოდის ეროვნული სამართლის თავისებურებებთან. აღნიშნულ წინააღმდეგობათა მიზეზი ბევრი შეიძლება იყოს, რაც სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებს შორის არსებული სხვაობის გარდა, ამა თუ იმ ქვეყნის განსხვავებულ სამართლებრივ კულტურასაც მოიცავს. გამორიცხული არაა, რომ ერთ სამართლებრივ სისტემაში შემავალი ქვეყნების შიდაეროვნული კანონმდებლობა პრინციპულად განსხვავებულად არეგულირებდეს ამა თუ იმ სამართლებრივ ურთიერთობას, რაც თავის მხრივ ართულებს საკოლიზიო ნორმების გამოყენების შესაძლებლობას. ბუნებრივია, თითოეული ქვეყანა დაინტერესებულია, რომ უცხოური ელემენტით დატვირთული კერძოსამართლებრივი ურთიერთობა და ამ ურთიერთობიდან წარმოშობილი სადავო საკითხები ისე გადაწყდეს, რომ დაცული იყოს ამ ქვეყნის სამართლის ფუნდამენტური პრინციპები. სწორედ აღნიშნულ მიზანს ემსახურება „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „საჯარო წესრიგის“ მოქმედება, რომლის მიხედვით: „საქართველოში უცხო ქვეყნის სამართლის ნორმები არ გამოიყენება, თუ ეს ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს.“ კანონის აღნიშნული დებულება ზოგადი სახისაა და იგი საკოლიზიო ნორმების გამოყენებისას პრევენციულ ფუნქციას ასრულებს, რომ დაცული იყოს ის ძირითადი სამართლებრივი ღირებულებები, რაც საქართველოს კერძოსამართლებრივი კანონმდებლობით არის განმტკიცებული. უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ შემთხვევაში, „სამართლებრივ პრინციპებში“ მოიაზრება როგორც მატერიალურსამართლებრივი, ასევე სამოქალაქო საპროცესოსამართლებრივი პრინციპები, ვინაიდან საერთაშორისო კერძო სამართლით განსაზღვრული სამართლებრივი ნორმები ერთდროულად ორივე მათგანს მოიცავს. კანონმდებელმა „საჯარო წესრიგი“ და „ძირითადი სამართლებრივი პრინციპები“ იდენტურ ცნებებად მოიაზრა, რაც სავსებით ლოგიკურია, ვინაიდან „ძირითადი სამართლებრივი პრინციპები“ ქმნიან საჯარო წესრიგს, ხოლო ამ პრინციპების დაცვა ზემოაღნიშნული პრევენციული ზოგადი სახის დებულებების მოქმედებით განამტკიცებს არსებულ საჯარო წესრიგს.

კანონის განხილული მუხლის ზოგადი შინაარსი მისი სხვადასხვა დებულებით არის დაკონკრეტებული. მაგალითად, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 63-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, „შუამდგომლობის აღმძვრელი სასამართლოს თხოვნით, საპროცესო

მოქმედების შესრულებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს უცხო ქვეყნის სამართლის საპროცესო ნორმები, თუ ისინი საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს არ ეწინააღმდეგება.“ ასევე, აღსანიშნავია განსახილველი კანონის 68-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, საქართველო უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებას არ ცნობს, თუ „გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს.“

საჯარო წესრიგს ასევე, ეხმიანება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი, რომლის თანახმად: „ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგსა და ზნეობის ნორმებს.“

საჯარო წესრიგის ცნება პირველად შემოდის ქართულ სამართლებრივ ყოფაში. მასში იგულისხმება სამოქალაქო ბრუნვის ფუნდამენტური პრინციპები, როგორცაა საკუთრების, ხელშეკრულებისა და მენარმეობის თავისუფლებანი და ა.შ. საჯარო წესრიგის დარღვევით ილახება არა მხოლოდ ურთიერთობის კონკრეტული მონაწილის უფლებები, არამედ იგი ვნებას აყენებს, უპირველესად, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს. რა თქმა უნდა, გარკვეული აზრით, საჯარო წესრიგის დარღვევაში ივარაუდება კანონით დადგენილი წესებისა და აკრძალვების დარღვევა და პირიქითაც, ზოგჯერ ამ უკანასკნელის დარღვევა საჯარო წესრიგის დარღვევასაც მოიცავს. გარიგების ბათილობის ამ საფუძველთა გამოიწვევაში არსებითი მნიშვნელობა აქვს თვით ხელყოფის ობიექტთა ფასეულობას. ასე მაგალითად, თუ მოიჯარე მეიჯარის თანხმობის გარეშე გასცემს ქონებას ქვეიჯარით, ამით ის ხელყოფს, უპირველესად, კონკრეტული საიჯარო ურთიერთობისათვის დამახასიათებელ პრინციპს და შესაბამისად, დაირღვევა სამოქალაქო ბრუნვის არსებითი პრინციპები და ამდენად საჯარო წესრიგიც.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ „საჯარო წესრიგის“ ცნება, რამდენადაც მისი შინაარსი არაა ზუსტად განსაზღვრული, ორაზროვანია და ძალზედ ართულებს სწორი ანალიზის შესაძლებლობას. ამიტომ, გვთავაზობენ „საჯარო წესრიგის“ ნაცვლად შემოვიღოთ ცნება „პირდაპირი რეგულირების კანონები.“

ახლა საინტერესოა მიმოვიხილოთ „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი – „იმპერატიული ნორმების გამოყენება“, რომლის თანახმად: „ამ კანონის დებულებები არ ვრცელდება საქართველოს სამართლის იმპერატიული ნორმების მოქმედებაზე, მიუხედავად იმისა, თუ რომელი ქვეყნის სამართალი გამოიყენება ურთიერთობათა მოწესრიგებისას.“

„იმპერატიულ ნორმებს“ ასევე, ეხმიანება განსახილველი კანონის სხვადასხვა ნორმა. კერძოდ, 29-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის მიხედვით: „გარიგებათა მიმართ, რომელთა საგანია მინის ნაკვეთზე უფლება, მიუხედავად ხელშეკრულების დადების ადგილისა და ამ ადგილას მოქმედი სამართლისა, გამოიყენება იმ ქვეყნის სამართლის იმპერატიული ნორმები გარიგების ფორმის შესახებ, სადაც არის მინის ნაკვეთი;“ 35-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის მიხედვით: „სამართლის არჩევა ჩაითვლება ბათილად, თუ იგი უგულებელყოფს ხელშეკრულებასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის სამართლის იმპერატიულ ნორმებს“; 38-ე მუხლი – „სოციალური დაცვის იმპერატიული ნორმები“, რომლის მიხედვით: „სამართლის არჩევა ჩაითვლება ბათილად, თუ იგი უგულებელყოფს იმ იმპერატიულ ნორმებს, რომლებიც მიღებულია მომხმარებელთა და მუშა-მოსამსახურეთა დისკრიმინაციისაგან დასაცავად. ეს წესი აგრეთვე, გამოიყენება მოძრავი ნივთების მიწოდების, დაფინანსების, შრომის ან მომსახურების ხელშეკრულებების მიმართ, თუ

ისინი იმ ქვეყანაში იქნა შეთანხმებული ან დადებული, სადაც მომხმარებლებსა და მუშა-მოსამსახურეებს აქვთ საცხოვრებელი ადგილი და სადაც ასეთი დამცავი ნორმები მოქმედებს.“

მოცემულ შემთხვევაში, „საქართველოს სამართლის იმპერატიულ ნორმებში“ მოიაზრება ყველა ის მოქმედი კერძოსამართლებრივი ნორმა, რომელიც სამოქალაქო სამართლის სუბიექტებს გარკვეულწილად უზღუდავს ნების თავისუფლად გამოხატვის თვითნებურ შესაძლებლობას. აღნიშნულ მოსაზრებას სამართლებრივად განამტკიცებს სამოქალაქო კოდექსის ზოგადი სახის დებულება, რომელიც გამოხატულია კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილში – „სამოქალაქო უფლებათა დამოუკიდებლობა პოლიტიკური უფლებებისაგან. სამოქალაქო სამართლის იმპერატიული ნორმები“. აღნიშნული დებულების შესაბამისად: „უფლებათა ბოროტად გამოყენებისაგან სხვათა თავისუფლებას იცავს სამოქალაქო კანონების იმპერატიული ნორმები. მოქმედებები, რომლებიც ეწინააღმდეგება ამ ნორმებს, ბათილია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კანონი პირდაპირ მიუთითებს სხვაგვარ შედეგებზე. ცალკეული ჩარევები ადმინისტრაციული აქტების მეშვეობით აკრძალულია, თუ ეს აქტები კონკრეტული კანონის საფუძველზე არ არის გამოყენებული.“ ციტირებული ნორმა ზოგადი სახისაა, რომელიც კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ნებისმიერი სუბიექტისათვის ორ ძირითად სტანდარტს ადგენს. პირველი სტანდარტის მიხედვით, ის სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთათვის სამოქალაქო კოდექსის იმპერატიული ნორმების მოქმედების შედეგად უზრუნველყოფს უფლებათა ბოროტი გამოყენებისაგან დამცავ გარანტიებს, რომელიც შესაძლოა მათ წინააღმდეგ იყოს გამოყენებული. მეორე სტანდარტის მიხედვით კი, ციტირებული ნორმა პრევენციული დატვირთვისაა და კერძოსამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტთა თვითნებური მოქმედებების აღკვეთას უზრუნველყოფს. „თვითნებური მოქმედება“ კი (კერძოსამართლებრივი ურთიერთობისთვის დამახასიათებელი ნების თავისუფალი გამოვლენის მიუხედავად), კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების გვერდის ავლით შესრულებული მოქმედებაა.

იმპერატიული ნორმების შესახებ ზემოაღნიშნული ზოგადი დებულების კონკრეტიზაციის მიზნით სამოქალაქო კოდექსში მრავლად არის ასეთი ნორმა წარმოდგენილი. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 289-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადებით დადგენილია, რომ: „იპოთეკა იურიდიულ ძალას იძენს საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.“ მოცემული დებულებიდან ნათლად ჩანს, რომ იპოთეკის სამართლებრივი ძალმოსილებისათვის აუცილებელია გარკვეული პროცედურის გავლა, რომლის სანაწილმდეგო მოქმედების შესრულება უგულებელყოფს იპოთეკის ნამდვილობას. ციტირებული სამართლებრივი ნორმა გარკვეულწილად განამტკიცებს განსაზღვრულ სამართლებრივ რეგულაციას, რომელიც კერძო სამართლის სუბიექტებს ურთიერთობის თავისუფალი გამოხატულების ფონზე ადეკვატურად უზღუდავს ნებისმიერი მოქმედების განხორციელებას, რაც მიზნად ისახავს კერძოსამართლებრივი ურთიერთობების დაცვას ანარქიული და დაუბალანსებელი მდგომარეობისაგან. სამოქალაქო კოდექსის განხილული მაგალითი არ წარმოადგენს ქართული კერძო სამართლის პრინციპს და მაშასადამე, საჯარო წესრიგს, მაგრამ, მისი მოთხოვნის შესრულება (ანუ იპოთეკის იურიდიული ძალმოსილებისათვის მისი რეგისტრაციის სავალდებულოება საჯარო რეესტრში) თავისთავად გულისხმობს „საჯარო წესრიგის“, როგორც ზოგადი სამართლებრივი ფენომენის კონკრეტულ დაცვას, ვინაიდან საჯარო წესრიგი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოში მოქმედი კერძო სამართლის მიერ განსაზღვრული საზოგადოებრივი სიკეთეა. საჯარო წესრიგი/სამართლის პრინციპები თავის თავში მოიცავს „იმპერატიულ ნორმებს“ და შესაბამისად, ის უფრო ფართო ცნებაა, მაგრამ

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ამ ცნებებს შორის ერთი საერთო ფაქტორი ვლინდება. კერძოდ, ორივე მათგანი მკაცრად განსაზღვრავს სავალდებულოდ შესასრულებელ და აუცილებლად გასათვალისწინებელ ქცევის წესს. ცხადია, „სამართლის ზოგადი პრინციპები“ ამ ქცევის წესის ძირითად სტრატეგიას განსაზღვრავენ, რასაც, ყოველ ოპერატიულ დონეზე სხვადასხვა „იმპერატიული ნორმები“ უზრუნველყოფენ. „საჯარო წესრიგი“ და „იმპერატიული ნორმები“ ცალკე ალებული ცნებების სახით, პრაქტიკულად აზრს მოკლებულია. „საჯარო წესრიგი“ ვლინდება სხვადასხვა კანონით დადგენილი წესით.

თვით გამოთქმა – „კანონით დადგენილი წესი“ – სამოქალაქო ურთიერთობის პოზიტიური მდგომარეობის ამსახველია, საპირისპიროდ მისი ნეგატიური ვითარების ამსახველი გამოთქმისა – „კანონით დადგენილი აკრძალვები.“ ცალკეული შემთხვევების განხილვაც იმის მაუწყებელია, რომ სახეზეა კანონის იმპერატიულ დანაწესებთან ნების გამოვლენის შეუსაბამობა.

განსახილველი კანონის მე-6 მუხლის მიზანია, რომ მაქსიმალურად უზრუნველყოს საქართველოში მოქმედი კერძოსამართლებრივი იმპერატიული ნორმების დაცვა შინაარსობრივად სანინა-ალმდეგო უცხო ქვეყნის სამართლის ნორმებისაგან.

საგულისხმოა, რომ განსახილველი კანონის 1-ლი მუხლის მიხედვით, დადგენილია, რომ „ეს კანონი განსაზღვრავს, თუ რომელი სამართლებრივი წესრიგი გამოიყენება უცხო ქვეყნის სამართალთან დაკავშირებული საქმის ფაქტობრივი გარემოებების არსებობისას, აგრეთვე, საპროცესო სამართლის იმ ნორმებს, რომლებიც გამოიყენება ასეთი საქმის წარმოებისას.“ ამ შემთხვევაში „სამართლებრივ წესრიგში“ იგულისხმება როგორც ქართული, ასევე უცხოური სამართალი. იმ შემთხვევაში, თუ სამართლებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოყენებული უნდა იყოს უცხოური სამართალი, რომელიც თავისი შინაარსით ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს/საჯარო წესრიგს, მაშინ ის ასევე, წინააღმდეგობაში მოდის ქართული კერძოსამართლებრივი კანონმდებლობის ამა თუ იმ ნორმასთან. ასეთი წინააღმდეგობის საპირისპიროდ მოქმედებს პრევენციული ზოგადი სახის ნორმა განსახილველი კანონის მე-5 მუხლის სახით, ხოლო მე-6 მუხლის შინაარსი კი, თავის თავში მოიცავს ე.წ. ორმაგ პრევენციას. ერთ შემთხვევაში, თუ უცხო ქვეყნის გამოსაყენებელი კანონის შინაარსი ეწინააღმდეგება ქართული სამართლის იმპერატიულ ნორმას, მაშინ მე-6 მუხლი მე-5 მუხლის მსგავსად, ნამდვილად პრევენციული ფუნქციის მატარებელია. მეორე შემთხვევაში, თუ ურთიერთობათა მოსაწესრიგებლად ქართული სამართალია გამოსაყენებელი, მაშინ გამოდის, რომ საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონი დათქმას აკეთებს უკვე ქართული სამართლის გამოყენების აკრძალვაზე, რაც ვლინდება კიდევ მე-6 მუხლში – „კანონის დებულებები არ ვრცელდება საქართველოს სამართლის იმპერატიული ნორმების მოქმედებაზე.“ გამოდის, რომ „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის საკოლიზიო და საპროცესო ნორმები არ ვრცელდება საქართველოს კერძოსამართლებრივ იმპერატიულ ნორმებზე. განსახილველი კანონი კი, თავისი შინაარსით განსაზღვრავს ქართული სამართლის გამოყენების შემთხვევასაც, რაშიც თავის მხრივ, მისი იმპერატიული ნორმების გამოყენებაც მოიაზრება, ხოლო, თუ მე-6 მუხლის ციტირებით კანონის მოქმედება არ ვრცელდება საქართველოს სამართლის იმპერატიული ნორმების მოქმედებებზე, მაშინ მის არსებობას აზრი ეკარგება, ხოლო თუ სამართლებრივი ურთიერთობა სხვა ქვეყნის სამართლით უნდა გადაწყდეს, მაშინ თავისთავად უნდა ამოქმედდეს პრევენციული დათქმა კანონის მე-5 მუხლის სახით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განსახილველი კანონის მოქმედების მიზნებიდან გამომდინარე, „საჯარო წესრიგი“ და „იმპერატიული ნორმები“ ერთიან

სამართლებრივ ფენომენს წარმოადგენენ და აღნიშნულის შესაბამისად, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით განსაზღვრული დათქმა აზრს მოკლებულია შემდეგი გარემოებების გამო:

1. თუ მე-6 მუხლში ხსენებულ „რომელიმე ქვეყანაში“ საქართველო მოიაზრება, მაშინ გამოდის, რომ საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონი (რომელიც ასევე, ქართული კანონმდებლობის ნაწილია) დათქმას აკეთებს საქართველოს სამართალზე, რაც განსახილველი კანონის მიზანს ეწინააღმდეგება და გულისხმობს, რომ ნებისმიერი საკოლიზიო შემთხვევა უცხო ქვეყნის სამართლით უნდა მოწესრიგდეს. ამ ყოველივეს კი, აბსურდულ მდგომარეობამდე მივყავართ;
2. თუ „რომელიმე ქვეყანაში“ იგულისხმება უცხო ქვეყანა, მაშინ კანონის მე-6 მუხლით გაკეთებულ დათქმას ექნება პრევენციული დატვირთვა, რომ დაცული იყოს ქართული კერძოსამართლებრივი კანონმდებლობის იმპერატიული ნორმების მოთხოვნები.

ბუნებრივია, რომ ამ ორი გარემოებიდან მეორეს აქვს პოზიტიური დატვირთვა და იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ პირველ გარემოებაში წარმოდგენილი აბსურდული მდგომარეობა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ მე-6 მუხლი საერთოდ გაუქმდეს და ამ მუხლის პოზიტიური პრევენციული მხარე შეერწყას კანონის მე-5 მუხლის შინაარსს, რომელიც უდავოდ მხოლოდ პრევენციული და არა ამავდროულად, აბსურდული შინაარსის მქონეა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის თვალსაზრისით, „საჯარო წესრიგისა“ და „იმპერატიული ნორმების“ შინაარსობრივი იდენტობის მიუხედავად, უმჯობესი იქნება, თუ კანონის მე-6 მუხლის გაუქმებითა და ამ უკანასკნელის პოზიტიური ფაქტორის მე-5 მუხლთან შერწყმის შედეგად ცნებები – „საჯარო წესრიგი“ და „იმპერატიული ნორმები“ ცალ-ცალკე იყოს ნახსენები, რადგანაც, როგორც ზემოთ ვისაუბრეთ, „საჯარო წესრიგის“ დაცვა ზოგადად, მართლწესრიგს უზრუნველყოფს, ხოლო „იმპერატიული ნორმები“ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ახდენენ მართლწესრიგის წინააღმდეგ სავარაუდო ან შესაძლო დარღვევის პრევენციას.

ვფიქრობთ, მე-5 მუხლს უნდა დაერქვას შემდეგი სათაური: „საჯარო წესრიგისა და იმპერატიული ნორმების დაცვა“ და იგი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „საქართველოში უცხო ქვეყნის სამართლის ნორმები არ გამოიყენება, თუ ეს ეწინააღმდეგება საქართველოს სამართლის ძირითად პრინციპებსა და მის იმპერატიულ ნორმებს.“

„საჯარო წესრიგისა“ და „იმპერატიული ნორმების“ გარდა, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს კიდევ ერთ დათქმას, რომელიც ასახულია ამ კანონის მე-4 მუხლში – „მითითებაში“. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილი შემდეგი შინაარსისაა: „სხვა ქვეყნის (იგულისხმება მესამე ქვეყანაც) სამართალზე მითითება გულისხმობს ამ ქვეყნის საერთაშორისო კერძო სამართლის გამოყენებასაც, თუ ეს მითითება მითითების აზრს არ ეწინააღმდეგება ან თუ ეს მითითება არ გულისხმობს მხოლოდ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებული ნორმების გამოყენებას.“

ციტირებული ნორმის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ამა თუ იმ კერძოსამართლებრივი ურთიერთობის რეგულირებისას გამოსაყენებელი სამართლის ნორმებში მოიაზრება საქართველოს ან სხვა (ან მესამე ქვეყნის) როგორც შიდა მატერიალური და საპროცესო სამართლებრივი ნორმები, ასევე, ამ ქვეყნის საკოლიზიო ნორმებიც. ბუნებრივია, რომ შიდა მატერიალურ და საპროცესო ნორმებთან ერთად გამოიყენება ამა თუ იმ ქვეყანაში მოქმედი ორმხრივი და მრავ-

ვალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები, კონვენციები, აღიარებული ჩვეულებები, პრეცედენტები და სხვ. განსახილველი ნორმის შინაარსი დიდ რისკს მოიცავს, რადგანაც ადვილი შესაძლებელია, რომ ამ ქვეყნის საკოლიზიო ნორმების შინაარსი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სერიოზულ წინააღმდეგობაში მოვიდეს საქართველოს საკოლიზიო ნორმის ან/და ნორმების შინაარსთან. მართალია, რომ კანონის ციტირებული ნორმა მინიშნებს ამ რისკის პრევენციულ ღონისძიებაზე სიტყვებით: „თუ ეს მითითება მითითების აზრს არ ეწინააღმდეგება“, მაგრამ ფაქტობრივად, აღნიშნულ მინიშნებას არავითარი ძალა არ გააჩნია. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ის გარემოება, რომ არც ერთი კერძოსამართლებრივი ურთიერთობა არ არის დაზღვეული, რომ სხვადასხვა დილემური საკოლიზიო შემთხვევის არსებობისას, მხარეთა მიერ გამოსაყენებელი შიდაეროვნული საკოლიზიო ნორმების შემცველი კანონის შინაარსი წინააღმდეგობაში არ მოვიდეს მეორე მხარის საკოლიზიო ნორმის ან/და ნორმების შინაარსთან. იმ შემთხვევაში, თუ „მითითება მითითების აზრს არ ეწინააღმდეგება“, მაშინ გამოდის, რომ განსახილველი კანონის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი მოიაზრებს ისეთი შემთხვევების არსებობას, რომ თითოეული ქვეყნის თითოეული საკოლიზიო ნორმის შინაარსი ერთმანეთის შესაბამისი იქნება, რაც პრაქტიკულად არსებულ რეალობაში გამორიცხებულია.

აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ კანონის მე-4 მუხლის პირველი ნაწილიდან ამოღებულ იქნას სიტყვები: „თუ მითითება მითითების აზრს არ ეწინააღმდეგება“.

ასევე, ხაზგასასმელია, განსახილველ მუხლში არსებული შინაარსობრივი ტავტოლოგია. კერძოდ, ყურადღებას გავამახვილებთ ამ ნორმის ორ სამართლებრივ დანაწესზე: 1. „სხვა ქვეყნის (იგულისხმება მესამე ქვეყანაც) სამართალზე მითითება გულისხმობს ამ ქვეყნის საერთაშორისო კერძო სამართლის გამოყენებასაც“; 2. „თუ ეს მითითება არ გულისხმობს მხოლოდ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებული ნორმების გამოყენებას“.

პირველი დანაწესი სიტყვასიტყვით და პირდაპირ გვამცნობს, რომ უცხოური ნიშნით დატვირთული კერძოსამართლებრივი ურთიერთობის რეგულირებისას გამოსაყენებელი ქვეყნის სამართალში საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმების გამოყენებაც მოიაზრება, ხოლო მეორე დანაწესის მიხედვით კი, „კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებულ ნორმებში“ მოიაზრება მხოლოდ გამოსაყენებელი სამართლის ნორმები და არა ამავედროულად საკოლიზიო ნორმებიც. კერძოდ, ამა თუ იმ ქვეყნის სამართალზე მითითებას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როცა ეს მითითება არ გულისხმობს ამა თუ იმ ქვეყნის სამართლის გამოყენებას ამ სამართალში შემავალი საკოლიზიო ნორმების გარეშე. გამოდის, რომ კანონის ამ ორ დანაწესში მოცემული განსაზღვრებები შინაარსობრივად იდენტურია. ამ პრობლემის გადაწყვეტა მარტივად შეიძლება, თუ განსახილველი ნორმიდან ამოვიღებთ ჩვენს მიერ ზემოგანხილულ დანაწესს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბდეს: „სხვა ქვეყნის (იგულისხმება მესამე ქვეყანაც) სამართალზე მითითება გულისხმობს ამ ქვეყნის საერთაშორისო კერძო სამართლის გამოყენებასაც.“

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კანონის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის შინაარსის გათვალისწინებით, პრაქტიკულად შესაძლებელია, რომ განსახილველი კანონი ამა თუ იმ კერძოსამართლებრივი ურთიერთობის რეგულირებისას უთითებდეს სხვა ან მესამე ქვეყნის სამართლის გამოყენებაზე, რა დროსაც ადვილი შესაძლებელია, რომ „საერთაშორისო კერძო სამართლის შესა-

ხებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ესა თუ ის დებულება სერიოზულ წინააღმდეგობაში მოვიდეს სხვა ან მესამე ქვეყნის საკოლიზიო ნორმებთან. მაგალითად, განსახილველი კანონის 52-ე მუხლის პირველი წინადადების მიხედვით: „შვილად აყვანა წესრიგდება იმ ქვეყნის სამართლით, რომელსაც განეკუთვნება მშვილბელი შვილად აყვანის დროს“. თუ სხვა ან მესამე ქვეყნის სამართლის საკოლიზიო ნორმების მიხედვით, შვილად აყვანასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები წესრიგდება არა იმ ქვეყნის სამართლით, რომელსაც მშვილბელი შვილად აყვანის დროს განეკუთვნება, არამედ იმ ქვეყნის სამართლით, რომელსაც ნაშვილები შვილად აყვანისას განეკუთვნება, ბუნებრივად წარმოიქმნება საკოლიზიო ნორმათა კონფლიქტი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონსა და სხვა ან მესამე ქვეყნის საკოლიზიო ნორმათა შორის. ცხადია, რომ აღნიშნული პოტენციური კონფლიქტური შემთხვევები მხოლოდ შვილად აყვანის საკითხით არ შემოიფარგლება. სწორედ აღნიშნულ საკოლიზიო უთანხმოებათა შემთხვევებში, საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმათა პრაქტიკული რეალიზაციისას, ხშირად ხდება სამართლის ნორმათა უკუმითითებათა გამოყენება და ზუსტად ამ უხერხულობათა დასაძლევად განსახილველი კანონის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილი შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: „საქართველოს სამართალზე უკუმითითებისას გამოიყენება კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებული საქართველოს სამართლის ნორმები“. ციტირებული ნორმის შინაარსი გულისხმობს, რომ საქართველოს სამართალზე უკუმითითების შემთხვევაში, გამოიყენება საქართველოში მოქმედი კერძოსამართლებრივი მატერიალური და საპროცესო ნორმები და არა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონი. ცხადია, რომ თუ უკუმითითებისას გამოყენებული იქნება განსახილველი კანონიც, მაშინ მხარეები ვერასდროს ვერ გაერკვევიან, თუ რომელი ქვეყნის სამართალი უნდა გამოიყენონ. განსახილველ ნორმასთან დაკავშირებით ბუნებრივად ჩნდება კითხვა: თუ უკუმითითებისას საქართველოს სამართლის გამოყენება ეწინააღმდეგება საქართველოს სამართლის ძირითად პრინციპებს და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქართველოს სამართლის იმპერატიული ნორმის შინაარსს, მაშინ წინააღმდეგ შემთხვევაში, ხომ არ მოდის განსახილველი კანონის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსი კანონის მე-5 და მე-6 მუხლებთან (ან ჩვენს მიერ ზემოგანხილულ ვარიანტში კანონის მე-5 მუხლთან) წინააღმდეგობაში? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ უცხო ქვეყნის სამართლის ნორმების შინაარსის აშკარა დაპირისპირებისა და ფორმალური დაპირისპირების შემთხვევები. აშკარა დაპირისპირებაში იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როდესაც უცხო ან მესამე ქვეყნის სამართლის ნორმების გამოყენება წინააღმდეგობაში მოვა განსახილველი კანონის მოქმედ მე-5 მუხლთან და არა მე-6 მუხლთან (თუმცა, ჩვენს მიერ ზემოგანხილულ შემთხვევაში, მოქმედი კანონის მე-6 მუხლის მოქმედების პოზიტიურ მხარესთანაც, რომელიც შერწყმულია კანონის მე-5 მუხლში). ფორმალური დაპირისპირების შემთხვევა კი, არ გულისხმობს მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის დაპირისპირებას კანონის მე-5 მუხლის მოქმედ რედაქციასთან, რადგანაც ასეთ შემთხვევაში, სახეზე არ იქნება საქართველოს ძირითადი სამართლებრივი პრინციპებისა და იმპერატიული ნორმების მატერიალური შინაარსის უგულვებლყოფა. ნორმათა აშკარა დაპირისპირებისას განსახილველი კანონის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილსა და მე-5 მუხლს შორის თავის მხრივ, შიდა დაპირისპირებას აქვს ადგილი. მოცემულ შემთხვევაში, თუ ჩვენ უპირატესობას მივანიჭებთ მე-4 მუხლის მე-2 ნაწილს, მაშინ გამოდის, რომ მე-5 მუხლის არსებობას ეკარგება აზრი, რაც ზოგადად, საქართველოს ძირითადი სამართლებრივი პრინციპების უგულვებლყოფით აისახება, რაც ცხადია, დიდი შეცდომა იქნება. ასეთ დროს კი, მეტად აქტუალურია კანონის მე 6 მუხლი

(რომელიც ისედაც დასახვეწია). მეორე მხრივ, თუ განსახილველი კანონის შიდა დაპირისპირებაში უპირატესობას მე-5 მუხლს მივანიჭებთ, მაშინ საქართველოს სამართალზე უკუმითითებას აზრი ეკარგება.

როგორც ჩანს, საკითხი აშკარად პრობლემურია და აღნიშნული წინააღმდეგობის დაძლევის მიზნით, საჭიროა გარკვეული კომპრომისის გაკეთება. აღსანიშნავია, რომ მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, უკუმითითებისას საკითხის საქართველოს სამართლით გადაწყვეტის შესახებ გამომხატული პრეფერენცია თავისთავად კომპრომისულია, რაც ზოგ შემთხვევაში, თავიდან გვაშორებს საკითხის აბსოლუტური გადაუწყვეტელობის მდგომარეობისაგან. თუმცა, ეს კომპრომისი გამოხატულია „საჯარო წესრიგისა“ და „საქართველოს სამართლის იმპერატიული ნორმების“ პოტენციური გაუთვალისწინებლობის ხარჯზე. კანონის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილსა და მე-5 მუხლს შორის არსებული შიდა დაპირისპირების მიუხედავად, მიგვაჩნია, რომ მე-4 მუხლის მე-2 ნაწილს აქვს პოზიტიური დატვირთვა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს სამართალზე უკუმითითებისას კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მოგვარება არ მოხდება „საჯარო წესრიგისა“ და „იმპერატიული ნორმების ხარჯზე“. ანუ, თუ საქართველოს მატერიალური და საპროცესო ნორმები და სხვა ან მესამე ქვეყნის სამართლის ნორმები ფორმალურად და არა რადიკალურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაშინ განსახილველი ნორმა უკუმითითების დროს შეინარჩუნებს რეალურ კომპრომისულ დატვირთვას. აღნიშნულის საპირისპიროდ კი, თუ სახეზე იქნება აშკარა წინააღმდეგობა მე-4 მუხლის მეორე ნაწილსა და მე-5 მუხლებით გაკეთებულ დათქმებს შორის, მაშინ საკითხი ისევ და ისევ მოქმედი კანონის მე-5 მუხლის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს (უკეთეს შემთხვევაში კი, ჩვენს მიერ ზემოთ განხილული, მე-5 მუხლის ზუსტი შინაარსობრივი გააზრების შედეგად). სამართლის ნორმათა აღნიშნული შიდა დაპირისპირების დროს განსახილველი კანონი შიდაკოლიზიური დათქმების პრეფერენციული დათქმის შინაარსს უნდა განსაზღვრავდეს. აღნიშნული შინაარსის საკანონმდებლო დამატებით გადაწყვეტას აზრი არ ექნება, ვიდრე იმოქმედებს განსახილველი კანონის მე-6 მუხლის არსებული რედაქცია, რომელიც ზღუდავს ამ კანონის გამოყენების მასშტაბს საქართველოს სამართლის იმპერატიული ნორმების მოქმედებაზეც.


აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, აღსანიშნავია კანონის 32-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვით: „ნივთზე უფლების წარმოშობა, შეცვლა, გადაცემა და შეწყვეტა წესრიგდება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც ეს ნივთი იმყოფება. ამ ქვეყნის სანივთოსამართლებრივი ნორმები გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როცა ამ კანონის მითითებითი (კოლიზიური) ნორმის მიხედვით, სხვა ქვეყნის სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული“. თუ მოცემულ შემთხვევაში, ამ ქვეყნის სანივთოსამართლებრივი ნორმების მიხედვით, საქართველოს სამართალი უნდა იყოს გამოყენებული, მაშინ გამოდის, რომ წარმოიქმნება სერიოზული წინააღმდეგობა განსახილველი კანონის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილსა და 32-ე მუხლის პირველ ნაწილს შორის, რადგანაც მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, უკუმითითებისას გამოიყენება კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებული საქართველოს სამართლის ნორმები. მსგავსი სახის წინააღმდეგობის დაძლევის მიზნით, უმჯობესია, რომ მხარეები კონკრეტული სანივთოსამართლებრივი ურთიერთობის რეგულირებისას წინასწარ შეთანხმდნენ გამოსაყენებელი სამართლის შესახებ, სადაც „სამართალში“ მხოლოდ არჩეული ქვეყნის კონკრეტული მატერიალური და საპროცესო სამართლებრივი ნორმები უნდა იყოს გამოყენებული და არა ამავედროულად საკოლიზიო ნორმებიც. სწორედ აღნიშნულ მიზანს ისახავს კანონის მე-4 მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის მიხედვით: „თუ მხარეებს შეუძლიათ აირჩიონ

ერთ-ერთი ქვეყნის სამართალი, ასეთი არჩევანი გულისხმობს მხოლოდ ამ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებული ნორმების გამოყენებას.“

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ კანონში არსებული დათქმის სხვადასხვა სახეები ფუნქციურად ურთიერთდამოკიდებულ მდგომარეობაში არიან და მათი შინაარსის ერთმანეთისაგან გამოცალკევება აზრს მოკლებულია. ასეთი დათქმების საკანონმდებლო დონეზე შემუშავება და პრაქტიკაში მათი დამოუკიდებელი ფორმატით გამოყენება საუკეთესო შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მხოლოდ ისეთი საკანონმდებლო ფორმულირების პირობებში, როდესაც ამა თუ იმ ნორმის გამოყენებით არ დაზიანდება ამავე კანონში განერილი სხვა ნორმით დაცული სამართლებრივი სიკეთე. როგორც საჯარო წესრიგზე დათქმას, ასევე, იმპერატიულ ნორმებსა და მითითებაზე (უკუმიითითებაზე) გაკეთებულ დათქმებს უნდა ჰქონდეთ ინდივიდუალურად მოქმედების დამოუკიდებელი არეალი, რომ ამ დებულებებს შორის არ მოხდეს შიდა დაპირისპირება და პრაქტიკაში თავიდან ავიცილოთ ნებისმიერი გაუგებარი და მოუწესრიგებელი შემთხვევა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“, კომპიუტერული პროგრამის „კოდექსი 2007“ კოდიფიცირებული კანონების საძიებო სისტემა.
2. „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“, კომპიუტერული პროგრამის „კოდექსი 2007“ კოდიფიცირებული კანონების საძიებო სისტემა.
3. თენგიზ ლილუაშვილი, საერთაშორისო კერძო სამართალი, თბ., 2001.
4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი პირველი, თბ., 2002.
5. М. Иссад, Международное частное право, Перевод с французского, М., 1989.
6. J.G. Collier, Conflict of Laws, Third Edition, Cambridge University Press, UK., 2001.



INSTITUTION OF RESERVATIONS IN THE LAW OF GEORGIA ON INTERNATIONAL PRIVATE LAW AND SOME REFINEMENT RELATED ISSUES

LEVAN KOKAIA

Lawyer

In the paper below, the author reviews the institution of reservations in the Law of Georgia on International Private Law and focuses on refinement of regulating provisions. Namely, the paper reviews the concept of terms used in the law: public order, application of imperative provisions and instruction/reverse instruction; the author also reviews the scope of application and results of actions. In the framework of the existing paper, the author points out existing inner controversies between several reservations of the law. Several articles of the law become subject to criticism and therefore, the author suggests a renewed formulation of several articles of the Georgian law. In the end of the paper, the opinion is expressed, that practical application of each reservation under the law, shall take place in conditions of the legal framework, where the opportunity of breaching a legal interest protected by the reservation through application of another reservation is prevented.

სამოქალაქო სამართალწარმოება და აღსრულება საქართველოში XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისში

ზურაბ ჭყონია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

საქართველოში განხორციელებული სასამართლო რეფორმა რეალურად მნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ქვეყნის დემოკრატიზაციის განვითარების გზაზე. 1999 წლის 15 მაისიდან ამოქმედდა საქართველოს ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, რომლის მე-5 მუხლის თანახმადაც, სამოქალაქო სამართალწარმოება უნდა წარიმართოს ყველა პირის თანასწორობის საწყისებზე. აღნიშნული საპროცესო კოდექსი ეფუძნება სამოქალაქო პროცესის ძირითად პრინციპებს, კერძოდ, შეჯიბრებითობის, დისპოზიციურობის და საჯაროობის პრინციპებს, რაც თავის მხრივ, მხარეთა საპროცესო უფლებების რეალიზაციის ეფექტიანობაში ვლინდება. თავად დარღვეული უფლებების აღდგენა კი, შესაძლებელია მხოლოდ ეფექტიანი სააღსრულებო წარმოებით. რეფორმის ფარგლებში, 1999 წლის 16 აპრილს, მიღებულ იქნა ცალკე კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“.

თანამედროვე საქართველოში სასამართლო რეფორმის განხორციელება სულ რაღაც ათიოდე წლის წინათ დაიწყო და ის ფაქტობრივად დღემდე მიმდინარეობს. შესაბამისად, წინამდებარე თემა დღეისათვის აქტუალურია, ვინაიდან, როგორც სამარ-

თაღწარმოების, ასევე, ზოგადად, ნებისმიერი დარგისათვის ისტორიული გამოცდილების და მაგალითების გათვალისწინება მისი განვითარების თვალსაზრისით შეუფასებელია. „სამართლის ისტორია აქტუალურს ხდის წარსულს, აერთიანებს ეპოქებს“. „სამართლის თანამედროვე ისტორიკოსებს აღარ სჯერათ, რომ ისტორია და სამართალი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ვითარდება. ამჟამად მათ შეგნებული აქვთ, რომ ისტორია და სამართალი მჭიდროდ არის ერთმანეთში გადახლართული და ცდილობენ გააშუქონ სამართლის განვითარების არასამართლებრივი ასპექტები და ფარული სტიმულები. სამართლის ისტორიის როლი არ იფარგლება საკუთრივ საგნის ჩარჩოებით, სამართლებრივი პოლიტიკის კრიტიკულ შეფასებაში“.¹

1801 წლიდან რუსეთთან შეერთების შემდეგ, საქართველოს ისტორიული ტერიტორიაზე იმ დროისათვის არსებულ სამეფო-სამთავროებში გაუქმებულ იქნა სახელმწიფოებრიობა და მისი ელემენტები,² თუმცა ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის სამოქალაქო სამართლებრივი ნაწილი არ გაუქმებულა და ქართულ ჩვეულებით სამართალთან ერთად 1859 წლამდე მოქმედებდა. რუსეთის იმპერიის სამსახურში მყოფმა გიორგი კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანსკიმ მოახერხა რუსეთის სამოქალაქო სამართალწარმოებაში ორ ათეულზე მეტი მუხლი შეეტანათ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნიდან, კერძოდ, კანონთა კრებულის X ტომის პირველ და მეორე ნაწილში. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი რუსულ ენაზე ითარგმნა და მას ნაწილობრივ იყენებდნენ. ხოლო პრაქტიკაში სამართლის წიგნში ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, რუსულ სამართალს მიმართავდნენ.³ თავად სამართალწარმოება მოსახლეობისათვის გაუგებარ რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, ნებისმიერი დოკუმენტიც კი, რუსულ ენაზე უნდა შევსებულიყო.⁴

აღნიშნული ეპოქა რუსეთის იმპერიაში რეფორმების დასაწყისის, მათ შორის, სამართალწარმოებაში მიმდინარე რეფორმების ხანაა. ქართლ-კახეთის სამეფოს შეერთების პერიოდისათვის რუსეთის იმპერიაში კანონების კოდიფიკაციაზე მუშაობა დიდი ხნის დაწყებული იყო. ამ მიზნით მარტო XVIII საუკუნის მანძილზე შეიქმნა 9 საკოდიფიკაციო კომისია, რომელთა მუშაობასაც საბოლოო შედეგი არ ჰქონია. 1804 წელს რუსეთის იმპერატორმა შექმნა რიგით მე-10 კომისია. თუმცა, ამ კომისიის მოღვაწეობასაც წარმატება არ მოჰყოლია, მიუხედავად იმისა, რომ ამ კომისიაში შედიოდნენ იმ პერიოდისათვის პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები. იმპერატორ ნიკოლოზ I-ის დროს დაიწყო მუშაობა რუსეთის იმპერიის „კანონთა სრული კრებულის“ და რუსეთის იმპერიის კანონთა ნაკრების შესადგენად. ამ მუშაობის ხელმძღვანელობა გრაფ სპერანსკის დაევალა. კომისიას უნდა შეეგროვებინა 1649-1825 წლებში რუსეთში გამოცემული საკანონმდებლო აქტები და სისტემატურად გამოეცა სამართლის სხვადასხვა დარგებში მოქმედი კანონები. 1832 წელს გამოიცა „რუსეთის იმპერიის კანონების სრული კრებული“, სულ 46 ტომი. ამ კრებულში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით შევიდა ყველა კანონი, როგორც მოქმედი, ისე ძალადაკარგული, რომელიც გამოცემულ იქნა რუსეთში, 1649-1825 წლებში. კრებულიდან შეირჩა სამოქმედო ძალის მქონე კანონმდებლობა, რომელსაც ეწოდა „რუსეთის იმპერიის კანონთა კრებული“.⁵

რუსული სამართლის განვითარებისათვის წინ გადადგმული ნაბიჯი იყო XIX საუკუნის 20-იანი წლების შუა პერიოდის დასაწყისიდან კანონთა კრებულის შექმნა, რომელშიც შესული იყო სამოქალაქო კანონები, კერძოდ, "Законы гражданские и межевые", სადაც გაერთიანდა კანონები სამოქალაქო სამართალწარმოებისა და საალსრულებო წარმოების შესახებ. ამ კრებულში პირველად, რუსული სამართლის ისტორიაში ცალკე, განსაკუთრებული დარგად გამოიყო სამოქალაქო სამართალი, თუმცა, მატერიალური სამართალი ჯერ არ იყო გამოყოფილი საპროცესო სამართ-

ლიდან.⁶ აფასებს რა, რუსეთის იმპერიაში XIX საუკუნის დასაწყისში რეფორმას და კანონთა კოდიფიკაციის საკითხს, პარიზის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი რენე დავიდი ნაშრომში განმარტავს, რომ „ნიკოლოზ I ის დროს, რუსული სამართლის კონსოლიდაცია უფრო გატარდა, ვიდრე კოდიფიკაცია და მოდერნიზაცია“. იგი ასევე აღნიშნავდა, რომ „შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის პრავდიდან 1649 წლის სჯულდებამდე და ამ სჯულდებიდან 1832 წლის კრებულამდე არის სამართლის კონსოლიდაცია, გადმოცემა და არა მთლიანი რეფორმა და მოდერნიზაცია.“⁷

ზემოაღნიშნული კანონები, დადგენილებები, განკარგულებები და წესები შეიცავდნენ მრავალ ხარვეზს და ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდიოდნენ. წიგნი I სამოქალაქო სასამართლო წარმოების შესახებ უდავო წარმოების საქმეებში შედგენილია ეკატერინე II კანონების თანახმად და უგვიანესი განკარგულებებით. II წიგნი სადავო საქმეების წარმოების შესახებ შედგენილია 1649 წელს, სხვა განკარგულებების საფუძველზე, მაგრამ ძირითადად, ეფუძნება ციტატებს სამხედრო წესებიდან. სამართალწარმოება 17 განსაკუთრებული გვარიდან იყოფოდა 4 მთავარ გვარად. წიგნი III – „საალრულებო წარმოების შესახებ“ შედგებოდა XIX საუკუნის სხვადასხვა განკარგულებებისაგან.⁸ 1649 წლის სჯულდებით სამოქალაქო სამართალწარმოება მიმდინარეობდა შეჯიბრებითობის პრინციპით, მხარეთა ან მათი წარმომადგენლების მონაწილეობით, მხოლოდ დავები მამულებისათვის და ასევე, ხაზინის ინტერესის შემცველი ყველა სხვა საქმეები საგამოძიებო წესებით იწარმოებოდა. სჯულდება შეიცავდა სავსებით კონკრეტულ მონაცემებს შეჯიბრებითობის პროცესისათვის.⁹

„რეალურად სამოქალაქო სამართალწარმოება თავისთავში მოიცავდა პოლიციურ და სასამართლო შერეულ ხელისუფლებას, სხვადასხვა ფენებისათვის სასამართლოების არსებობას, საქმეთა საბოლოოდ გადაწყვეტის განსაკუთრებულად გაჭიანურებას, სასამართლო მოქმედების განხორციელებისათვის დადგენილი ვადების მრავალფეროვნებას. ის განიცდიდა სამოქალაქო სამართალწარმოებისას სისხლის სამართლის სამართალწარმოების ფორმების გამოყენებას, ე.წ. საგამოძიებო პროცესის, რომლის თანახმადაც, მოსამართლეებს თავად შეეძლოთ მოეპოვებინათ ცნობები მხარეთა მოთხოვნის გარეშე. ასევე, სამართალწარმოება საჯარო არ იყო და საქმეები წყდებოდა კანცელარიის წესით, რაც ზღუდავდა მოწინააღმდეგე მხარეთა უფლებებს.“ სამოქალაქო სამართალწარმოების პრობლემას წამოადგენდა ასევე, საქმეთა განხილვის შენელებული ტემპები, არასრული და უზუსტო წესები მტკიცებულებების შესახებ, სასამართლოს უფლება ფიცის დანიშვნის შესახებ, სასამართლოს პირადი შემადგენლობის გონებრივი და მორალური დონე, ძალიან დაბალი ჯამაგირი, რაც მექრთამეობას უწყობდა ხელს პრაქტიკულად, ყველა სასამართლოში.¹⁰

„სამართალწარმოება მთლიანად მთავრობასა და პოლიციაზე იყო დამოკიდებული. მოსამართლეებს მთავრობა ნიშნავდა და გამოძიებაში გადამწყვეტ როლს პოლიციის მოხელეები ასრულებდნენ. ძველ სასამართლოში საქმისწარმოებას ინსტანციების სიმრავლე აჭიანურებდა. ზოგიერთი საქმის გარჩევა და გადაწყვეტა ათი, ოცი და ორმოცდაათი წელიც კი, გრძელდებოდა. ძველი მართლმსაჯულების ერთ-ერთი მთავარი ნაკლი იყო, რომ საქმის გამოძიება-გარჩევა საიდუმლოდ, მხოლოდ დოკუმენტების საფუძველზე წარმოებდა. სასამართლო პროცესი, როგორც ასეთი არ იმართებოდა. მომჩივანი და მოპასუხე საპრობილესა, თუ საკუთარ სახლში ელოდებოდნენ სასამართლოს დადგენილებას.“¹¹ სამართალწარმოება მიმდინარეობდა ძირითადად, წერილობითი სახით, საიდუმლოდ, კანცელარიის მეშვეობით. საიდუმლოება ვრცელდებოდა ასევე,

თავად მხარეებზეც. სამართალწარმოების ძირითადად, კანცელარიის გზით წერილობითი სახით წარმოება და გასაიდუმლოება თავისთავად, მნიშვნელოვნად ზღუდავდა მხარეთა უფლებებს და გამორიცხავდა შეჯიბრებითობის პრინციპს. „საგამოძიებო წარმოება ითვალისწინებდა საქმის დაწყების შესაძლებლობას სარჩელის აღძვრის გარეშე, პოლიციის ან ადმინისტრაციული ორგანოს შეტყობინების საფუძველზე.¹² სასამართლო სისტემა იყო წოდებრივი და ყოველ წოდებას, ბატონყმობის რიგისამებრ, ცალკე სასამართლო ჰქონდა.¹³

რუსეთის იმპერიაში ასევე, მოქმედებდა კომერციული სასამართლოები. კომერციული სასამართლო შეიქმნა 1853 წელს თბილისშიც. 1832 წელს გამოცემულ კანონში კომერციული სასამართლოების სამართალწარმოების წესების შესახებ, შევიდა შეჯიბრებითობის პრინციპი. ამასთან, უმეტეს შემთხვევებში, გათვალისწინებულ იქნა საქმის ზეპირი განხილვა, თუმცა აღნიშნულს, მიუხედავად ამკარა უპირატესობისა, გავლენა არ მოუხდენია საერთო სასამართლო სამართალწარმოებაზე.¹⁴ მნიშვნელოვანია, რომ კომერციულ სასამართლოებში მოსამართლეებს ირჩევდნენ ვაჭრები, ვაჭართა წრიდან. 1832 წლის 14 მარტს გამოცემული კანონი კომერციული სასამართლოების სამართალწარმოების წესების შესახებ შეტანილ იქნა რუსეთის იმპერიის კანონთა კრებულის XI ტომში.¹⁵ რაც შეეხება სამოქალაქო სააღსრულებო წარმოებას, როგორც უკვე აღინიშნა, XIX საუკუნის 20-იან წლებში შეიქმნა კანონთა კრებული, სადაც შესული იყო სამოქალაქო კანონები, კერძოდ, "Законы гражданские и межевание". ამ კრებულში შედიოდა კანონები სამოქალაქო სამართალწარმოებისა და სააღსრულებო წარმოების შესახებ. სამოქალაქო იურისდიქციის აქტების აღსრულების პროცესი ძირითადად, ემყარებოდა საგამოძიებო პრინციპს, რომლის ძალითაც გადაწყვეტილება ექვემდებარებოდა აღსრულებას, მიუხედავად იმისა, ითხოვდა თუ არა მას ის პირი, ვის სასარგებლოდაც იყო გამოტანილი იგი. აღსრულება ხდებოდა პოლიციის ძალებით. აღსრულების პროცესი წლების განმავლობაში გრძელდებოდა.¹⁶

XIX საუკუნის 50-იან წლებში, რუსეთში უკიდურესად დაძაბული მდგომარეობა იყო. აუცილებელი გახდა რეფორმების გატარება, მათ შორის, სამართალწარმოებაშიც. 1861 წლის 19 თებერვალს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ ხელი მოაწერა მანიფესტს ბატონყმობის გაუქმების შესახებ. 1864 წელს რუსეთში განხორციელდა სასამართლო რეფორმა. მართლმსაჯულების დარგში გარდაქმნები ხუთი წელიწადი მზადდებოდა და მის მომზადებაში მონაწილეობა მიიღეს ქვეყნის გამოჩენილმა იურისტებმა.

1864 წელს ბატონყმობა გაუქმდა საქართველოშიც. იმავე წელს, სახელმწიფო საბჭოზე წინასწარი განხილვის შემდეგ, იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ დაამტკიცა სასამართლო წესდებები, მათ შორის, სამოქალაქო სამართალწარმოების შესახებ. რეფორმის შედეგად კარდინალურად შეიცვალა სასამართლო სისტემა და სამართალწარმოება, რაც ერთ-ერთი ყველაზე უმნიშვნელოვანესი იყო სხვა რეფორმებს შორის.

1864 წლის 20 ნოემბრიდან ამოქმედდა ოთხი საკანონმდებლო აქტი, კერძოდ: 1. სასამართლო წყობილების დებულება; 2. სისხლის სამართლის წარმოების ზოგადი წესები; 3. სამოქალაქო სამართლის წარმოების წესდება; 4. მომრიგებელი მოსამართლეების მიერ განწესებული სასჯელების შესახებ დებულება.¹⁷

საიმპერატორო წმინდა ვლადიმირის და იურევის უნივერსიტეტების საპატიო წევრი, რუსი მეცნიერი და იურისტი, დამსახურებული პროფესორი ი. ე. ენგელმანი ადარებდა რა რეფორმამდელ და რეფორმის შემდგომ სასამართლო სისტემებს წერდა, რომ „1864 წლის სასამართლო წესები თავისი არსით გახლავთ მთელი სასამართლო სისტემის ძირფესვიანად გარდაქმნა. ძველი

სასამართლო განიცდიდა თავისი სისტემით და მოღვაწეობით საზოგადოდ აღიარებული ისეთი ნაკლოვანებების არსებობას, რომლებიც თითქმის ანადგურებდნენ მართლმსაჯულების მნიშვნელობას და აკარგვინებდნენ ყოველგვარ ნდობას“... ახალი სასამართლო კი, პირიქით კანონით იყო იმ მდგომარეობაში და ფლობდა იმ უფლებამოსილებებს, რომ რეალურად შეეძლო ემოქმედა კანონის სახელით და დაეცვა იმ პირთა უფლებები და თავისუფლებები, ვინც მიმართავდა მას უფლების დასაცავად.“¹⁸

1864 წლის სამოქალაქო სამართალწარმოების წესების უდიდეს მნიშვნელობაზე XIX საუკუნის ავტორიტეტული რუსი იურისტი, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, პროფესორი, აკადემიკოსი ა. ფ. კონი წერდა, რომ „წესდება იყო აღმატებული შრომის ნაყოფი, განმსჭვალული შემდეგნელთა რუსეთის წინაშე შეგნებული პასუხისმგებლობით“. იგი ამ ნაშრომს სამართალწარმოების წესდების მამების ნამდვილ ძეგლად რაცხავს.¹⁹ რეფორმის შემდეგ სამოქალაქო სამართალწარმოების წესდებით უზრუნველყოფილი იყო საჯაროობის პრინციპი. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ასევე, ამავე წესდებით დადგენილი ვალდებულება სამოქალაქო საქმეებზე მიღებული საკასაციო გადაწყვეტილებათა გამოქვეყნების შესახებ. ყოველწლიური გადაწყვეტილებები დგებოდა ცალკე ტომად განსაკუთრებული ნომერაციით. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა გამოქვეყნება და ხელმისაწვდომობა გარდა საჯაროობისა, ხელს შეუწყობდა ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას. სამართალწარმოებისას უზრუნველყოფილი იყო საქმის ზეპირი წარმოება. პროცესი ემყარებოდა შეჯიბრებითობის პრინციპს. მტკიცებულებათა შეფასება სასამართლოს უნდა მოეხდინა არა მითითებული თეორიის თანახმად, არამედ ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, შინაგანი რწმენით. ახალი წესდებით სამოქალაქო საქმეთა წარმოებისას გამოქვეყნებისთანავე, დაუყოვნებლივ მოქმედებდა ახალი პროცესუალური ნორმები და ასევე საქმეებზე, რომლებიც აღძრული იყო გამოქვეყნებამდე.²⁰

თავად მოსამართლის თანამდებობა შეუთავსებელი იყო, როგორც სხვა სასამართლო, ისე ნებისმიერ ადმინისტრაციულ თანამდებობასთან. გამონაკლისს წარმოადგენდა საპატიო თანამდებობები. მოსამართლედ გამწესებისათვის სხვა პირობებთან ერთად აუცილებელი იყო იურიდიული განათლება, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული.

მნიშვნელოვანია, რომ ახალი წესდებით სამოქალაქო საქმის წარმოებისას გათვალისწინებული იყო მოსამართლის, მდივნის და პროკურორის აცილების შესაძლებლობა. ამასთან, ამ პირებზე ვრცელდებოდა თვითაცილების ვალდებულება აცილების გარემოებების არსებობისას.²¹

რეფორმის შემდეგ, არსებობდნენ სამოქალაქო, სისხლის და საეკლესიო სასამართლოები. თუმცა, არ იყო შექმნილი ადმინისტრაციული სასამართლოები და ადმინისტრაციულ საქმეებს განიხილავდნენ თავად ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელები.

სასამართლოები იყოფოდნენ საერთო და განსაკუთრებულ სასამართლოებად. საერთო სასამართლოებში შედიოდნენ: „სამომრიგებლო სასამართლო დანესებულებები“, ე.წ. "ЗЕМСКИЕ НАЧАЛЬНИКИ", საქალაქო სასამართლოები, საოლქო სასამართლოს მაზრის წევრები, საოლქო სასამართლოები, სასამართლო პალატები და სენატის საკასაციო დეპარტამენტი.

განსაკუთრებულ სასამართლოებში შედიოდა: კომერციული, საეკლესიო და ე.წ. "ВОЛОСТНЫЕ" სასამართლოები, რომლებიც საქმეებს იხილავდნენ განსაკუთრებული პროცესუალური ნორმებით და იყენებდნენ განსაკუთრებულ დამოუკიდებელ ცალკეულ სამართალს, სავაჭროს, საეკლესიოს და სხვა.²²

სასამართლო საჯაროდ გამოცხადდა დამოუკიდებლად. მოსამართლეები იღებდნენ მაღალ ხელფასებს. ისინი ინიშნებოდნენ მთავრობის მიერ, მაგრამ მათი გათავისუფლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით იყო შესაძლებელი, რაც ასევე, მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გარანტია გახლდათ. შეიქმნა სასამართლო ინსტანციები. ნაკლებად მნიშვნელოვან დავებს განიხილავდა სამომრიგებლო სასამართლო, მომრიგებელ მოსამართლეს ირჩევდნენ ქალაქის სათათბიროები და ერობები. სოფლებში არსებობდა სათემო სასამართლოები, რომლებიც განიხილავდნენ გლეხთა დავებს. საოლქო სასამართლოები იხილავდნენ შედარებით მნიშვნელოვან სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებს.²³ შემოვიდა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი. ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არსებითად არ შეიძლებოდა გასაჩივრებულიყო. დანარჩენ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებები საჩივრდებოდა სასამართლო პალატაში. უმაღლეს სასამართლო ინსტანციას წარმოადგენდა სენატი, სადაც პალატის გადაწყვეტილებები საჩივრდებოდა საკასაციო წესით.²⁴

1864 წლის რეფორმის შემდეგ, არსებითად შეიცვალა სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების სისტემა, სააღსრულებო წარმოება კვლავ არაეფექტიანი იყო.

სააღსრულებო ფუნქციები გადაეცა სასამართლოსთან არსებულ განსაკუთრებულ თანამდებობის პირებს, აღმასრულებლებს, რომელთაც „პრისტავები“ ეწოდებოდათ. დადგინდა სასამართლოს მიერ ამ თანამდებობის პირების უწყებრივი კონტროლის ზოგიერთი ელემენტები. სასამართლო პრისტავები ირიცხებოდნენ სასამართლოს შტატში. აღნიშნული წოდების მოსაპოვებლად საჭირო იყო გამოცდების ჩაბარება სასამართლოში და მათ სასამართლოს თავმჯდომარე ნიშნავდა. თუმცა, ამ თანამდებობის პირების რეალური კონტროლის უფლება სასამართლოს არ გააჩნდა. მას შეეძლო გაეუქმებინა სასამართლო პრისტავის ესა თუ ის მოქმედემა მხოლოდ მხარეთა მიერ საჩივრის შეტანის შემდეგ. მაშინდელი მეცნიერები, რომლებიც დაკავებული იყვნენ ამ დარგის შესწავლით, კრიტიკულად აფასებდნენ აღსრულებაში არსებულ მდგომარეობას. „ვისაც ერთხელ მაინც ჰქონდა საქმე სასამართლო პრისტავებთან, მან იცის ისინი როგორი „მოღვაწეები“ არიან, უშეცდომოდ შეიძლება ითქვას, რომ ამ ინსტიტუტმა საერთოდ არ გაამართლა. სასამართლო პრისტავებმა სასამართლო რეფორმის კომპრომენტაცია მოახდინეს, განსაკუთრებით პროვინციებში“ – აღნიშნავდა სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ა.ხ. გოლმსტენი. სამარის საოლქო სასამართლოს ანგარიშში აღნიშნული იყო, რომ „მართალი საქმის მოგება არ არის ძნელი, მაგრამ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება თითქმის შეუძლებელია. სასამართლოს გათავისუფლება მისი გადაწყვეტილების აღსრულების კონტროლისაგან თეორიის თვალსაზრისით გასაგებია, მაგრამ პრაქტიკის თვალსაზრისით ძნელად შეიძლება მოუძებნო გამართლება იმ უმწეო მდგომარეობით, რომელშიც ვარდება პირი, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება.“²⁵

სამოქალაქო სამართალწარმოების წესდებით დისპოზიციურობის პრინციპი მოქმედებდა სააღსრულებო წარმოებაშიც. დისპოზიციურობა გამოიხატებოდა იმაში, რომ სასამართლო გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევა შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ პირის სურვილის შემთხვევაში, რომლის სასარგებლოდაც იყო გამოტანილი გადაწყვეტილება. სურვილის არსებობისას მას შეეძლო მიემართა სასამართლოსათვის სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნით, რომლის გაცემის შემდგომ, იმავე სასამართლოს თავმჯდომარეს მიმართავდა წერილობით ან სიტყვიერად სასამართლო პრისტავის დანიშვნის შესახებ, რომელსაც სასამართლო ნიშნავდა

ან თავისი შეხედულებით ან აღნიშნული მხარის მითითებით. ამის შემდეგ ის მიმართავდა სასამართლოს პრისტავს წერილობითი განცხადებით, რომელშიც უპირველეს ყოვლისა, ირჩევდა აღსრულების წესს. სასამართლოს არ ჰქონდა უფლება შეეცვალა ამ განცხადებაში მოთხოვნილი აღსრულების საშუალება და წესი. თუმცა, პრისტავიც და მხარეც, რომელიც ითხოვდა მის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულებას, შეზღუდულები იყვნენ კანონით, კერძოდ, კანონი მიუთითებდა დაშვებულ აღსრულების საშუალებებზე და კრძალავდა ისეთ საშუალებებს, რომლებიც არ იყო გათვალისწინებული.²⁶

„სააღსრულებო წარმოება გახლავთ ახალი შეჯიბრებითობის პროცესი, რომელშიც დოკუმენტაცია უნდა გადაეცეს მხარეებს – აღნიშნავდა ი. ე. ენგელმანი.²⁷

აღსანიშნავია, რომ სასამართლო რეფორმის პრაქტიკამ გამოავლინა სამოქალაქო სამართალწარმოების წესების მრავალი ხარვეზი, რასაც მოწმობს 1894 წლის 7 აპრილამდე ამ წესებში შეტანილი 700 დამატება, ცვლილება და შესწორება. ასევე, წესდების არასრულყოფილების დასტურია 1894 წელს რუსეთის იმპერიის იუსტიციის მინისტრის ხელმძღვანელობით კომისიის შექმნა სამართალწარმოების წესების გადახედვის მიზნით, რომელმაც ხუთი წლის მუშაობის შემდეგ, შეადგინა სამოქალაქო სამართალწარმოებისა და სისხლის სამართალწარმოების წესების კანონპროექტი.²⁸ პროფესორი რენე დავიდი რეფორმის შემდგომ რუსეთის სამართალწარმოების სისტემაზე წერდა: „მხოლოდ 1864 წლის რეფორმით შეიქმნა პროფესიული ადვოკატურა, მოსამართლის ფუნქციები კი, ადმინისტრაციულ ფუნქციებს გამოეყო. ამ რეფორმამდე არ იყო მკვეთრი განსხვავება პოლიციას, სასამართლოსა და ადმინისტრაციას შორის.“ ასევე, წერდა, რომ გლეხებს „მართლმსაჯულება“ სამართლიანობად ეჩვენებათ იმ სახით, როგორც მას სათემო სასამართლოებში ახორციელებდნენ არაიურისტი მოსამართლეები, ხოლო სათემო სასამართლო შინაგან საქმეთა სამინისტროს ემორჩილებოდა და არა იუსტიციის სამინისტროს. რუსი ხალხის ერთიანობა არ ემყარებოდა სამართალს.“²⁹

„საქართველოში სასამართლო რეფორმა შეკვეცილი სახით გატარდა. რეფორმატორები ამის მიზეზად „მოსახლეობის მოუმზადებლობას“ და „ადგილობრივ სპეციფიკურ პირობებს“ ასახელებდნენ. სინამდვილეში კი, აქაც თავი იჩინა მეფის მთავრობის კოლონიურმა პოლიტიკამ: მეფის მთავრობას შეუძლებლად მიაჩნდა კოლონიებში თავისი ადმინისტრაციის ყოვლისშემძლეობა შეეზღუდა, სამართლისწარმოების სფერო გადაეცა ადგილობრივი მოსახლეობის მიერ არჩეული მოსამართლეებისა და ნაფიცი მსაჯულებისათვის.“ „1868 წლის 1 იანვრიდან საქართველოში გაუქმდა წოდებრივი სასამართლოები. შეიქმნა საერთო სასამართლოები, მაზრებში დაარსდა მომრიგებელი განყოფილებები მომრიგებელი მოსამართლეებით, რომელნიც სასამართლო ორგანოების ყველაზე დაბალ ინსტანციას წარმოადგენდა, გუბერნიებში ჩამოყალიბდა საოლქო სასამართლოები. სასამართლო პალატის იურისდიქცია მთელს ამიერკავკასიაზე ვრცელდებოდა. საოლქო სასამართლო მხარის უმაღლესი სასამართლო ინსტანცია იყო. საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებების გასაჩივრება მხოლოდ იმპერიის სენატში შეიძლებოდა. საქართველოში არ შემოუღიათ მოსამართლეთა არჩევითობა და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი. მოსამართლეებს კლავინდებურად მთავრობა ნიშნავდა და ისინი მთლიანად მთავრობაზე იყვნენ დამოკიდებულნი. ნაცვლად არჩევითი სასამართლოებისა, აქ შეიქმნა ახალ ყაიდაზე მონყობილი მთავრობის მოხელეთა სასამართლოები, რომლებსაც უნდა შეესრულებინათ უმაღლესი ნება.“ საქმეების წარმოება მიმდინარეობდა რუსულ ენაზე, ხოლო მოსახლეობის უმრავლესობას კი, რუსული არ ესმოდა. „ამიერკავკასიაში მოქმედების განსაკუთრებული დიდი ასპარეზი მიეცა ყველაზე დაბალ

ინსტანციას, მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტს. რეფორმატორების აზრით, ეს იმით იყო განპირობებული, რომ ამიერკავკასიის მოსახლეობა განვითარების დაბალ დონეზე იდგა, არ შეეძლო შეგუებოდა სხვადასხვანაირ კანონებს, სამართლის დარგობრივად დაყოფის თაობაზე და ამიტომაც საჭირო იყო ისეთი ორგანოს შექმნა, რომელსაც დროულად უნდა გაერჩია სხვადასხვა ხასიათის საქმეები.³⁰

1917 წელს, თებერვლის რევოლუციის შემდეგ, და ასევე, 1918-1921 წლებში საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის არსებობის პერიოდში, ფაქტობრივად შენარჩუნდა სამოქალაქო სამართალწარმოებაში 1864 წლის რეფორმის შემდგომი წესები სამოქალაქო სამართალწარმოების შესახებ, იმ ცვლილებებითა და დამატებებით, რაც მიღებული გახლდათ ამ წესდებაში მისი მიღების შემდგომი პერიოდიდან. თუმცა, დამოუკიდებლობის პერიოდში განხორციელდა სულ სამი ცვლილება სამომრიგებლო სასამართლოებთან დაკავშირებით, კერძოდ, მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის – სამომრიგებლო სასამართლოთა გარდაქმნის და მონყობის თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ 1921 წლის 21 თებერვალს მიღებულ დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში სასამართლო ხელისუფლებას დათმობილი აქვს ცალკე თავი, კერძოდ, X თავი,³¹ მაგრამ 1921 წლის 25 თებერვალს, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის გამო კონსტიტუციას არ უმოქმედია.

დასკვნა

იტალიელი მოაზროვნე ნიკოლო მაკიაველი აღნიშნავდა, რომ „რესპუბლიკაში ქალაქის ძველი ჩვეულებების სანინაალმდეგო კანონის მიღება შესაძლებელია მრავალი გაუგებრობის საფუძველი გახდეს“.³² XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთთან მიერთების პერიოდში საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე არსებულ სახელწიფოებსა და სამთავროებში მოქმედი „სამოქალაქო სამართალწარმოების კარგად ორგანიზებული და დახვეწილი სისტემა, ასევე ეფექტური სააღსრულებო მექანიზმები, დაფუძნებული მხარეთა თანასწორუფლებიანობის, დისპოზიციურობის, შეჯიბრებითობის პრინციპებზე და ქრისტიანულ ჰუმანიზმზე“³³ თანდათანობით ჩანაცვლა რუსულმა იმპერიულმა სამოქალაქო სამართალწარმოებამ და ნოდებრივმა სასამართლო სისტემამ. იგი ინკვიზიციური ხასიათის იყო, რომლისთვისაც რეალურად უცხო იყო იგივე დისპოზიციურობის, საჯაროობის, შეჯიბრებითობის პრინციპები, რომ არაფერი აღარ ვთქვათ ჰუმანურობაზე. აქედან გამომდინარე, ქართული სამართალწარმოების ჩანაცვლება რუსული, მკვეთრად გამოსახული რეაქციული და ნოდებათა უთანასწორობაზე დაფუძნებული სამართალწარმოებით (რაც მიუღებელი იყო ქართული ცნობიერებისთვის), მკვეთრად უკან გადადგმული ნაბიჯი აღმოჩნდა ქართული სამოქალაქო და ზოგადად, სამართალწარმოების განვითარების გზაზე. რუსეთის იმპერიაში ნოდებრივი სასამართლოების არსებობა, სამოქალაქო სამართალწარმოებისას კანცელარიის საიდუმლო წარმოების წესი, ზეპირი განხილვის არარსებობა, საქმის დაუსრულებლად გაჭიანურება, ასევე, საგამოძიებო პრინციპი, თითქმის უშედეგო სააღსრულებო წარმოება და რაც მთავარია, საქმის წარმოება ადგილობრივი მოსახლეობისათვის გაუგებარ რუსულ ენაზე, პიროვნების ფუნდამენტური საპროცესო უფლებების შელახვად უნდა შეფასდეს. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, რეფორმამდელ სამართალწარმოებაში დადებით მოვლენად სამართლის განვითარების თვალსაზრისით, შეიძლება შევაფასოთ რუსეთის იმპერიის მიერ ყველა

არსებული საკანონმდებლო ხასიათის აქტების „კოდიფიცირება“ და 1832 წელს კანონთა კრებულის სახით გამოცემა, ასევე, კომერციული სასამართლოების შექმნა, მათ შორის, 1853 წელს, თბილისში. სამართალწარმოებისას ასევე, დადებითად შეიძლება შეფასდეს 1859 წლამდე ვახტანგ VI-ის „სამართლის წიგნის“ და ქართული ჩვეულებითი სამართლის გამოყენება და 1832 წელს, იმპერიის მიერ გამოცემულ კანონთა კრებულში ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის ნორმათა ნაწილის შეტანა.

ისტორიული ექსკურსისა და წინამდებარე სტატიაში მოტანილი მაგალითების ანალიზისას, შეიძლება პროგრესულად შევაფასოთ რუსეთის იმპერიაში 1864 წლის სასამართლო რეფორმა და შედეგად მიღებული სამოქალაქო სამართალწარმოების წესდება და სასამართლო სისტემა. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო სამართალწარმოების განვითარების ისტორიაში პირველად, დამოუკიდებელ დარგად ჩამოყალიბდა სამოქალაქო საპროცესო სამართალი და სააღსრულებო წარმოება, რაც სამოქალაქო სამართალწარმოების განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტია. სწორედ ამ რეფორმის შედეგია წოდებრივი სასამართლო სისტემის გაუქმება (თუმცა, მაინც რჩებოდა ამ ტიპის სასამართლო რგოლი, სათემო, ანუ საგლეხო სასამართლოს სახით). ასევე, სამოქალაქო სამართალწარმოებაში და სააღსრულებო წარმოებაში მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და შეუცვლელობის, მხარეთა თანასწორუფლებიანობის, დისპოზიციურობის, შეჯიბრებითობის, საჯაროობისა და ყველა სხვა იმ მნიშვნელოვანი პრინციპებისა და წესების დამკვიდრება, რომელთა ერთიანობაც მხარეთა უფლებების დაცვის გარანტიებს ქმნის. თუმცა, ზემოაღნიშნული წესდებით აღიარებული პრინციპები პრაქტიკაში არასრულფასოვნად მკვიდრდებოდა, მით უფრო, ამიერკავკასიაში, ვინაიდან სასამართლო რეფორმა აქ დამახინჯებულად გატარდა. ყოველივე აღნიშნულის მიზეზი კი, ილია ჭავჭავაძის სიტყვებში უნდა ვეძებოთ: „უნდა მოვითხოვოთ, რომ კანონები, რომელიც ახლა პეტერბურგში იწერება, აქვე ადგილობრივ უნდა იწერებოდეს, რადგან რაც რუსისთვის სასარგებლოა, ის შეიძლება ქართველისთვის მავნე იყოს.“³⁴

გარდა ზემოაღნიშნულისა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ რეფორმის შედეგად არ მომხდარა სამოქალაქო სამართალწარმოების უმნიშვნელოვანესი რგოლის, კერძოდ, სააღსრულებო წარმოების „გამოჯანმრთელება“ და იგი კვლავ სამოქალაქო პროცესის აქილევსის ქუსლად რჩებოდა. თუმცა, სააღსრულებო წარმოება სამართლებრივი პრაქტიკის უმნიშვნელოვანესი ეტაპია, სადაც სრულად ვლინდება სამართლებრივი რეგულირების მთელი მექანიზმი, რაც ფაქტობრივად, როგორც პირის, ისე ორგანიზაციის უფლებების უზრუნველყოფის ერთადერთი საშუალებაა.

როგორც სამართალწარმოების, ასევე ზოგადად, ნებისმიერი დარგისათვის ისტორიული გამოცდილებისა და მაგალითების გათვალისწინება მისი განვითარების თვალსაზრისით, შეუფასებელია. სამართლებრივი ბაზისა და სისტემის ძირეული ცვლილება ვერ იქნება რეალურად ეფექტიანი და მისი ხშირი ცვლა ხელს კი არ უწყობს სამართლის განვითარებას, არამედ პირიქით, მნიშვნელოვნად აფერხებს, მით უფრო, თუ ცვლილება არ დაეფუძნება ქვეყნისა და ასევე, უცხო ქვეყნების გამოცდილებებს. კაცობრიობის ისტორია გვიჩვენებს, რომ მოქმედი სამართალი და ზოგადად, ნებისმიერი ახალი იდეოლოგიაც, მათ შორის რელიგიურიც კი, თითქმის ყოველთვის ადრინდელს ეფუძნება და მისი სახეცვლილი და მოდერნიზებული ვარიანტია. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ ზემოაღნიშნული მიზეზის გამო, თავად რუსეთის იმპერიის კანონთა კრებულშიც 1859 წლამდე შესული იყო ვახტანგ VI-ის „სამართლის ძეგლები“ და სამართალწარმოებაში გამოიყენებოდა ქართული ჩვეულებითი სამართლის ნორმები.

XIX საუკუნისა და XX საუკუნის 20-იანი წლების გამოცდილება სწორედ ზემოთ გამოთქმული თვალსაზრისის დასტურია. ვინაიდან, მიუხედავად XIX საუკუნის I ნახევარში და ასევე, 1864 წლის რეფორმის შედეგად განხორცილებული პროგრესული საკანონმდებლო ცვლილებებისა, აღნიშნულ კანონმდებლობაში, კერძოდ, სამოქალაქო სამართალწარმოების წესდებაში 1864 წლიდან 1894 წლის 7 აპრილამდე შეტანილია 700 ცვლილება, დამატება და შესწორება. ამასთან, 1894 წელს შედგა კომისია, რომელმაც შეიმუშავა ახალი პროექტი სამოქალაქო სამართალწარმოების შესახებ, რაც 1864 წლის წესდების არასრულყოფილებაზე მიუთითებდა ე.ი. მიუხედავად იმისა, რომ თეორიულად იგი მხარეთა უფლებების დაცვის გარანტიის უზრუნველყოფისათვის აუცილებელ თითქმის ყველა მოთხოვნას ეფუძნებოდა. პრაქტიკამ ცხადყო და გამოავლინა მისი არასრულყოფილება, ვინაიდან წესდებებს საფუძვლად არ ედო სამოქალაქო სამართალწარმოებაში, არა მარტო რუსეთის ან რუსეთის იმპერიაში შემავალი ქვეყნების, არამედ ზოგადად, სამართლის ამ დარგში უცხო ქვეყნების პრაქტიკული გამოცდილება და უმთავრესად თეორიულ ცოდნას ემყარებოდა. სწორედ ამიტომაც მიგვაჩნია, რომ აღნიშნული დღესაც ყურადსაღებია. ამასთან, სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარებისას, აუცილებელია ილიას ზემოაღნიშნული სიტყვების გათვალისწინება.

შენიშვნები:

- ¹ კონრად ცვაიგერი, ჰაინ კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, გამომცემლობა „ჯისიაი“, თბილისი, 2000 წ., ტომი I, ფ. 14.
- ² ავტორთა კოლექტივი: ნოდარ ასათიანი, ნინო კილურაძე, გიორგი სანიკიძე, ლალი ფირცხალავა, ისტორიის სახელმძღვანელო მე-11-ე კლასელთათვის, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2007 წ., თავი IV, გვ. 324, 325.
- ³ გ. ნადარეიშვილი, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, გამომც. „ბონა კაუზა“, თბილისი, 2003 წ., გვ. 270.
- ⁴ ავტორთა კოლექტივი: ნოდარ ასათიანი, ნინო კილურაძე, გიორგი სანიკიძე, ლალი ფირცხალავა, ისტორიის სახელმძღვანელო მე-11-ე კლასელთათვის, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2007 წ., თავი IV, გვ. 324, 325.
- ⁵ გ. ნადარეიშვილი „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1986 წ., გვ. 374; 375; 376.
- ⁶ И. Б. Морозова, А. М. Треушников, Исполнительное производство, учебно-практическое пособие, издание четвертое, дополненное, издательский дом Городес, М., 2007, с.10.
- ⁷ რენე დავიდი, თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1993 წ., გვ. 144; 145.
- ⁸ И.Е. Энгельмань, Учебник русского судопроизводства, издание второе, печ. В тип. К. Маттисена в. Юревь. 1904 г. с. 15.
- ⁹ იქვე, გვ. 12.
- ¹⁰ Назарова Н. А., Реформирование и развитие российского гражданского судопроизводства во второй половине XIX— в начале XX века, диссертация кандидата юридических наук, 12.00.01, Нижний Новгород, 2007, с. 170, РГБ ОД, 61:07-12/1528, Введение к работе (<http://www.lib.ua-ru.net/diss/cont/174211.html>)
- ¹¹ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი V, საქართველო XIX საუკუნის 30-90-იან წლებში, სარედაქციო კოლეგია, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1970 წ., გვ. 312.
- ¹² И.Е. Энгельмань, Учебник русского судопроизводства, издание второе, печ. В тип. К. Маттисена в. Юревь. 1904 г. с. 16.
- ¹³ გ. ნადარეიშვილი „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1986 წ., გვ. 404.
- ¹⁴ И.Е. Энгельмань, Учебник русского судопроизводства, издание второе, печ. В тип. К. Маттисена в. Юревь. 1904 г. с. 17.
- ¹⁵ Архипов, И. В. Коммерческие суды и торговый процесс в России.//Журнал "Правоведение". 1994, №4, С. 108–112, <http://www.law.edu.ru/article/article.asp?articleID=151783>).
- ¹⁶ И. Б. Морозова, А. М. Треушников, "Исполнительное производство" учебно-практическое пособие", издание четвертое, дополненное, издательский дом Городес, М., 2007, с. 11.
- ¹⁷ გ. ნადარეიშვილი „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1986 წ., გვ. 404.
- ¹⁸ И.Е. Энгельмань, Учебник русского судопроизводства, издание второе, печ. В тип. К. Маттисена в. Юревь. 1904 г. с. 17.
- ¹⁹ Д. Я. Малеишин, исполнительное производство (функции суда), 2-е издание, переработанное и дополненное, москва 2005 г. с. 34.
- ²⁰ И.Е. Энгельмань, Учебник русского суда судопроизводства, издание второе, печ. В тип. К. Маттисена в. Юревь. 1904 г. с. 31.
- ²¹ იქვე, გვ. 48;49; 75.
- ²² იქვე, გვ. 35;52;53.
- ²³ გ. ნადარეიშვილი „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1986 წ., გვ. 404; 405.

- ²⁴ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი V, საქართველო XIX საუკუნის 30-90-იან წლებში, სარედაქციო კოლეგია, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1970 წ., გვ. 313.
- ²⁵ Д. Я. Малеишин, Исполнительное производство (функции суда), 2-е издание, переработанное и дополненное, М., 2005, с. 32; 33; 34.
- ²⁶ И. Б. Морозова, А. М. Треушников, "Исполнительное производство, "учебно-практическое пособие" издание четвертое, доролненное, издательский дом Городес, М., 2007 г. с.11; 12.
- ²⁷ И.Е. Энгелмань, Учебник русского судопроизводства, издание второе, печ. В тип. К. Маттисена в. Юревь. 1904 г. с. 436.
- ²⁸ Назарова Надежда Александровна. Реформирование и развитие российского гражданского судопроизводства во второй половине XIX - начале XX века, диссертация кандидата юридических наук: 12.00.01 Нижний Новгород, 2007 170 с. РГБ ОД, 61:07-12/1528, Введение к работе (<http://www.lib.ua-ru.net/diss/cont/174211.html>)
- ²⁹ რენე დავიდი, თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1993 წ., გვ. 146.
- ³⁰ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი V, საქართველო XIX საუკუნის 30-90-იან წლებში, სარედაქციო კოლეგია, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1970 წ., გვ. 313; 317.
- ³¹ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, სპეცრედაქტორი ვ. შარაშენიძე, გამომცემლობა „ივერთა მხარე“, თბილისი, 1990 წ., გვ. 471.
- ³² Макиавели н., Государь, соч. Харьков, 1999, с. 171.
- ³³ ზურაბ ჭყონია, სტატია, სამოქალაქო სამართალწარმოებისა და აღსრულების საკითხები ძველ ქართულ სამართალში, პრაქტიკულ-სამეცნიერო ჟურნალი (issn 1512-33-08) „ცხოვრება და კანონი“ №2(10) 2010 წ., თბილისი, გვ. 79.
- ³⁴ გაზეთი „ივერია“, №20.

CIVIL PROCEEDINGS AND ENFORCEMENT IN GEORGIA IN 19TH AND BEGINNING OF 20TH CENTURY


ZURAB CHKONIA

Doctor's Degree Student Technical University of Georgia

In the beginning of 19th century, during annexation to Russia, “the well organized and refined civil law proceedings system, as well as effective enforcement mechanisms, based on equality of parties, disposition, adversarial principle and Christian humanity”, which existed on historical territories of Georgia, including its states and provinces, was gradually replaced by Russian imperialistic civil law proceedings; it was inquisitorial and basically did not recognize disposition, publicity, adversarial principles, not to mention humanity. Based on that, replacement of the Georgian administration of justice by the Russian clearly reactionary and status-based proceedings (which was unacceptable for the Georgian mentality), represented a big step back in the development of the civil law and generally legal proceedings.


Based on analysis of historical digression and examples brought in the article below, we can unambiguously assess the judicial reform, conducted in the Russian Empire in 1864 and the judiciary and the civil proceedings statute received as a result of such a reform as progressive. It shall be noted that from that time civil procedures law as well as enforcement were allocated into the separate area; it is a very important factor affecting development of the civil law area. However, it must be said that principles recognized by the statute, were not fully implemented in practice, especially, in Caucasus and certainly, in Georgia.

In addition to the said above, it shall be mentioned, that crucial component of civil proceedings – namely, enforcement - was not “treated/cured”



as a result of the reform and it remained an Achilles' heel of the civil law proceedings; and the **“enforcement represents crucial part of the judicial practice, where the whole mechanism of effectiveness of the judicial regulation becomes apparent”**.

Consideration of past experience and practice in legal proceedings, and, generally, in any area, is invaluable for its development. Major change of the legal framework and the system will not be effective and its frequent change may not facilitate development of the law; quite opposite, it significantly hinders it, especially if such changes are not based on experience of the country itself or experience of foreign countries is based only on theoretical knowledge. This is why we believe that all that shall be considered in the Georgian reality.




ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინებათა კრებული საქართველოს საქმეებზე

2010 წელს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადამიანის უფლებათა ცენტრში მომზადდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინებათა კრებული საქართველოს საქმეებზე. ეს კრებული 2009 წელს გამოცემული ასეთივე კრებულის შევსებული ვერსიაა და მასში შესულია 2010 წლის ჩათვლით ყველა ის განჩინება, რომელიც საქართველოს წინააღმდეგ არის გამოტანილი, გარდა რამდენიმე განჩინებისა, რომელებიც უკვე გამოიცა საქართველოს ევროპის საბჭოს საინფორმაციო ბიუროს მიერ.

წინამდებარე გამოცემა მიზნად ისახავს ყველა დაინტერესებულ პირს მიეცეს საქართველოსთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების გაცნობის საშუალება. კრებულში წარმოდგენილია 31 განჩინება, რომელთაგან 6 საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით გარანტირებული უფლებები, ხოლო 25 საქმეზე მიიჩნია, რომ დარღვეულია აღნიშნული კონვენციის გარკვეული მუხლები.

ყველა ის გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია საქართველოსთან მიმართებით, უმნიშვნელოვანესია ჩვენი ქვეყნისათვის და საჭიროა თითოეულ მათგანზე ჯეროვანი ყურადღების გამახვილება, რადგან ეროვნული სასამართლოებისათვის არა მხოლოდ მიზანშეწონილი, არამედ აუცილებელიცაა, კონვენციასთან ერთად, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება.

კრებული შეადგინა და დაამუშავა უზენაესი სასამართლოს ადამიანის უფლებათა ცენტრის მთავარმა სპეციალისტმა თინათინ ბეჟაშვილმა.



ნაფიც მსაჯულთა სასამართლო

2010 წელს უზენაეს სასამართლოს ადამიანის უფლებათა ცენტრში მომზადდა კიდევ ერთი გამოცემა, რომელიც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წარმოშობისა და განვითარების ისტორიას ეხება. წიგნის სამეცნიერო რედაქტორია საქართველოს უზენაესის სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზაზა მეიშვილი, ხოლო წიგნის შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ადამიანის უფლებათა ცენტრის მთავარმა სპეციალისტმა თინათინ ბეჟაშვილმა.

ნაშრომი მიმოხილვითი ხასიათისაა და მკითხველს აწვდის გარკვეულ ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რას წარმოადგენს ზოგადად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, როგორია მისი წარმოშობის ისტორია, რა განვითარება ჰპოვა ამ ინსტიტუტმა შემდგომში, ვინ იყვნენ ნაფიცი მსაჯულები და რა როლი ეკისრებოდათ მათ საზოგადოებაში, არსებობდა თუ არა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საქართველოში და ამჟამად რა ფორმით უნდა ამოქმედდეს იგი. ამის გარდა, მკითხველს ასევე დააინტერესებს მსაჯულთა მიერ გამოტანილი ვერდიქტი ზოგიერთ გახმაურებულ საქმეზე, რასაც მოჰყვება მნიშვნელოვანი ცვლილებები ამა თუ იმ ქვეყნის კანონმდებლობასა, თუ საზოგადოებრივი შეხედულებების ჩამოყალიბებაში. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ მრავალი ნაშრომია გამოქვეყნებული, რომელთა დიდი ნაწილი ძირითადად, მეცნიერული კვლევის ხასიათს ატარებს. წინამდებარე წიგნი ამ მხრივ გამოჩინებულია. უზენაესი სასამართლოს მხრიდან ეს არის პირველი მცდელობა, რაც მიზნად ისახავს დაინტერესებულ მკითხველს გააცნოს ამ უაღრესად საინტერესო და ურთულესი ინსტიტუტის წარმოშობისა და განვითარების ისტორია ცალკეული ქვეყნის მიხედვით.

ნაფიც მსაჯულთა სისტემის წარმატება თუ წარუმატებლობა დამოკიდებული იქნება იმაზე, როგორ შეეწყობა ის ჩვენი ქვეყნის მართლმსაჯულების ღირებულებებს, რომლებიც გულისხმობს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვასა და პატივისცემას.

ვფიქრობთ, რომ საზოგადოების აქტიური მხარდაჭერა ამ პროცესებისადმი სასურველ შედეგს გამოიღებს, რაც ჩვენი ქვეყნის წარმატების გზაზე კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.

საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია
JUDGES ASSOCIATION OF GEORGIA
ტელ-ფაქსი/Tel-Fax: (+995 32) 92 34 90

საქართველოს უზენაესი სასამართლო
THE SUPREME COURT OF GEORGIA
ტელ-ფაქსი/Tel-Fax: (+995 32) 99 70 01



07715121250007